

მიხეილ ალავიძე

**ლიტერატურული
წერილები**



გამომცემლობა „საბოთა საქართველო“
ქუთაისის ფილიალი

1981

8 Γ2
83.3 Γ P 7
899. 962. 109
ა 453

მატიანური ქანრინ ეს კრებული შეეხება საქართველოს სახალხო პოეტთა და აკადემიკოსთა გალაკტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილისა და გიორგი ლეონიძის ცხოვრებისა და შემოქმედების სხვადასხვა საკითხს, მათს აქტიურ მონაწილეობას ქუთაისის კულტურულ ცხოვრებაში. იგი შეიცავს ავტორის მიერ მოპოვებულ უცნობ ფაქტობრივ მასალას და საკუთარ ფილოლოგიურ (ენათმეცნიერულ) დაკვირვებებს.

A $\frac{70302 - 103}{M601 (08) 81}$ 385—81

© გამომცემლობა „საბჭოთა. საქართველო“
ქუთაისის ფილიალი, 1981 წ.

გალაკტიონი — „ჩემი ქუთაისი“

პოეტად დაიბადა მთაწმინდაზე, პოეტი მიიბარა მთაწმინდამ. „მთაწმინდა“ ქუთაისსაც აქვს და მას უფრო მინიშნებულად „უქიმერიონი“ ეწოდება. ივანე ჯავახიშვილის ამოხსნით „უქიმერიონი“ გულისხმობს კოლხურ სიტყვას „ოხვამერს“ ანუ სალოცავს.

გალაკტიონი უქიმერიონით ავიდა პოეზიის პარნასზე. პოეტური მუზა ნიადაგ მფარველობდა მას. ბაგრატის ტაძრის ლალ ბუნებაში აღზრდილს დღედაღამ არ ასვენებდნენ, „სდევდნენ, ეძახდნენ, იზიდავდნენ“ კავკასიონის მწვერვალები. შთააგონებდნენ და საოცნებოდ აღანთებდნენ ხვამლი და გელათი.

გალაკტიონი 1900 წელს შევიდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. ეს ფაქტი სიმბოლურია: მე-20 საუკუნე დაიწყო და ახალი საუკუნის უპირველესი მგოსანი შობა ქართველმა ერმა.

უქიმერიონზე დამკვიდრებისთანავე ჰაბუკმა გალაკტიონმა დაწერა ლექსი „ბაგრატის ტაძრის გალავანში“. მან ამავე ტაძრის ეზოში 1908 წელს მოსწავლეთა შეკრებაზე წაიკითხა ოპტიმისტური ლექსი „პირველი მაისი“.

გალაკტიონი ქუთაისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა

სხვადასხვა დროს. აქ დაიწერა და დაიბეჭდა მისი კლასიკური ლექსები. 1914 წელს გამოიცა მისი პირველი წიგნი.

აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ თბილისში გონებამახვილურად მიმართა 50 წლის იუბილარს: ამიერიდან შენ შედინხარ ქართული პოეზიის სასახლეში არა როგორც „გალაკტიონ ტაბიძე“, არამედ როგორც „გალაკტიონი“. იცი, რასათუთ გრძნობას გამოთქვამს შენდამი ამით და როგორ გაფასებს ამ აქტით სამშობლო? ვის იხსენიებს მშობლიური პოეზია ასე მარტივად? მხოლოდ სახელით? ყველაზე უფრო ცნობილსა და საყვარელ თავის წარმომადგენლებს. მართლაც, მოიგონეთ: შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა. ამიერიდან შენ უერთდები ამ საყვარელ და სასიქადულო სახელებს. დიღია და გასაფრთხილებელი ეს ჯილდო (ეურ. „მაცნე“. 1973. № 3. გვ. 8).

სახალხო პოეტ-აკადემიკოსმა საკუთარი თავის ფასი იცოდა: „ჩემთვის დღესავით არის ნათელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა“.

აკაკი და გალაკტიონი

პირადს ცხოვრებაში აკაკისა და გალაკტიონის სიახლოვესა და მეგობრულ დამოკიდებულებაზე ბევრი ფაქტი მეტყველებს. აკაკი არაჩვეულებრივი სიმპათიით იყო განწყობილი ჭაბუკი პოეტისადმი, ამჩნევდა მის ნიჭს, გრძნობდა მისი სიტყვის ძალას. გალაკტიონი, როგორც სულიერი ნათესავი, აღმერთებდა აკაკის, რამდენიმე შედეგრიც მიუძღვნა მას. გალაკტიონის ლირიკისათვის ნიშანდობლივია აკაკისებური სიტბო, სისადავე და ხალხურობა. მგრძნობიარე მგოსნის პო-

ეზიაში გვაქვს ცრემლის ზღვაც, სიხარულის ოკეანეც და მომავლის აღმაფრენაც.

ეს ცნობები სხვადასხვა ადგილას იყო გაფანტული და ზოგიერთი კი მივიწყებულიც. შევარჩიე, ამოვკრიფე და შევადფასე საჭირო მასალა. მთავარი პირველწყაროებიც დავიმოწმე.

აკაკი, გალაკტიონი და ქუთაისი განუყოფელი სამებაა. ამ თემას მიაგნო გიორგი ლეონიძემ. ის მიმართავს „ვარდასხმულ ქუთაისს“:

აკაკის ჩანგს დაუფროქებ,
ვეტყვი, მამავ, უმამესო...
გალაკტიონს — შენს დიდ სუნთქვას —
ერთად ვუთხრათ: უამესო!..

აქ გვაქვს ლეონიძისეული იშვიათი ნეოლოგიზმები, რომელნიც ასე აიხსნება: „უმამესი“ — მამაზე უტკბესი; „უამესი“ — საამოზე უფრო საამო.

პოეტის პირადი მდივნის გიორგი ჩიქობავას წიგნში „გალაკტიონის ახლო“ ყურადღებას იპყრობს ორი ადგილი:

1. საწერ მაგიდაზე იდვა კლიშე. გადაღებული იმ დაძველებული ფოტოსურათიდან, რაც ადრე მინახავს: აკაკი წერეთელი ზის მოწაფეებში, უკანა რიგში ფეხზე დგას გალაკტიონი — მოკრძალებული, ჩაფიქრებული.

2. მეცხრამეტე საუკუნის ქართველ კლასიკოსთაგან განსაკუთრებით უყვარდა აკაკი და ვაჟა. მის არქივში იყო ერთი სურათიც (კარგა ხანს კედელზე ეკიდა) უცნობი მხატვრის მიერ შესრულებული: აკაკის პროფილის სილუეტზე დახატულია გალაკტიონის სახე პროფილში.

ოსებ ლორთქიფანიძის მიერ შედგენილი მდიდარი და მრავალფეროვანი ბიოგრაფიიდან („გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა“) სამახსოვროა არა ერთი ფაქტი.

გალაკტიონი იგონებს, რომ 1910 წელს მან, ზემო იმერეთის სოფელ ფარცხნალის დაწყებითი სკოლის პედაგოგმა, რკინიგზის სადგურ ხარაგოულში პირველად ნახა აკაკი — თბილისიდან საჩხერისაკენ მიმავალი მგზავრი: მატარებლის მეორე ფანჯარა ჩამოიწია, კუპედან ღმერთივით გადმოიხედა ბამბის ქულასავით ჭალარამ, ოლიმპიურად ამაყი სახის მოხუცმა.

1913 წელს ქუთაისის თეატრში გამართულ დიდ სალიტერატურო საღამოზე გალაკტიონმა წაიკითხა ლექსი „ყვითელი ფოთოლი“. ხალხი სულგანაბული უსმენდა და მქუხარე ტაშით შეხვდა. ლექსმა და ქართულმა კითხვამ აკაკის მოწონება დაიმსახურა. თვით გალაკტიონი აღწერს ამ მომენტს.

ნიკოლოზ საღარაძისეულ ცნობილ ფოტოდოკუმენტში გამოსახული არიან სალიტერატურო საღამოს მონაწილენი: აკაკი, დავით კლდიაშვილი, იროდიონ ევდოშვილი, გალაკტიონი, ვარლამ რუხაძე, ტიცვიან ტაბიძე, ია ეკალაძე, იასონ ნიკოლაიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ჯაჭუ ჯორჯიკია... უოტოსურათი პირველად გამოქვეყნდა 1935 წელს (გაზ. „სიტყვა და საქმე“. № 12).

1913 წელს ქვემო იმერეთის სოფელთა (ქვიტირისა და მუხიანის) მოსახლეობა შეიკრიბა. მწერალთაგან აკაკის ახლდნენ: დავით კლდიაშვილი, გალაკტიონი და ვარლამ რუხაძე. მოგზაურობა აღწერა ლადო ბზვანელმა და ფირზე გადაიღო ვასილ ამაშუკელმა. გალაკტიონს მუხიანში აკაკისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაუკითხავს. ამ საკითხზე დაისტამბა უცნობი მემუარული ნარკვევი და ერთი ფოტოც

(შ. ჯავახაძე. აკაკის მოგზაურობა ქვემო იმერეთში: გაზ. „კომუნისტი“. 1960. №142; გაზ. „სტალინელი“. 1960. №239).

ფსევდონიმად „კრემლი“ გალაკტიონს აკაკის თვალის სწეულებამ აარჩევინა.

1915 წლის 26 იანვარს (ძველი სტილით) გალაკტიონმა დაწერა ლექსი „აკაკის გარდაცვალების გამო“.

გალაკტიონი აირჩიეს მწერალთა დელეგაციის წევრად, ვინც მონაწილეობას მიიღებდა აკაკის გადასვენება-დაკრძალვაში.

ლევან ასათიანი წერს: „4 თებერვალს სოფელ სხვიტორის სასახლის ეზო აივსო ხალხით. საზოგადო მოღვაწეთაგან აქ იყვნენ: ნიკო ნიკოლაძე, კიტა აბაშიძე, პოეტები — ალექსანდრე აბაშელი, სანდრო შანშიაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, იოსებ გრიშაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ვარლამ რუხაძე... ცხედარი ეზოდან გამოასვენეს ახალგაზრდა პოეტებმა. შემდეგ იგი სადგურამდე მიაცილეს გლეხებმა“... (ცხოვრება აკაკი წერეთლისა. 1953. გვ. 499).

1915 წლის მარტში ქუთაისის საქალაქო მმართველობის მიერ მოწყობილ აკაკის ხსოვნის აღსანიშნავ სამოქალაქო პანაშვიდზე გალაკტიონმა წაიკითხა „აკაკის ლანდი“.

ამ ლექსში გალაკტიონი წერს, რომ აკაკი მუდამ იცოცხლებს და შთაგვაგონებს. არასოდეს ჩაქრება მისი პოეტური ლამპარი. კურთხეულ იყოს აკაკის მადლით ანთებული სანთლები.

იქნება ჩვენთვის, იქნება ჩვენში,
იქნება ჩვენთან მარად და მარად,
ჩვენი სიზმრების სიდიადეში,
ჩვენი ფიქრების ლურჯ ნიაქარად.

ლექსი „ვარდები“ გალაკტიონმა აკაკის შთაგონებით შექმნა მაისში 1927 წელს. თავისი შემოქმედებითი საღამოს წარმატებით აღფრთოვანებულ გალაკტიონს უთქვამს დავით კასრაძისათვის: ეს ყვეაღილება ჩემთვის ყველაფერი, ქუთაისური ვარდებია ჩემი პირველი დამათრობელი, ჩემი უმაღლესი სიამოვნება, ნეტარება და პოეზია (ლიტერატურული პორტრეტები. 1962. გვ. 297).

აკაკის დაბადების ასი წლისთავზე, 1940 წლის მაისში, დაიწერა გალაკტიონის ვრცელი ლექსი „აკაკი წერეთელი“. გალაკტიონი ასე წარმოგვიდგენს მახლობელ წინაპარს:

საუკუნეთა არმომრიდების
პოეტი ღირსი არის დიდების,
მიემსახურა კაცობრიობას,
მან მთები ღაღგა მარგალიტების.

ლექსი თავდება მოწოდებით:

ასეთი იყო ჩვენი აკაკი,
არ ეკარება მის ჟღერას ჟანგი,
იგი იტაცებს ადამიანთ გულს,
ავსწიოთ მალლა პოეტის ჩანგი!..

1940 წლის 22 ივნისს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გამართულ აკაკის საიუბილეო სხდომაზე პრეზიდენტში იჯდა გალაკტიონი, როგორც ცოცხალი კლასიკოსი და მშვენება ქართველი ერისა.

კონსტანტინე გამსახურდია უკვდავ გალაკტიონს ახასიათებს ალექსანდრე აბაშელის ხოტბით აკაკისადმი: აღარა გვყავს ჩვენი ძვირფასი გალაკტიონი, მაგრამ „ღვას საქართველო ოქროს თასივით მისი ლექსების ნექტარით სავსე“.

გალაკტიონის პირადი არქივი დაცულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში. ამ პირველწყაროებიდან ვიცით, რომ გალაკტიონმა 1899 წლის პირველ სექტემბერს სწავლა დაიწყო დეკანოზ ნესტორ ყუბანეიშვილის საკუთარ სახლში გახსნილ კერძო ერთკლასიან მოსამზადებელ სკოლაში. გალაკტიონის ძმა პროკლე (აბესალომი) უკვე ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ირიცხებოდა. დედა მაკრინე ადგილობრივი გადმოვიდა დროებით საცხოვრებლად და იქირავა ბინა არქიელის გორაზე ანდრო წერეთლის სახლში. აიყვანა მოსავლელად სხვა მოსწავლე ბავშვებიც (იოსებ ლორთქიფანიძე. გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა. 1968. გვ. 20).

სასულიერო სასწავლებელი სამი მოსამზადებელი და ოთხი ძირითადი კლასისაგან შედგებოდა. გალაკტიონი სასულიერო სასწავლებელში შევიდა 1900 წლის 1 სექტემბერს და წარმატებით დაასრულა 1908 წლის მაისში (ერთი წელი გაუცდა). საარქივო საბუთებში დასახელებულ არიან მისი პედაგოგები რაფიელ ჩიხლაძე და მელიტონ ჩოგოვაძე.

როგორც ჩანს, არსებობს ორი უტყუარი დოკუმენტური ცნობა: ჭაბუკი გალაკტიონი სწავლობდა ნესტორ ყუბანეიშვილის კერძო სკოლაში და ბინა ჰქონდა ანდრო წერეთელთან. ორივე ამ ცნობას ესაჭიროება შემოწმება.

მოკლედ: გასარკვევია ამ პირთა ვინაობა და ადგილსამყოფელი: კერძოდ, ვინ იყვნენ ნესტორ ყუბანეიშვილი და ანდრო წერეთელი და სად ცხოვრობდნენ ისინი.

ამ საკითხზე გამოქვეყნდა პავლე ხმალაძის სტატია (გაზ.

„ქუთაისი“. 1973. №54), რაც პოეტის თანაკლასელ ნაასონ ასათიანის საყურადღებო მოგონებას შეიცავს.

აუცილებელია. გასწორდეს შეცდომა, რაც ამ მემუარში გაიპარა. აქ ფოტოთი გამოსახული შენობა (ბაგრატიის ქ. №14) ეკუთვნოდა არა ნესტორ ყუბანეიშვილს, არამედ მის ძმას მეთოდე ყუბანეიშვილს. ძმები ცალ-ცალკე სახლობდნენ. ამასთან ერთად დასაზუსტებელია ის, რომ პოეტი 1899 წელს ნესტორ ყუბანეიშვილის სახლში კი არ ცხოვრობდა, არამედ ემზადებოდა. პოეტის ბინა სხვაგან იყო. გალაკტიონი წერს, რომ ის გადავიდა ნესტორ ყუბანეიშვილის სახლში და ბინის ქირას იხდიდა აბესალომის თბილისში წასვლის (1905—1906 წ.) შემდეგ (ყურ. „მნათობი“. 1973. №9. გვ. 129).

დეკანოზ ნესტორ ყუბანეიშვილს დამთავრებული ჰქონდა თბილისის სასულიერო სემინარია, იყო ქველმოქმედი პედაგოგი და მწიგნობარი. სწირავდა ე. წ. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში. მეუღლის (თეკლე გრიგოლაშვილის) გარდაცვალების შემდეგ ის აკურთხეს ფოთის ეპისკოპოსად.

ნესტორ ყუბანეიშვილის ორსართულიანი ქვის სახლი თითქმის უცვლელად მდებარეობს ბაგრატიის ტაძრის დასავლეთით ბაგრატიის ქუჩაზე (№25). ზემო სართულზე ჩრდილოეთის კედელს აქვს წარწერა: ჩყნე (1855) წ. აღშენდა სახლი ესე მღუდლის თადეოს კანდელაკოვის მიერ.

კანდელაკისეული ეს საკუთარი სახლი ნესტორ ყუბანეიშვილმა გადასცა სიძეს — ტრიფონ ჯაფარიძეს, რომლისგანაც ის იყიდა ბენედიქტე ბაკურაძემ. აქ ახლა ბაკურაძეები ცხოვრობენ.

მხარეთმცოდნე პეტრე ჭაბუკიანმა მომაწოდა ცნობები ნესტორ ყუბანეიშვილისა და ანდრო წერეთლის შესახებ.

გალაკტიონზე ადრე პეტრე ჭაბუკიანიც სწავლობდა ნესტორ ყუბანეიშვილის კერძო სკოლაში. მისი პედაგოგები იყვნენ ნესტორი და ცოლ-ქმარი — ოლა ლორთქიფანიძე და გრიგოლ ნადირაძე. შემდეგ აქ გალაკტიონის დამრიგებლად დაინიშნა მასწავლებელი კალისტრატე მაჩიტაძე. სკოლას ქვედა სართულში ეჭირა ორი ოთახი, მეორე სართულზე კი ნესტორის ოჯახი ცხოვრობდა.

ეკონომისტი ბაგრატ პოლიევქტოს ძე კვიციანიძე გალაკტიონის თანაკლასელი იყო ქუთაისის სასულიერო სასწავლებლიდანაც და თბილისის სასულიერო სემინარიიდანაც. ბაგრატი ცხოვრობდა ლუნაჩარსკის ქუჩაზე (№4).

ბაგრატ კვიციანიძის გადმოცემით, სასულიერო სასწავლებელში პროკლე (აბესალომი) ძმას წინ უსწრებდა ერთი წლით. ძირითად და პარალელურ ჯგუფებში გალაკტიონის თანაკლასელები იყვნენ: ამბაკო და ფილიპე შავგულიძეები, ვასილ და გრიგოლ შანიძეები, ვასილ და ანდრონიკ ყიფშიძეები, ალექსანდრე და ვასო გორგაძეები, ვასო, ილარიონ, ტარასი ტყემალაძეები, გენადი შიხელიძე, ნასონ ასათიანი, ტიტე ტაბიძე, მიხეილ წიქორიძე, ბაგრატ გაფრინდაშვილი, არველაძე, ღულო სალაძე, ივანე მახარაშვილი, გიორგი კახაია, ილია კვიციანიძე, არტემ გოლეთიანი...

გალაკტიონს ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდნენ: ჯერ პოლიევქტო კვიციანიძე და შემდეგ მელიტონ ჩოგოვაძე.

სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის (გამგის) მოვალეობას სხვადასხვა დროს ასრულებდნენ: დეკანოზი მელიტონ კელენჯერიძე, გრეკოვი, ტრიფონ ჯაფარიძე, ნიკოლოზ ხოლმსკი...

ბაგრატ კვიციანი ბიბლიოთეკაში ინახება 1902 წელს გადაღებული ფოტოსურათი, რომელშიც გამოსახულია სასულიერო სასწავლებლის პედაგოგთა შემადგენლობა: ამბაკო სულაქველიძე, ანდრო ბენაშვილი, ქრისტეფორე უგრელიძე, რაფიელ ჩიხლაძე, ზელინსკი, ესტატე ლამბაშიძე, პოლიევქტო კვიციანიძე, ილარიონ მატარაძე, მიტროფანე თხაკაძე, იოსებ სანებლიძე, დავით ლუკიანოვი, ნინო მალრაძე, ივანე გაფრინდაშვილი, გერმანე ჯაჭანიძე, ანთიმოზ გორგაძე, ფილიმონ რეხვიაშვილი, რაჟდენ ხუნდაძე, ბიქტორ ჯაფარიძე, კორნელი მალრაძე... ამ სურათში არ არიან მასწავლებლები: ბიქტორ შარაბიძე, სოსინოვსკი, იაშჩინი...

ეს ძვირფასი ფოტოდოკუმენტი პირველად გამოქვეყნდა წყალტუბოს რაიონულ გაზეთ „დროში“ (1969. №9) პედაგოგისა და მეცნიერის პოლიევქტო კვიციანიძის დაბადების 120 წლისთავთან დაკავშირებით.

ბაგრატ კვიციანიძემ შენიშნა, რომ იოსებ ლორთქიფანიძის წიგნის მე-19 გვერდზე მოთავსებულ ფოტოში გალაკტიონთან ერთად ფორმაში გამოსახული არიან თბილისის სასულიერო სემინარიის მსმენელები. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მსმენელებს ფორმა არ გვქონდა და ამიტომ წარწერა უნდა შეიცვალოსო.

ვაჟა-ფშაველასა და ცაცხვების ქუჩათა შორის სამკუთხედის ფორმას ქმნის ანდრო წერეთლისეული ეზო, სადაც ახლათობი (განუგრავას, ჩხაიძის, სალაყაიასა და ნუცუბიძის) ოჯახი ცხოვრობს. ამჟამად ამ სახლში დგას ექთანი ეთერ ერმილეს ასული სალაყაია (ცაცხვების ქუჩა, №32).

გალაკტიონი უქიმიერიონზე ცხოვრობდა სხვადასხვა ადგილას.

ნაასონ ასათიანის მოგონებაში ვკითხულობთ, რომ პოეტი იდგა მღვდელ მიხეილ გავაშელიშვილის სახლშიც, სადაც ამჟამად გერასიმე გოლეტიანის ოჯახი იმყოფება (პეტრე იბერის ქუჩა, №2).

ამ ცნობას ადასტურებდნენ სოფელ ლებში (მთარაჭა) მცხოვრები კატო სპირიდონის ასული გავაშელი (ქუთაისში გარდაცვლილი ექიმ სოკრატ გავაშელის და) და ქურნალი-სტი იროდიონ ხანთაძე.

1911—1912 წლებში გალაკტიონი ქუთაისის სხვადასხვა რედაქციაში მუშაობდა. მოსაძებნია მისი ამდროინდელი მისამართი.

გალაკტიონის მისამართებში გასათვალისწინებელია მისი მეუღლის ოლღა სტეფანეს ასულ ოკუჯავას მშობლიური ბინაც (წყალტუბო-ხონის გზათა გასაყართან).

1916 წლის 29 ნოემბერს გალაკტიონი მოსკოვიდან დაბრუნდა ქუთაისში და 1917 წლის ბოლოს მოსკოვსავე გაემგზავრა.

გალაკტიონი წერს: თებერვლის 'რევოლუცია ისე მოულოდნელად დააცხრა ქუთაისს, როგორც ქორი... მაშინ მე და მხატვარი თედორე ჩუღეცკი ვცხოვრობდით ჯიბოს სახლში... (ი. ლორთქიფანიძე. ზემოთ დასახელებული წიგნი. გვ. 90). ჯიბოს (პოეტ პაოლო იაშვილის მამა) ერთად ედგა ორი ორსართულიანი სახლი (მთავარი და დამხმარე) ყოფილი კაზაკოვის ქუჩაზე (ამჟამად ცხაკაიას ქუჩაზე, №23). უნდა ვივარაუდოთ, რომ გალაკტიონი და მხატვარი ჩუღეცკი იყვნენ დამხმარე სახლში.

პოეტი სევერიან ისიანი ერთხანს იდგა მესხიშვილის ქუჩაზე (№8). აქ, მისი გადმოცემით, გალაკტიონის ბინაც ყოფილა.

გალაკტიონი ბოლო ხანს, როცა მშობლიურ ქალაქს ეწვე-
ოდა, ღამეს ათევდა სასტუმროში („გრანდ-ოტელი“, „ქუთა-
ისი“). ასე, მაგალითად, სასტუმრო „ქუთაისის“ ლუქსში
ცხოვრობდა იუბილარი 1945 წლის 3 და 4 დეკემბერს, შოვი-
დან დაბრუნებისას — 1947 წლის 29 და 30 აგვისტოს.

მოკლედ: ახლა უკვე დადგენილად ჩაითვლება, რომ გალა-
კტიონმა სიჭაბუკის პერიოდი გაატარა უქიმერიონზე. ის აქ
განუწყვეტლივ იმყოფებოდა ცხრა წელიწადს: 1899 წელს
სწავლობდა დეკანოზ ნესტორ ყუბანეიშვილის კერძო მოსა-
მზადებელ სკოლაში (ბაგრატიის ქუჩა, №25). 1900 წელს შე-
ვიდა და 1908 წელს დაასრულა ქუთაისის სასულიერო სასწა-
ვლებელი.

გალაკტიონი ამ პერიოდში უქიმერიონზე ცხოვრობდა
სხვადასხვა ადგილას: ანდრო წერეთლის სახლში (ცაცხვების
ქუჩა, №32), მიხეილ გავაშელიშვილის სახლში (პეტრე იბე-
რის ქუჩა, №2), ნესტორ ყუბანეიშვილის სახლში.

გალაკტიონი წერს, რომ ერთხანს ის იდგა რიონის პირას
(მაღლობზე), ნაცვლიშვილების მეზობლად.

რევოლუციის პოეზია მავოზრობა

შეუსწავლელი იყო რიონის პირას მცხოვრებ ნაცვლიშვი-
ლთა ადგილსამყოფელი, როგორც რევოლუციონერთა თავშე-
საფარი. ეს მისამართი ახლა უკვე მიკვლეულ იქნა.

გალაკტიონი წერს: 12 წლის იყო მიაიკოვსკი, როდესაც
1905 წლის რევოლუციამ იფეთქა. მიუხედავად მცირეწლო-

ვანებისა, მაიაკოვსკი მხურვალედ, მეტად მხურვალედ განიცდიდა 1905 წლის ამბებს: იგი უახლოვდება იმ წრეებს, რომლებთანაც მეც ახლოს ვიდექი. მე უფროსი ვიყავი მასზე ერთი თუ ორი წლით. ეს რევოლუციური წრე იკრიბებოდა სალამოობით ჩვენს გვერდით, ნაცვლიშვილების სახლში, მდინარე რიონის პირას, მაღლობზე. სახლი გადასცქეროდა მთელ ქუთაისს, ჩაფლულს მწვანეში...

კალინა გალდავა, ვანო ინწკრიველი, კლავდია ტყემალაძე, კოტე ცინცაძე, ვასო კანდელაკი, აგაბო ადეიშვილი — ყველა ესენი ჩვენი სახლის გარშემო ტრიალებდნენ (ი. ლორთქიფანიძე. გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა. 1968. გვ. 139).

გალაკტიონის ბიოგრაფი იოსებ ლორთქიფანიძე დაინტერესებულა ამ ცნობით და მოითხოვს დამატებითს პასუხს:

ნუთუ არც ერთი დასახელებული პირთაგანი არ არის ცოცხალი, რომ გაგვაგებინოს, რა წრეებზეა აქ საუბარი?

ამ საკითხზე ჯერ ერთ სადავო მოსაზრებას გავამჟღავნებ.

ი. ლორთქიფანიძემ 1973 წელს გამოაქვეყნა ახალი ნაშრომი „გალაკტიონ ტაბიძე ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში“ (ეურ. „მნათობი“. №9). გარდა უცნობი საარქივო მასალისა, იგი შეიცავს ვარლამ მახარობლიძისა და ილია ბახტაძის მიერ გადმოცემულ საყურადღებო ცნობებს რევოლუციონერ მოსწავლე ახალგაზრდობასთან ჭაბუკი გალაკტიონის ახლო დამოკიდებულების შესახებ. ამავე აბზაცში მოქცეულია ზემოთ მოყვანილი პოეტისეული სრული ჩანაწერი (რევოლუციური წრეებთან მეც ახლოს ვიდექი. ეს რევოლუციური წრე იკრიბებოდა ჩვენს გვერდით, ნაცვლიშვილების სახლში...), რასაც ახლავს მკვლევარის შენიშვნა: „თუმცა მისი თანაკლა-

სელი გენადი მიხელიძე დაბეჭდვით ირწმუნება, რომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ჩვენს დროს არავითარი რევოლუციური წრე არ არსებობდა“ (გვ. 128).

აქ ეს შენიშვნა უადგილოა. გალაკტიონი მოგვითხრობს თავისი საცხოვრებელი ბინის ახლოს არსებულ ფარულ ორგანიზაციაზე და არა სასულიერო სასწავლებლისაზე. ზემოთ დასახელებულ პირთა გვარები პოეტის თანაკლასელთა სიაშიც არ იკითხება (შდრ. გვ. 125). დემონსტრანტ სემინარიელთა სიაში კი მოხსენებული არიან მხოლოდ კოტე ცინცაძე და ვანო ინწყრიველი (გვ. 127).

ი. ლორთქიფანიძე ამ ფაქტსა და აგრეთვე ლექსის „პირველი მაისი“ ისტორიასთან დაკავშირებით ემყარება გ. მიხელიძის მოგონებას თითქოს იმისათვის, რომ გალაკტიონის დაწერილი უმნიშვნელოა. ფაქტობრივ გ. მიხელიძის მეშუარში ზოგი რამ საეჭვოა. გალაკტიონის ჩვენება კი სარწმუნოა.

„პირველი მაისი“ პირველად გამოქვეყნდა 1933 წელს ჟურნალ „მნათობში“ (№5). მის ავტოგრაფზე დატულია მინაწერი: ექსპრომტი — ცხრაასრვა წლის ლექსებიდან. იბეჭდება ავტორის მიერ უმნიშვნელო ცვლილებებით. 1937 წელს ლექსს წაემძღვარა ავტორის შენიშვნა: „ლექსი წაკითხული არალეგალურ საღამოზე 1908 წელს“. პოეტი თავის თავზე წერს: „1905 წელს გალაკტიონი მონაწილეობას იღებდა მოწაფეთა არალეგალურ შეკრებებში, რომლებიც იმართებოდა ძველი ციხის ნანგრევებში“. იქ კითხულობს ლექსს „პირველი მაისი“ (1908 წ.).

პოეტისეული ასეთი უტყუარი ცნობები მოგვეპოვება და რაღა ფასი აქვს გ. მიხელიძის მოგონებას? ვინ იკითხავს, ეს ხელნაწერი სად ინახება? ი. ლორთქიფანიძე კრიტიკულად უნდა მისდგომოდა გ. მიხელიძის ინფორმაციას გალა-

კტიონის დაწერილის დასაცავად. აუცილებელი იყო ემხილა ეს დამაჯერებლობას მოკლებული ამბავი. მკვლევარს გალაკტიონის ცნობების საფუძველზე დაკვირვებით უნდა ემსჯელა პოეტის რევოლუციური შეგნების ჩამოყალიბების შესახებ. ამ მხრივ მისი დასკვნითი თვალსაზრისი სადავოა და ციტირებასაც მოვერიდე.

შემოწმებით გამოირკვა, რომ გალაკტიონის ჩანაწერში ჩამოთვლილი რევოლუციონერები გარდაცვლილან. ნაცვლიშვილთა სახლი კი კვლავაც დაცულია მითითებულ ადგილზე (ახლანდელი ვაჟა-ფშაველას ქუჩა, №6).

წითელ ხიდს ზემოთ, ბესიკ-გაბაშვილის გორას აღმოსავლეთით მდებარე აგურის ერთსართულიანი შენობა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში ააგო რკინიგზის მუშამ გიორგი ჭვანეს ძე ნაცვლიშვილმა.

გიორგი ნაცვლიშვილს ჰყავდა რვა შვილი: ივანე, ევსევი, ეკატერინე, მარიამი, ნინო, ნიკოლოზი, დავითი, ალექსანდრე.

გიორგი ნაცვლიშვილისეული თიხნარნიადგვიანი ეზო მთის კალთაზეა. მასში ერთხანს აგურ-კრამიტის წარმოებაც იყო. აქ ამჟამად ცხოვრობენ გიორგი ნაცვლიშვილის შვილიშვილი — ანზორ ნიკოლოზის ძე ნაცვლიშვილი (ვაჟა-ფშაველას ქუჩა, №4) და სხვა რამდენიმე ოჯახი.

ნინო გიორგის ასული ნაცვლიშვილი დაიბადა მამისეულ სახლში 1902 წელს. იგი საქალაქო სტამბის კორექტორად დიდხანს მუშაობდა. მამისეული სახლი ნინომ გადასცა ბენო ლომაძეს, თვითონ კი იმყოფებოდა მეუღლის ბინაში (ილ. ჰავჭავაძის პროსპექტი, №43). ნინოს უფროსი ძმები — ივანე და ევსევი გალაკტიონის თანამედროვენი იყვნენ და რევოლუციურ საქმიანობას ეწეოდნენ. სწორედ ამ ნაცვლიშვილთა სა-

ხლი ითვლებოდა რევოლუციონერთა სანდო თავშესაფრად.
დადგენილ იქნა ისიც, რომ რიონის პირას, მალლობზე,
სხვა მოსახლე ნაცვლიშვილი არ ყოფილა.

გასარკვევია ჭაბუკ გალაკტიონის უცნობი მისამართიც.
პოეტს, ჩანს, ბინა დროებით ჰქონდა მეზობლად — შესაძლოა
კონსტანტინე ჭარხალაშვილისეულ კაპიტალურ აგურის ორსა-
რთულიან შენობაში, რაც ახლა ექიმ ანტონ ცნობილაძის
ოჯახს ეკუთვნის (ვაჟა-ფშაველას ქუჩა. № 22). უნდა ვე-
რწმუნოთ გალაკტიონის დაწერილს: „წრე იკრძებოდა ჩვენს
გვერდით, ნაცვლიშვილების სახლში“.

ვლადიმერ მაიაკოვსკისა და გალაკტიონ ტაბიძის პირადი
ნაცნობობის ფაქტი ქართველ ერს სამარადისოდ ეხსომება.

აუთათუარი იუბილეები

გალაკტიონის შემოქმედებითი საღამოები ქუთაისში გა-
იმართა რამდენჯერმე: 1914, 1916, 1923, 1927 წლებში, მა-
გრამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბის მოვლენა იყო 1945
წლის ზეიმი, როცა გალაკტიონის მონაწილეობით ჩატარდა
დიდი საღამოები — ორი ლაღო მესხიშვილის სახელობის სა-
ხელმწიფო თეატრში და ერთი პედაგოგიურ ინსტიტუტში.

გალაკტიონი პირადად გავიცანი 1945 წლის 3 დეკემბერს.
ამ დღეს იუბილეზე სიტყვა წარმოვთქვი და გაზეთში დავებ-
ჭდე სტატია „გალაკტიონი და ქუთაისი“. ჩემს პირადს არქივს
შემორჩა იმდროინდელი აფიშა.

1933 წელს თბილისში ფართოდ აღინიშნა გალაკტიონის

პოეტური მოღვაწეობის 25 წლისთავი. ქუთაისის საზოგადოებრიობა ემზადებოდა ამ ზეიმისათვის. შეიქმნა საქალაქო საიუბილეო კომისია: დია ჩიანელი (თავმჯდომარე), ივ. ძაძაშიძე, ვლ. ჯიქია, ვ. დანგაძე, მ. ლაგვილავა, გ. ახვლედიანი, კ. ჩიქოვანი, პ. ბახტურიძე, ს. ფოფხაძე, დ. თომაშვილი, ფ. მეგრელიშვილი, ნ. ბურჯანაძე, (გაზ. „მუშა და კოლმეურნე“. 1933. 15 ივლისი). 18 ივლისიდან ერთი დეკადა მოხსენებები ტარდებოდა საწარმო-დაწესებულებებში, სკოლებსა და პედაგოგიურ ინსტიტუტში.

ლიტერატურული გაზეთის „საბჭოთა მწერლის“ სპეციალური მე-9 ნომერი მიეძღვნა საიუბილეო თარიღს.

გაზეთის მეორე და მესამე გვერდებზე დიდი ასოებით იკითხება ანშლაგი: „მხურვალე სალამი საბჭოთა ეპოქის უდიდეს პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს!“

გაზეთში მოთავსებულია გიასელის, სერგო თევანიძის, ვლადიმერ შავგულიძისა და ექვთიმე ჭანიშვილის ლექსები. პავლე ხმაღაძის, პეტრე ბახტურიძისა და კლიმენტი ფანცულაიას სტატიები.

იუბილარი ვერ გამოცხადდა ავადმყოფობის გამო და ამიტომ სახელმწიფო თეატრში დანიშნული სალამოც აღარ შედგა.

ამ ფაქტს შეეხება გაზეთ „საბჭოთა მწერლის“ რედაქციის მდივნის სერგო ფხაკაძის მოგონება (ლიტერატურული გაზეთი „გალაკტიონი“. 1973. 3 ნოემბერი).

1947 წლის 2 დეკემბერს ორგვერდიანმა გაზეთმა „ინდუსტრიულმა ქუთაისმა“ (№ 238) იუბილეს ერთი გვერდი დაუთმო. მასში დაიბეჭდა გალაკტიონის პორტრეტი, გ. გიასელისა და რუთა ბერძის ლექსები, ვლადიმერ გუგუშვილისა და მ. ალავიძის სტატიები.

გალაკტიონის იუბილეს შესახებ გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისში“ (№ 239) გამოქვეყნდა მოკლე ინფორმაცია.

მასში ნათქვამია, რომ საღამო შესავალი სიტყვით გახსნა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ვლ. ჩაკვეტაძემ. დასახელებული არიან მომხსენებელი და სხვა ორატორები.

აქ აღნიშნულია, რომ გალაკტიონმა წაიკითხა რამდენიმე ლექსი. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს დრამატული თეატრის მსახიობებმა, მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეებმა და საქალაქო მომღერალთა გუნდმა.

როგორც ჩანს, საგაზეთო ქრონიკის მიხედვით კონცერტის შემადგენლობა კონკრეტულად უცნობია.

ამ ინფორმაციას აზუსტებს და უცნობი დეტალებით ავსებს ჩემს არქივში დაცული აფიშა. მისი ტექსტი ასეთია:

ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი. ორშაბათს, 3 დეკემბერს, შედგება საქართველოს სსრ სახალხო პოეტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამო.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზია — მომხსენებელი დოცენტი გ. სამხარაძე.

სიტყვები: საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დ. ანთაძე, ვლ. გუგუშვილი, მიხ. ალავიძე, პ. ხმალაძე.

პოეტები: დ. თომაშვილი, მ. პატარიძე, გ. გიასელი, არჩ. გურჯიძე, ს. თევანიძე.

საკუთარ ლექსებს წაიკითხავს საქართველოს სსრ სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე.

კონცერტი — ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობები: რესპუბლიკის დამსახურებული არტი-

სტი ც. ამირეჯიბი, თ. სვანი, ნ. ქუთათელაძე, ვ. ჯახუტაშვილი, დ. ქუთათელაძე, ტ. საყვარელიძე, ოპერეტის თეატრის მსახიობები: ი. ლიუბინსკი, ა. ფომენკო, ნიკოლენკო, ი. ბოშკო, ო. პერესკოკოვა, ა. ლუკოვკინა, კორენიაკი, მუსიკალური სასწავლებლის მსმენელები: თ. ქაჯაია, თ. დავითულიანი, ე. ჩერეპანოვი.

საქალაქო მომღერალთა გუნდი ბ. კუხნიანიძისა და ბ. ლოლობერიძის ხელმძღვანელობით. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

აფიშაში მოთავსებულია გალაკტიონის დიდი პორტრეტი (დავით მხეიძისეული ფოტო).

შთამბეჭდავი იყო ის ფაქტი, რომ იუბილეზე გუნდმა ლოტბარ ბიძინა ლოლობერიძის ხელმძღვანელობით შეასრულა სიმღერა „წყალტუბოდან ქუთაისში...“ ეს შესანიშნავი მუსიკა თვითონ ბიძინა ლოლობერიძემ შექმნა ჯერ კიდევ 1934 წელს. სიმღერამ გალაკტიონი ალაფრთოვანა.

4 დეკემბერს, ამავე თეატრში, საქალაქო კომკავშირული აქტივისათვის გამართულ სხდომას თავმჯდომარეობდა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნიკოლოზ იმნაიშვილი.

4 დეკემბერს პედაგოგიური ინსტიტუტის კლუბში გაიმართა გალაკტიონ ტაბიძის საღამო. მთელი დარბაზი სავსე იყო სტუდენტებითა და მეცნიერ მუშაკებით.

საღამო გახსნა პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორმა დოც. ლ. ჭელიძემ. მოხსენებით გამოვიდა დოც. კ. მეძველია. სიტყვები წარმოთქვეს დოც. გ. სამხარაძემ, ლექტორებმა ფ. გოკიელმა, დ. ბრეგაძემ და სტუდენტმა ო. ტაბიძემ. ლექსებით გამოვიდნენ არჩ. გურჯიძე და მიხ. კაკიტელაშვილი.

5 დეკემბერს მოეწყო მწერალთა და პრესის მუშაკთა შეხვედრა გალაკტიონ ტაბიძესთან (გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“. 1945. № 42. 14 დეკემბერი).

ხსოვნას შემორჩა პედაგოგიურ ინსტიტუტში გალაკტიონის ნათქვამი: ყმაწვილებო, მეგობრებო და ამხანაგებო! მე ვეტრფი ქუთაისს. ქუთაისი საყვარელია მრავალგზის, მაგრამ მიმზიდველია თუგინდ იმიტომაც, რომ აქ დაიწერა მამია გურიელის „ადამიანი“. წაიკითხეთ ეს ლექსი, ისწავლეთ, შეიგრძენით და შეეცადეთ, რომ გახდეთ ადამიანები და თქვენ ბედნიერი იქნებით მარადის.

შევნიშნავ, რომ 1945 წლის ზეიმი დიდი პოეტის ბიოგრაფებმა სათანადოდ ვერ გააშუქეს.

გიორგი ჩიქობავა პრესის მასალას არ იყენებს, ზეიმის ცნობილ მონაწილეებს არ ჩამოთვლის. მის სასარგებლო წიგნში („გალაკტიონის ახლო“. 1966) ეს ადგილი საჭიროებს დახვეწას და შევსებას.

131-132 გვერდებზე დასაზუსტებელია შემდეგი: გალაკტიონის იუბილე ჩატარდა 1945 წლის დეკემბერში და არა თებერვალში.

...მიუძღოდა ჭაბუკებს (სტუდენტ პოეტებს), მიდიოდა აღმართში თოვლის ფიფქებით მხრებშევერცხლილი გალაკტიონი. რომანტიკული იყო ის მომენტი, როდესაც ტაძრის გარშემო საფლავთა შორის ერთ-ერთს მიუახლოვდა, მამია გურიელის სამარის ქვიდან თოვლი გადაწმინდა...

იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს მამია გურიელის საფლავი ბაგრატის ტაძრის ეზოში იყოს. სამახსოვროა, რომ მამია გურიელი უქიმერიონზე მდებარე ე.წ. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში განისვენებს.

იოსებ ლორთქიფანიძის წიგნი „გალაქტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა“ (1968) დოკუმენტურ პირველწყაროებს ემყარება და სამაგალითოდ შედგენილი ბიოგრაფიაა. ავტორი, კერძოდ, ქუთაისის პერიოდთან დაწვრილებით აღწერს გალაქტიონის შემოქმედებითს საღამოებს 1914, 1916, 1923, 1927 წლებში.

ფართო მასშტაბის მოვლენა იყო უკანასკნელი (1945 წლის) ზეიმი, მაგრამ მას ი. ლორთქიფანიძე გაკვრით ეხება და მხოლოდ ლიტერატურულ წყაროებზე მიუთითებს (გვ. 223).

ეს ნაკლი შესამჩნევი არ იქნებოდა, რომ ავტორს გადმოებეჭდა გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ მოთავსებული ინფორმაცია.

ვიმედოვნებ, რომ 1945 წლის ქუთათური თბილი დეკემბერი აქ დასახელებულ მოღვაწეთა მოგონებებშიც აისახება.

შოვიდან დაბრუნებულმა გალაქტიონმა 1947 წლის 30 აგვისტოს მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საიუბილეო სხდომაზე ქუთაისის რაიონული გაზეთის „სიმართლის“ მეხუთასე ნომრის გამოშვებასთან დაკავშირებით. მილოცვა დაბეჭდილია „სიმართლის“ მეხუთასე ნომერშიც.

1973 წელს ქუთაისში გაიმართა პოეტის დაბადების 80 წლის იუბილე და სოფელ ჭყვიშში გაიხსნა გალაქტიონის სახელობის სახლ-მუზეუმი. საკავშირო მწერალთა კავშირის დელეგაციას მეთაურობდა პოეტი ალექსი სურკოვი.

მხარეთმცოდნე პეტრე ჭაბუკიანი 1923 წლიდან არ განშორებია და დარაჯივით უვლიდა ბაგრატის ტაძარს. აქ კონსულტაციას უწევდა სტუმრებს და ყოველთვის დახვედრია გალაქტიონსაც.

3 ნოემბერს, დილით, ბაგრატის ტაძრის ეზოში, პეტრე რუსულად ესაუბრა იუბილეს მონაწილეებს, ნაშუადღევს

კი ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში მან წაიკითხა რუსულ ენაზე დაწერილი მოგონება მეგობარ პოეტზე. პრეზიდენტში მსხდომნი გაკვირვებით შესცქეროდნენ მას. პოეტმა ალექსი სურკოვმა ხელისგული პირისახესთან მიიტანა და აუდიტორიას ანიშნა: ხომ ხედავთ, ჩვენი პეტრე თავისუფლად კითხულობს ნაწერს და სათვალეს არ ხმარობს.

პეტრე ჭაბუკიანმა კონკრეტულად მოგვითხრო შემდეგი: / გალაკტიონს იბავშვობიდანვე დაუუახლოვდი. ის თავდაპირველად ცხოვრობდა ჩვენს მეზობლად — ანდრო წერეთლის ფიცრულ სახლში (ცაცხეების ქუჩაზე, № 32). პოეტის ბიოგრაფიიდან ცნობილია დიდმნიშვნელოვანი ფაქტი: ქუთათელი ჭაბუკები ვლადიმერ მაიაკოვსკი და გალაკტიონ ტაბიძე დამეგობრდნენ და ერთად ჩაებნენ რევოლუციურ მოძრაობაში. რევოლუციონერთა წრე იკრიბებოდა მუშა ივანე ნაცვლიშვილის ბინაზე — ბესიკ გაბაშვილის გორასთან.

სახელოვან მგოსანს განსაკუთრებით იზიდავდა უქიმერიონის მიდამოები. მარტო არასოდეს გამოცხადებულა. აქ სხვადასხვა დროს მას ახლდნენ: მწერალთა კავშირის განყოფილებიდან — დია ჩიანელი, ვანიონ დარასელი, გიორგი სამხარაძე, სერგო ფხაკაძე, მამია ასათიანი, სევერიან ისიანი, საქალაქო გაზეთის რედაქციიდან — გიორგი ჭიბლაძე, შოთა ქურიძე, ვალერიან ლალიაშვილი, გრიგოლ რუხაძე, ფოტოხელოვანი დავით მხეიძე...

ყოველ ამოსვლაზე გალაკტიონი გასწევდა ტაძრის სამხრეთ კედლის მარცხენა (პირველ) კარისაკენ და შეჩერდებოდა (ამ ადგილიდან აღიქვამდა ტაძრის შიგნითა ხედს), შემოუვლიდა ტაძარს, ავიდოდა უქიმერიონის მაღლობზე (აქ სამლოცველოს ნაშთია), გასცქეროდა ქალაქს, გელათსა და ხვამლს. დაათვალიერებდა მშობლიურ სკოლას, სადაც მას შეეგებებო-

დნენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმიდან ჯაჯუ ჯორჯიკია და მესამე შვიდწლედიდან პეტრე ბახტურიძე. შემდეგ ისევ ტაძრის ეზოში დაესხდებოდით და ვსაუბრობდით. გაიხსენებდა სასულიერო სასწავლებელში ყოფნას, იმჟამინდელ მეგობრებსა და მასწავლებლებს. ტაძრისა და უქიმერიონის მიდამოს კეთილმოწყობას შეხაროდა. გალაკტიონს შევხვედრივარ უქიმერიონის მკვიდრთა ნესტორ ყუბანეიშვილის, ბართლომე კუხიანიძის, ვასილ ამაშუკელის, პეტრე ბახტურიძისა და ბაგრატ კვიციანიძის ოჯახებშიც.

1945 წლის 3 დეკემბერს დავესწარი იუბილეს, რომელიც გალაკტიონის მონაწილეობით გაიმართა ლაღო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში. ომისშემდგომ, ერთხელ, მგოსანი წყალტუბოდან მანქანით ამოვიდა სათაფლიაზე, გელათი და მოწამეთა კი რამდენჯერმე უნახავს...

ამ საღამოზე საინტერესო სიტყვით გამოვიდა აკადემიკოსი, გიორგი ჯიბლაძე. მან ასე დაიწყო: გენიალური პოეტის საიუბილეო დღეებში იმდენი რამ ითქვა კარგი, ფილოსოფიური, ღრმა და ლამაზი, რომ თითქოს ამოიწურა სათქმელი. ბევრმა შესანიშნავმა ეპითეტმა გაიღვა, მაგრამ ვერ მოიძებნა, ვერ გამოინახა ის ეპითეტი, ის ფორმულა, რაც გალაკტიონის პოეზიის სიღიადეს, მის სიმაღლეს გაუტოლდებოდა და ეს არც გასაკვირია, რადგან შეფასებას ღრო სჭირდება.

როცა ქართული კულტურის, კერძოდ, პოეზიის გამდიდრებაში ქუთაისის წვლილზე შეჩერდა, განაცხადა: ქუთაისს შეუძლია იამაყოს სამი გენიოსი პოეტით. ქუთაისმა მეცხრამეტე საუკუნეში აკაკი გამოაბრწყინა, მეოცე საუკუნეში კი—მაიაკოვსკი და გალაკტიონი—საბჭოთა ეპოქის ეს ორი ტრუბადური, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ გალაკტიონისათვის არ

არსებულა კითხვა — „მივიღო თუ არა რევოლუცია“. მან ამ კითხვის გარეშე დაწერა „დროშები ჩქარა!“

ჩემს გამოსვლაში ვთქვი, რომ გალაკტიონი ქუთაისში დაუახლოვდა სულმნათ აკაკი წერეთელს და პირადად გაიცნო რუსი პოეტები — ჯერ ვლადიმერ მაიაკოვსკი და შემდეგ კონსტანტინე ბალმონტი, რომ მაიაკოვსკი და გალაკტიონი გაერთიანებულ იყვნენ რევოლუციონერთა წრეში. ეს წრე ცხრა-ასხუთიან წლებში იკრიბებოდა ბესიკ-გაბაშვილის გორაზე, ნაცვლიშვილების სახლში.

ცნობილმა რუსმა პოეტმა და დრამატურგმა, ჟურნალ „ოგონიოკის“ მთავარმა რედაქტორმა ანატოლი სოფრონოვმა დაახლოებით ასე მიმართა ხალხს:

ბედნიერი ხართ, რომ ცხოვრობთ ამ ლამაზ ქალაქში — გალაკტიონის ქალაქში. დღეს მზე განსაკუთრებით ანათებს, მთელ თავის სითბოს აფრქვევს გალაკტიონის იუბილეს და ჩვენ, სტუმრებსაც, ნაწილობრივ გვხვდება ამ შუქისა და სითბოს ძალა. მე ქართული არ ვიცი, მაგრამ კარგად გავიგე აქ გამოსული ორატორებისაგან ნათქვამი ~~მაიაკოვსკისა და ტაბიძის შესახებ სწორად~~ ამბობდნენ ორატორები. ამ ორ პოეტს სიცოცხლის დასაწყისიდანვე არ შეეძლო ყოფნა უერთმანეთოდ და მათი გზაც განუყრელად მიემართება უკვდავებისაკენ.

გალაკტიონის პირველი წიგნი

პოეტმა ანდრო თევზაძემ 1974 წელს გამომიგზავნა ასეთი შინაარსის ბარათი:

მივიღე შენგან მოძღვნილი საჩუქარი — ჩვენი საუკუნის პირველი დიდი პოეტური წიგნი. შესანიშნავად დაუბეჭდავთ,

მაგრამ გაკვირვებული დავრჩი: რატომ ამოუღიათ ივანე გომართელის წერილი. ვითომ დიდად საშიშია, რომ „სევდის მგოსანი“ უწოდა გალაკტიონს?! მაშინ რატომ არ გამოტოვეს სევდიანი ლექსები?

ლექსები უცვლელადაა. ასევე მათი ზომა, შრიფტი, გვერდთა რაოდენობა. ისიც შევნიშნე, რომ 32-ე გვერდზე მოთავსებული ლექსი „უკანასკნელი დღე“ 33-ე გვერდზე მეორდება.

წიგნისათვის არ დაურთავთ სატიტულო ფურცელი, სადაც აღინიშნებოდა: რედაქტორი, კორექტორი, მთავლიტი, სტამბა, ტირაჟი, თარიღი, ფასი. ეს არის აკადემიური სახით აღდგენა? გული დამწყდა, რომ ამ ძვირფას კრებულს ნაკლი აღმოაჩნდა. ეს იმას ჰგავს, რომ იშვიათ შეჭამანდს აკლდეს გემო — არ ჰქონდეს მარილი...

1974 წელს გაზეთ „ლიტარატურულ საქართველოში“ (№6), სახალხო პოეტ-აკადემიკოსის პირველი წიგნის 60 წლისთავთან დაკავშირებით, გამოქვეყნდა გივი მეფისაშვილის სტატია. მასში ვკითხულობთ: გალაკტიონის საიუბილეო დღეებში კარგი საქმე გააკეთეს ქუთათურებმა, მცირე ტირაჟით, როგორც სუვენირი, პირვანდელი სახით გამოსცეს მგოსნის წიგნი.

ანდრო თევზაძის შენიშვნა საგულისხმოა. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია მკითხველს მივაწოდო ეს განმარტება: ტუტკუ გვარამიასეული წიგნი რომელიმე გამომცემლობის გეგმაში გათვალისწინებული არ ყოფილა. დამზადდა მხოლოდ ორასი ცალი და სამახსოვროდ მიიღეს ქუთაისში გალაკტიონის იუბილეზე (1973 წლის 3 ნოემბერს) საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან ჩამოსულმა სტუმრებმა. ყოველ ეგზემპლარში მოთავსებული იყო ერთი ფურცელი ბექდური წარწერით

(ქართულ და რუსულ ენებზე). დანართ ფურცელზე ეწერა: „გალაკტიონ ტაბიძემ ბავშვობა და სიჭაბუკე „სავარდო და სამაისო“ ქუთაისში გაატარა. აქ 1914 წელს დაიბეჭდა მისი ლექსების პირველი წიგნი. ამ კრებულმა მგოსანს საყოველთაო აღიარება მოუპოვა.

საქართველოს სახალხო პოეტის 80 წლის იუბილეზე ძვირფას სტუმრებს აღდგენილი სახით ვთავაზობთ გალაკტიონის ლექსების პირველ წიგნს, რაც შესრულდა მისი სახელობის სტამბაში. 1973 წელი“.

მკითხველი დააინტერესა ამ უნიკალურმა კრებულმა. უმჯობესი იყო, რომ ის უცვლელად და მთლიანად მასობრივი ტირაჟით გამოეშვა რომელიმე გამომცემლობას.

საალგომო დოკუმენტები

გალაკტიონი იყო დიდი არქივარიუსი. მის ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან ერთად ჩვენ დაგვრჩა მდიდარი მასალა, რომლის უმრავლესობა დაცულია საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში, ხოლო ნაწილი ინახება სხვადასხვა სიძველეთსაცავსა და კერძო პირთან.

ლიტერატურული მუზეუმი აგროვებს და სწავლობს დიდი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ მასალებს. ავსებს მას მგოსნის სახელთან დაკავშირებული დოკუმენტების ფოტოასლებით, სხვადასხვა სურათითა და გალაკტიონთან ახლო ურთიერთობაში მყოფ პიროვნებათა პორტრეტებით.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისში ფოტოდენებს ინახავენ შემდეგი პირები: გალაკტიონის პირველი წიგნის გამომცემელ ტუტკუ გვარამიას მეუღლე — პედაგოგი ნინო აბესაძე, ჟურნალისტი დუდე გედენიძე, პოეტი ლილი ნუცუბიძე, პედაგოგი პავლე ხმალაძე.

ფოტოხელოვან დავით კონსტანტინეს ძე მხეიძის (1903-1964) არქივის ესაჭიროება სპეციალური შესწავლა (თავმოყრა და დამუშავება).

აქ მოკლედ შევეხები დავით მხეიძის ნამუშავეის მნიშვნელობას. არქივის ნაწილი დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

საყოველთაოდ ცნობილია დავით მხეიძის ნახელავი — გალაკტიონის შეუღარებელი პორტრეტი: ღრმად ჩაფიქრებული პოეტის სახეზე იკითხება დიდი შთაგონება, ჩაუქრობელი შინაგანი ცეცხლი.

ნეკროლოგში დავით მხეიძეზე ნათქვამია: „ასეთი სურათის შექმნა ფოტოხელოვანს არ შეეძლო მგოსნის შემოქმედების, მისი ბუნებისა და განწყობილების ღრმა ცოდნისა და მისდამი სიყვარულის გარეშე“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ 1964. № 9).

გალაკტიონი ხშირად ესტუმრებოდა ქუთაისის შემოქმედებითს დაწესებულებებს (რედაქციებს, მწერალთა კავშირის განყოფილებას, თეატრს). ამ დაახლოებას ადასტურებს ჟურნალისტებსა და მწერლებთან გადაღებული ორი ფოტოდოკუმენტი.

ნიკა აგიაშვილი წერს: „პარიზიდან ახლადდაბრუნებული გალაკტიონი წყალტუბოში ისვენებდა. ერთი ნაცნობი ქალის დაკრძალვაზე ქუთაისს ჩამოვიდა. იმავე დღეს რედაქტორის კაბინეტში იჯდა და რედაქციის მუშაკებს მოუთხრობდა პა-

რიზის ამბებს. წვიმა რომ შეწყდა, ქალაქის ბაღში მასთან სურათი გადავიღეთ.

ამ სურათში დავით მხეიძის მიერ გალაკტიონთან ერთად აღბეჭდილი არიან: იუზა ზარდალიშვილი, გიორგი ჯიბლაძე, პარმენ შელეგია, მამია ასათიანი, ბონდო კეშელავა, მიხეილ დავითაშვილი, იროდიონ ხანთაძე, ნიკა აგიაშვილი. გალაკტიონმა იქვე, ხის ძირში, ცალკე გადაიღო სურათი. ეს ფოტოები ამჟამად ინახება საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში“ („ჭაბუკები დარჩნენ მარად“. 1971. გვ. 68).

ფოტოსურათი. — გალაკტიონი უურნალისტებსა და მწერლებთან გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის“ რედაქციაში — 1944 წელს გადაიღო დავით მხეიძემ. მასში სხედან: ვალერიან ლალიაშვილი, გალაკტიონი, ეგგენი ფურცხვანიძე, გიორგი სამხარაძე; დგანან: ვლადიმერ გუგუშვილი, შოთა ქურიძე, რუთა ბეროძე, ენვერ სადიკოვი. ეს ფოტო დღემდე ორჯერ გამოქვეყნდა (გაზ. „სტალინელი“. 1961. № 67; 1972. № 132) და საიუბილეო ალბომშიც შევიდა.

ომამდელი დოკუმენტებიდან აღსანიშნავია დავით მხეიძის არქივში შემონახული უცნობი ფოტო — გალაკტიონი და გიორგი სამხარაძე.

შთაბეჭდილებათა წიგნში დაცულია საქართველოს სახალხო პოეტთა გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძისა და იოსებ გრიშაშვილის ჩანაწერები.

გალაკტიონის შეფასებით: „დიდი ბუნებრივობა, სიუბრალოე, იშვიათი არტისტულობა, გრძნობა სინამდვილისა, კულტურა და მგზნებარე ნიჭი — აი, რა არის ძვირფასი ჩვენი ოსტატის ფოტოხელოვნებაში. ჩემი პორტრეტები პირდაპირ შედევრებია. დიდი მადლობა დავით კონსტანტინეს ძე მხეიძეს. 1942 წ. 27 დეკემბერი. ქ. თბილისი“.

სადავო და გასარკვევია, თუ როდის დაიწერა და სად დაიბეჭდა პირველად გალაკტიონის კლასიკური ლექსი ქუთაისზე.

ამ საკითხის შესახებ ორი სხვადასხვა მოსაზრება არსებობს.

ნიკა აგიაშვილის პოპულარული წიგნის „ჭაბუკები და რჩნენ მარად“ მეორე გამოცემაში (1964) წერია: ქუთაისის თეატრში გამართულ საღამოზე გალაკტიონმა წაიკითხა პარიზის მსოფლიო კონგრესის (1935) შემდეგ შექმნილი ახალი ლექსები. საზოგადოების თხოვნით წარმოთქვა „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო“, რომელიც პირველად ქუთაისის გაზეთში იყო დაბეჭდილი (გვ. 51).

ნიკა აგიაშვილმა ეს ადგილი მესამე გამოცემაში (1971) შეცვალა — ამოიღო წინადადება „რომელიც პირველად ქუთაისის გაზეთში იყო დაბეჭდილი“. ჩანს, ნ. აგიაშვილი ცნობამ დააეჭვა (შდრ. გვ. 70). მიზეზი გამოვკითხე ნ. აგიაშვილს. მან თქვა: მე არ მახსოვსო.

სადავო ცნობა მომდინარეობს გამოჩენილი კრიტიკოსისა და ჟურნალისტის პეტრე ბახტურიძის სტატიიდან „დაუვიწყარი წლები“. პ. ბახტურიძე წერს: „ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა გავახსენო შკითხველებს, რომ საამაყო გალაკტიონის პოეზიის ერთი ბრწყინვალე ამონასუნთქი — „წყალტუბოდან ქუთაისში...“ პირველად ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა“ (გაზ. „სტალინელი“. 1961. № 67).

მხოლოდ ზემოთ მითითებულ წყაროებზე დამყარებით და უკრიტიკოდ აღიარებულია, რომ ლექსი პარიზიდან ქუთაისში გალაკტიონის დაბრუნების შემდეგ დაიწერა და პირველად

ადგილობრივმა გაზეთმა გამოაქვეყნა (იხ. გ. მეფისაშვილის სტატიები: გაზ. „თბილისი“. 1972. № 212; კრებულები: „ძველი და ახალი ქუთაისი“. 1973. გვ. 176; სადღეგრძელო იყოს მისი. 1973. გვ. 245).

შევამოწმოთ ეს ცნობა.

გალაკტიონის „თხზულებათა აკადემიური გამოცემისათვის“ (ტ. IV. ლექსები, 1932—1940. 1966) ამ ლექსის ტექსტი, ვარიანტები და შენიშვნები მოამზადა იოსებ ლორთქიფანიძემ.

აქ ნათქვამია, რომ „ავტორის მიერ ლექსი 1932 წლითაც არის დათარიღებული“ და დაიბეჭდა 1938 წელს ჟურნალ „მნათობში“ (№ II). „ლექსი პირველი პუბლიკაციის მიხედვით“ დათარიღდა (იხ. გვ. 388—389).

ი. ლორთქიფანიძის კომენტარში გამორჩენილია ერთი წყარო:— პ. ბანტურიძის სტატია.

კომენტარში ყურადღებას იპყრობს ცნობა: პოეტ იოსებ ნონეშვილის არქივში ინახება პაპიროსის კოლოფზე 1940 წელს გალაკტიონის ხელით დაწერილი ლექსი.

გიორგი ჩიქობავა იგონებს: „ქუთაისიდან მატარებლით მომავალმა პოეტმა ვილაცას პაპიროსის კოლოფზე წაუწერა ლექსი. უცნობმა მგზავრმა ძვირფასი წარწერა ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში მიიტანა. აქ გალაკტიონის ხელი იცნეს და დაბეჭდეს“ (იხ. ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“. 1960. № 2. გვ. 83).

ეს ცნობა სარწმუნოა ნაწილობრივ და, აი, რატომ.

გალაკტიონი სახალხო მთქმელი ხომ არ იყო, რომ რედაქციას მისდა უნებართვოდ დაესტამბა ნაწარმოები! ჟურნალ „მნათობში“ მოთავსებულია ლექსთა ციკლი „პრელუდიები“ და არა მხოლოდ ერთი ლექსი.

ამათ გარდა, აკაკი გაწერელია გარკვევით ამბობს: „გალაკტიონი აპირებდა ქუთაისზე პოემის დაწერას. ვსთხოვე განზრახული პოემის დასაწყისი ჩემთვის წაეკითხა. ნაწერი გამოვართვი და მეც უხმოდ მივადევნე თვალი ტაეებს „წყალტუბოდან ქუთაისში...“ მე ვსთხოვე გალაკტიონს არ გაეგრძელებინა იგი და სასწრაფოდ გადაეცა დასაბეჭდად. პოეტი შეეყოყმანდა. მე დაეინებით განუმეორე თხოვნა, რაც მან შემისრულა კიდევ. ლექსი „მნათობში“ გამოაქვეყნა დამოუკიდებელი კუპლეტის სახით“ (იხ. რჩეული ნაწერები. ტ. I. 1962. გვ. 630).

ზემოთ გამოთქმული შენიშვნა რომ სწორია, იქიდანაც ჩანს, რომ გიორგი ჩიქობავამ თავის წიგნში „გალაკტიონის ახლო“ (1966) საეჭვო ადგილი დახვეწა და საბოლოოდ ასე იკითხება: „ქუთაისიდან მატარებლით მომავალმა პოეტმა კოლოფზე წააწერა ლექსი... შემდეგ ეს ლექსი ხალხმა აიტაცა და სიმღერად აქცია“ (გვ. 9).

ყურადღებით გადავათვალიერე ქუთაისის საქალაქო გაზეთის სრული კომპლექტები 1932 წლიდან 1939 წლამდე, მაგრამ ლექსი არ აღმოჩნდა. მოვძებნე სპეციალურად გალაკტიონისადმი მიძღვნილი საიუბილეო ნომერიც ლიტერატურული გაზეთისა („საბჭოთა მწერალი“. № 9. ივლისი. ქუთაისი).

მნიშვნელოვანია გრიგოლ იარალოვის მოგონება. გრ. იარალოვი 1934 წლის შემოდგომაზე წყალტუბოში შეხვედრია გალაკტიონს და უთქვამს შემდეგი:

ვიცი თავდავიწყებით გიყვართ ეს მხარე და მიკვირს ამ დიადი მშენებლობის პათოსის მოწმეს აქამდე სტრიქონი არ მიგიძღვნიათ წყალტუბოსათვის.

გრ. იარალოვი განაგრძობს: პოეტმა უცნაურად გამილი-

მა, უბის წიგნაკი ამოიღო, სწრაფად რაღაც დაწერა ფანქრით. ფურცელი ამოხია, გადმომცა და წავიდა. რამდენჯერმე სულმოუთქმელად წავიკითხე ლექსი...

„საამო ჰანგებად ჩამეწვეთა გულში ეს ლირიკული სტრიქონები. იმავე დღეს შესანიშნავ მუსიკოსს, ლოტბარ ბიძინა ლოლობერიძეს ვაჩვენე. ძალიან მოეწონა, — ეს ხომ თვით მუსიკააო, — და გადაიწერა.

მალე რადიოთი მოვისმინე დღეს საკმაოდ გავრცელებული შესანიშნავი სიმღერა. გალაკტიონმა კი ეს ტექსტი მხოლოდ „მნათობის“ 1938 წლის მეთერთმეტე ნომერში გამოაქვეყნა“.

გრ. იარალოვის მოგონებას ახლავს გალაკტიონის ლექსის ფაქსიმილე („შეხვედრები წყალტუბოში“: წყალტუბოს რაიონული გაზ. „დროშა“. 1971. № 75).

პირადად მე ეს ლექსი 1935 წელს გამაცნო ჟურნალისტმა შალვა კობოძემ. მან მითხრა, რომ ლექსი გალაკტიონს წყალტუბოში დაუწერია პაპიროსის ცარიელ კოლოფზე. ქუჩაში ნაპოვნი კოლოფი ქუთაისის გაზეთის რედაქციაში ვილაცას მიუტანია. შ. კობოძე აღფრთოვანებული იყო და მის მიერ გადაწერილ ლექსს პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებს უკითხავდა.

ჩანს, ლექსი მართლაც შევიდა რედაქციაში და ავტორთან შეუთანხმებლად არ დასტამბულა. უთუოდ ეს ფაქტი ჰქონდა მხედველობაში პეტრე ბახტურიძეს, მაგრამ ზუსტად ვერ აღუდგენია. გარდა ნ. აგიაშვილისა, ამ ფაქტის შესახებ არა ახსოვთ რა გაზეთის იმდროინდელ მუშაკებს ნ. ცხაკაიას, ს. ფხაკაძეს, რ. ბეროძეს...

ამ სტატიის დედანი გასაცნობად წინასწარ გავუგზავნე

გიორგი ჯიბლაძეს და თან ვკითხე: რას იტყვით თქვენ ამ საკითხზე, რა განსოვთ?

გიორგი ჯიბლაძემ, რომელიც 1933 წლიდან შეიდი წლის მანძილზე განუწყვეტლივ მუშაობდა ქუთაისის საქალაქო გაზეთის რედაქციაში, წერილობით მიპასუხა შემდეგი:

„ქუთაისის განთქმულ ბაღში გალაკტიონთან ერთად გადაღებული სურათი მოწმობს დიდი პოეტის მეგობრულ დამოკიდებულებას ჩვენი გაზეთის იმდროინდელი მუშაკებისადმი. ჩვენ უსაზღვროდ გვიყვარდა პოეტი და მასთან სიახლოვე გვეამაყებოდა. გალაკტიონი 1930 წელს გავიცანი თბილისში, ჩემი სტუდენტობის დროს. მის შემდეგ პოეტთან განუყრელი მეგობრობა მქონდა. ბევრი რამ მახსოვს, მაგრამ „წყალტუბოდან ქუთაისში“ პირველად სად დაიბეჭდა — ვერ მოვიგონე. გონებას მართოდენ ის შერჩა, რომ ლექსმა, როგორც კი წავეკითხე, რაღაც უცნაურად შეარჩია მთელი ჩემი არსება და იმ დღიდან მოყოლებული მისი სტრიქონები ზეპირად ვიცი. „ჩემი ქუთაისი“ ნამდვილი მარგალიტია გალაკტიონის პოეტურ საგანძურში. ეს ლექსი პოეტური უშუალობისა და ბუნებრივობის კლასიკური მაგალითია. გენია თითქოს ისვენებს და სუნთქავს როგორც გენია.

გალაკტიონის მიერ დაწერილი მისალოცი წერილიდან ცნობილია, რომ მწერლებისადმი „გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის“ იშვიათად გულთბილი და მეგობრული დამოკიდებულება არ შეიძლება არ აღინიშნოს“ (გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისი“. 1946 წლის 3 აპრილი).

კლასიკური ლექსი „ნიკორწმინდა“ გალაკტიონმა 1947 წელს შოვიდან დაბრუნებისთანავე პირველად მოათავსა გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისში“ (№ 166). ამავე გაზეთში დაიბეჭდა აგრეთვე „ჩვენი მნათობი ცეცხლისფერია“ (1938 წ.

№ 171) და „რევოლუციურ საქართველოს“ (1941 წ. № 47).

ასეთი ზუსტი დოკუმენტის პოვნა გაამართლებს ცნობილ აზრს (გალაკტიონის ლექსი ქუთაისზე პირველად ქუთაისში დაიბეჭდა) და არა მხოლოდ ზეპირსიტყვიერი ნათქვამი.

გამოირკვა, რომ გალაკტიონის ლექსი ქუთაისზე დაიწერა 1932 წელს, დაბეჭდვამდე ხელნაწერად ვრცელდებოდა და იმდენად პოპულარული იყო, რომ სიმღერად იქცა, პირველად გამოქვეყნდა 1938 წელს ჟურნალ „მნათობში“ (№ 11).

ლექსის სათაურის შესახებ შევნიშნავ შემდეგს:

„მშვენიერო ქუთაისო — სავარდო და სამაისო“ — აკაკის სტრიქონებია, ეს წარმტაცი სურათი აკაკის კუთვნილებად დამკვიდრდა.

თუმცა გალაკტიონის ლექსი ორიგინალური გააზრებითა და ფორმით გამოირჩევა, მაგრამ მისი გამოთქმა „მაისის ქუთაისი“ მაინც ხომ აკაკისეული მხატვრული სახეა!

აკაკის უწერია „ჩემო ქუთაისო“, მაგრამ ის გალაკტიონმა ისე შთამბეჭდავად აღმოთქვა, რომ უსათაურო ლექსს ქარისადმი „ჩემი ქუთაისი“ უნდა ეწოდოს. ერთი ხელნაწერის მიხედვითაც ცნობილია ლექსის ეს სახელწოდება. ამასთან ერთად არსებობს სხვა ვარიანტებიც: „სიმღერა გუნდისათვის“, „უმალლესი თავისუფლება“, „წყალტუბოდან ქუთაისში“ (იხ. გალაკტიონის თხზულებანი. IV. 1966. გვ. 387).

ამ საკითხზე დაფიქრებულა რევაზ თვარაძე. შესამჩნევია საკუთარი დაკვირვება და მოხდენილი პარალელი:

„რამ ათქმევინა გალაკტიონს — „ისევ იგრძნობს ქუთაისი, ჩემი ქუთაისი?“ ეს ლიტონი „ჩემი“ გაცილებით მეტს

მეტყველებს, ვიდრე საყვარელი ქალაქისადმი მიძღვნილი პოემა თუ რომანი. ეს სიტყვა აქ ისეთივე ფართო შინაარსის შემცველია, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონში: „მოთქვამს: ჰაი, საყვარელო ჩემო, ჩემთვის დაკარგულო“ (გალაკტიონი. 1972. გვ. 18).

როგორც ზემოთ მოყვანილი სრული კერძო წერილიდან ჩანს, გიორგი ჯიბლაძეს მიგნებულად დაუსათაურებია ნაწარმოები — სათაურის ვარიანტთაგან მას გემოვნებით შეურჩევია „ჩემი ქუთაისი“.

საჭიროა გავიხსენოთ, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის შედევრის სახელწოდება „მერანი“ შემდეგ გავრცელდა. ავტორაფს ის არა აქვს.

ამ სტატიის დანიშნულება ისიცაა, რომ გალაკტიონის უსათაურო ლექსს მისი ერთ-ერთი ვარიანტისეული გამოთქმა „ჩემი ქუთაისი“ დაერქვას.

არ შეუცვალა სოფელს სახელი

„ნიკორწმინდა“ ერთ-ერთი კლასიკური ლექსია გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში და ცხადი დადასტურება იმისა, რომ მგოსანს მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე შთამაგონებელი მუზა არ განშორებია. მისი ამოურწყველი საუნჯიდან მარგალიტების ამოღება არ შეწყვეტილა — პოეტის „ამოწურვა“ არ მომხდარა.

გალაკტიონი ჩუმად, უხმაუროდ ავიდა და ერთ ზაფხულს დაისვენა შოვში. იქ მას ღირსეულად შეხვდნენ, მაგრამ

ეს ფაქტი მთელმა რაჭა-ლეჩხუმმა მთელ საქართველოსთან ერთად შეიტყო „ნიკორწმინდის“ დაბეჭდვის შემდეგ. ეს ლექსი პოეტმა შოვიდან დაბრუნებისთანავე პირველად გამოაქვეყნა გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისში“ (№ 166. 30 აგვისტო. 1947).

შოვიდან ქუთაისამდე გალაკტიონთან ერთად ავტობუსით იმოგზაურა დოცენტმა დიმიტრი კოპალიანმა. მგოსანი ესტუმრა რედაქციას და ლექსი გადასცა რედაქტორს ვალერიან ლალიაშვილს, რომელიც რამდენიმე დღის წინ შოვში ისვენებდა.

გალაკტიონის შოვში ყოფნასა და მისი ლექსის შექმნის ისტორიასთან დაკავშირებით დაიწერა მოგონებები (იხ. გ. სამხარაძე — გ. ტაბიძის ერთი ლექსის შესახებ: გაზ. „ქუთაისი“. 1960. № 224; ვლ. გასვიანი—გალაკტიონი შოვში: ყურ. „საქართველოს ბუნება“. 1970. № 3; გაზ. „სოფლის ცხოვრება“. 1975. № 220).

ავტორები მოგვითხრობენ იმის შესახებ, რომ უწერა-შოვის კურორტსამმართველოს დირექტორი სიმონ ყურაშვილი და კურორტ შოვის მთავარი ექიმი ვლადიმერ გასვიანი მზრუნველობდნენ გალაკტიონზე, ნორმალურ პირობებს უქმნიდნენ მას დასვენებისა და შემოქმედებისათვის. გალაკტიონსა და მის მეუღლეს ნინოს ბინა განცალკევებულ კოტეჯში მიუჩინეს. პოეტს ბინის მახლობლად ტყეში დაუდგეს სამუშაო მაგიდა. კურორტის მუშა-მოსამსახურეთა და დამსვენებელთა მონაწილეობით გაიმართა ლიტერატურული საღამო. გალაკტიონმა გულისთქმა გამოხატა ექსპრომტი: „გამხნევებული ვარ ამ ზაფხულის დაუვიწყარი შთაბეჭდილებით“.

თუმცა ეს ნაშრომი მოგონება არ არის, მაგრამ მაინც

ენება და აფასებს ამ დოკუმენტებსაც. მისი მიზანია ახლის თქმა: 1. გალაკტიონის ენისა და პოეტიკის შესასწავლად განვიხილავთ ორიგინალურ რითმებს — ნეოლოგიზმებსა და დიალექტიზმებსაც. 2. დავაზუსტებთ გამოქვეყნებული ერთ-ერთი შემუშარის არასწორ ცნობებს. 3. წარმოვადგენთ ეტიმოლოგიურ დაკვირვებებს სახელწოდებაზე „ნიკორწმინდა“. 4. გალაკტიონის წერილს შევავსებთ უცნობი მასალით, რითაც გამოვლინდება დღემდე შეუსწავლელი ფაქტი: როდის იყო პოეტი სოფელ ნიკორწმინდაში.

საყურადღებოა ერთი სპეციფიკური გრამატიკული მოვლენა. ლექსში გამოყენებულია დიალექტიზმი „რამდი“.

რითმაში „შუქურთმებით — ჩუქურთმებით“ „შუქურ“ იგივეა, რაც „შუქურა“ (მანათობელი). „შუქ“ ძირისაგან წარმოქმნილი ფორმა „შუქური“ დიალექტურია. ამ აზრს ადასტურებს კომპოზიტი „შუქურვარსკვლავი“: ცისკრის ვარსკვლავი — პლანეტა ვენერას ქართული ხალხური სახელი.

რითმაში „დიადება-დიადემა“ გალაკტიონისეული ნეოლოგიზმია „დიადება“. ეს ფორმა ნაწარმოებია ანალოგიით და ისევე კანონიერია, როგორც ფორმა „დიადობა“ (სიდიადე).

პოეტური ლიცენციის ნიმუშია „შეკონება“ (რითმა „შეკონება — გეგონება“). სალიტერატურო ენის წესისამებრ, ზმნის „შეკონავ“ ფუძისაგან მიიღება მასდარი „შეკონვა“: „ჩემთვის გვირგვინის შეკონვა მსურდა“ (გალაკტიონი), „შეკონება“ კი ხელოვნურია, რადგან არ არსებობს ზმნის ფუძე „შეკონებ“. მიუხედავად ამისა, ლექსის ეს ადგილი (სტროფი) უძლიერესია და ემოციური.

ცოცხალ მეტყველებას ყველა გენიოსი შემოქმედი მიმართავდა.

საბჭოთა პოეზიის კანონმდებლის გალაკტიონის ფორმალურ ძიებათა, მის სიტყვათშემოქმედების შესახებ იგივე შეიძლება გავიმეოროთ, რაც აკადემიკოსმა გიორგი ჯიბლაძემ აღნიშნა ერთ-ერთი უკვდავი წინაპრის მიმართ: „რად სჭირდებოდა მას ბრმად გაჰყოლოდა სხვის მიერ დადგენილ წესებს, როცა თვითონვე ქმნიდა გენიალურ კანონებს“ (იხ. ბარათაშვილის პოეტური გენია. 1968. გვ. 198).

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ვლ. გასვიანი აღწერს რაჭა-ლეჩხუმის ბუნებას (რიონის ხეობაში) და ეხება ისტორიულ ადგილებსაც — ხვამლის მთას, საირმის „უდაბნოს“, ბარაკონის მიდამოებს, რომელთა მშვენებით მოიხიბლა გალაკტიონი. ავტორი განაგრძობს: „მგოსანი აღაფრთოვანა ნიკორწმინდამ — მეთორმეტე საუკუნის არქიტექტურულმა ძეგლმა უძველესი ეკლესიით“.

გვაქვს ფაქტობრივი შენიშვნა: ძეგლად ითვლება ტაძარი (ეკლესია). ასეთი შენობა ნიკორწმინდაში ერთადერთია, „ნიკორწმინდა“ არის ბაგრატის ტაძარი რაჭაში. ბაგრატ მესამის ორი მონუმენტური ტაძრის მშენებლობა დასრულდა ქუთაისში უქიმერიონზე 1003 წელს და ნიკორწმინდაში კი — 1014 წლამდე. მაშასადამე, ნიკორწმინდის ტაძარი აგებულია მეათე-მეთერთმეტე საუკუნეთა მიჯნაზე და არა მეთორმეტე საუკუნეში.

სოფლის, ტაძრისა და ლექსის ისტორიიდან სამახსოვროა შემდეგი ცნობები:

(იხ. აქვე — რას ნიშნავს „ნიკორწმინდა“).

საბჭოთა ეპოქაში რაჭის ზოგიერთ სოფელსაც რელიგიური სახელწოდებები გამოუცვალეს და ახალი შეურჩიეს. ნიკო-

რწმინდას დაარქვეს „სინათლე“, მრავალძალს — „მთისკალთა“, კვირიკეწმინდას — „კორტი“, ჯვარისას — „შრომა“. ასე მოხდა სხვა კუთხეებშიც. მაგალითად, ახლანდელ „შრომას“ გურიაში წინათ „მიქელ-გაბრიელი“ ერქვა.

ამას გარდა, როცა გალაკტიონის „ნიკორწმინდა“ დაიწერა (1947 წ.) „სინათლეში“ ტაძრის სანახავად არ დადიოდნენ, რადგან შენობა საწყობად იყო გამოყენებული. ახლახან (1960 წლიდან) მხოლოდ ამ სოფელს დაუბრუნდა ადრინდელი სახელწოდება, რაც, უდავოდ, გალაკტიონის ლექსის გავლენით უნდა აიხსნას. ლექსმა დაიცვა და აღადგინა „ნიკორწმინდა“.

ამას წინათ გამოქვეყნდა ძვირფასი საარქივო მასალა — გალაკტიონისავე — როგორ დაიწერა „დროშები ჩქარა!“ და „ნიკორწმინდა.“ ხელნაწერს უზის თარიღი: 1948 წლის 2 ნოემბერი (იხ. ჟურ. „ცისკარი“. 1969. № 5. გვ. 156).

გალაკტიონი მოგვითხრობს:

„...მოხუცმა ნიკორწმინდელმა დურგალმა ნიკოლოზ ვაჩაძემ დიდის გულმოდგინებით გაკეთებული მაგიდა დამიდგა ტყეში — მუხის ქვეშ, გაიყვანა რა ბილიკი ვილიდან ჩემს მაგიდამდე და ამგვარად ჩემს განკარგულებაში იყო ახალთახალი ხეივანი, ჩემთვის სრულიად საკმარისი... როდესაც ნიკორწმინდელი დურგალი შოვში მაგიდას მიკეთებდა, თან მიყვებოდა ამბებს ნიკორწმინდის ჩუქურთმების შესახებ და მე დავპირდი მას, რომ ამ მაგიდაზე დავწერ რაიმეს იმ ძეგლზე. მერე დაპირება შევასრულე, ვინაიდან მე ჩვეული არა ვარ დაპირების არ შესრულებას. იმ დღესვე დავწერე „ქებათა ქება ნიკორწმინდას“.

გალაკტიონის ამ არასრულ მოგონებას ესაჭიროება შეევსება: გასარკვევია, თუ როდის იყო პოეტი სოფელ ნიკორწმინდაში.

ამ საკითხზე სიმონ ყურაშვილმა (ცხოვრობდა თბილისში) მომავლად შემდეგი საინტერესო ცნობა:

„გალაკტიონ ტაბიძე 1947 წლის აგვისტოში მანქანით გაემგზავრა ნიკორწმინდაში და რომ დაბრუნდა, ძალზე აღელვებული იყო: ასეთი ისტორიული ძეგლი არ არის დაცული და გამოყენებულია კოლმეურნეობის საწყობადო. ნიკორწმინდიდან დაბრუნებულს თავისი მაგიდა დამთავრებული დაახვედრა იმავე სოფლის მცხოვრებმა ღურგალმა ნიკო ვაჩაძემ (გარდაიცვალა 1967 წელს) და სწორედ დაბრუნების დღეს დაწერა ლექსი ნიკორწმინდაზე. ასე რომ პოეტის იქ გამგზავრება და ყოფნა საეჭვო არ არის“.

სოფელ ნიკორწმინდაში ამჟამად ახსოვთ ეს ფაქტი, სიამაყით იგონებენ პოეტთან დაუვიწყარ შეხვედრას. ნიკორწმინდაში გალაკტიონის მნახველები დღესაც ცოცხალი არიან.

ნიკორწმინდელ ინფორმატორთა ჩანაწერები ამბროლაურიდან გამომიგზავნა ლიტერატორმა ბიძინა ნემსიწვერიძემ.

მემუარული მასალა შემდეგ უმთავრეს ცნობებს შეიცავს: ძველი კომუნისტი ირაკლი კობახიძე მოგვითხრობს: გალაკტიონ ტაბიძე 1947 წლის ზაფხულზე ისვენებდა შოვში. ერთი დღით ყოფილა სოფელ ნიკორწმინდაშიც და უნახავს ტაძარი. ტაძრის ეზოში მთიბავები მუშაობდნენო. მისალმებისა და გამოსაუბრების შემდეგ პოეტს ერთი მათგანისათვის გამოუერთმევია ცელი, გაუღევს მხარზე, მერე ხალისიანად მოუსვამს, ცოტა ხანს უთიბავს ბალახი. ბოლოს თავაზიანად გამომშვიდობებია მთიბავებსა და უკანვე გაბრუნებულა.

ტაძრის მცველი ივანე შავლაძეც ადასტურებს, რომ 1947 წელს სოფელ ნიკორწმინდაში მისულ გალაკტიონს შეხვდნენ მაშინდელი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე სიმონ შავლაძე,

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვახტანგ კობახიძე და მთიბავი კოლმეურნენი.

ივანე შავლაძე გვაცნობს ნიკოლოზ ვაჩაძის ბიოგრაფიასაც. ნიკოლოზ სპირიდონის ძე ვაჩაძე დაიბადა 1891 წელს და გარდაიცვალა 1967 წელს. იყო საუკეთესო ოსტატი. მას შეეძლო ხეზე ამოეკვეთა ჩუქურთმებიც. ამასთან ერთად ეხერხებოდა საინტერესო ამბების მოყოლა. ჰყავს ორი ასული და ოთხი ვაჟი. ზაფხულობით ხშირად მუშაობდა შოვში. იქ თითქმის ყველა ხის შენობა მისი ნახელავია. გალაკტიონმა და ნიკომ შოვში გაიცნეს ერთმანეთი და დამეგობრდნენ.

სახელწოდება „სინათლე“ ოცდაათ წელიწადს არსებობდა: დაერქვა სოფელს 1930 წელს და გადაერქვა 1960 წელს. ამ კონკრეტულ საკითხს ეხებოდა რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, ლენინის ორდენოსანი არქიპო კანდელაკი (ცხოვრობდა თბილისში).

ნიკორწმინდის ტაძარი თვალსაჩინოდ გადაღებულია ეკრანზე აკაკი წერეთლის მოგზაურობის ამსახველ დოკუმენტურ კინოფილმში. ვასილ ამაშუკელს ახსოვდა, რომ გალაკტიონმა ეს ნაწარმოები უძველესი სახით ნახა ქუთაისში ჯერ კიდევ 1912 წელს. პოეტი მაშინაც ეტრფოდა ნიკორწმინდას.

გალაკტიონმა რაჭა პირველად და უკანასკნელად ინახულა 1947 წლის ზაფხულზე. შოვიდან სპეციალურად მანქანით გაემგზავრა სოფელ ნიკორწმინდაში და დაათვალიერა ტაძარი. შოვში დაბრუნებისთანავე ლექსი მას შთააგონა ნიკორწმინდელმა მოხუცმა, აწ გარდაცვლილმა ნიკოლოზ ვაჩაძემ, რომელიც, ჩანს, ნამდვილი მჭევრმეტყველი ყოფილა. უებრო დურგლის ოსტატობით მოჩუქურთმებული სიტყვა (ნათქვამი) გალაკტიონის სულიერ ქურაში გადადნა პოეტურ შედეგად.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ 1977 წელს გამოუშვა პროფესორ მიხეილ კვესელავას კაპიტალური მონოგრაფია „პოეტური ინტეგრალები“. ეს წიგნი (666 გვერდი) უძვირფასესი შენაძენია საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში.

მონოგრაფია ავტორის ორიგინალურ დაკვირვებებს შეიცავს, დაწერილია ღრმა ცოდნით, გამართული და მიმზიდველი ენით. გალაკტიონ ტაბიძე შესწავლილია მსოფლიო პოეზიის შუქზე — მის სულიერ წინაპრებსა და თანამედროვეებთან ურთიერთობაში.

ნაშრომში თავიდან ბოლომდე იგრძნობა მისაბაძი სიფრთხილე: მკვლევარი ყოველმხრივ იცნობს მგოსანს და მის მოქალაქურ ბუნებასაც. შეფასებისას ნიადაგ ემყარება გალაკტიონის ნააზრევს (ზეპირნათქვამს ან წერილობითს ცნობას). ამ მასალაზე მიხეილ კვესელავა ქმნის საინტერესო თეორიულ შეხედულებებს.

ქების ღირსია მიხეილ კვესელავას მუშაობა. რადგან კვლევა მომავალში ამ გეზით უნდა წარიმართოს, საჭიროა ვამზილოთ ის პირები, რომლებიც აკრიტიკებდნენ გალაკტიონს, ეკვი შეაქვთ მის დღიურებში. ასე მაგალითად, გალაკტიონის ბიოგრაფი იოსებ ლორთქიფანიძე ემყარება და კრიტიკულად არ მისდგომია პოეტის თანაკლასელის გენადი მიხელიძის საეკვო მემუარს (იხ. გალაკტიონ ტაბიძე ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. ჟურ. „მნათობი“. 1973. № 9. გვ. 128, 132). ვინც გალაკტიონის დაწერილს არ ენდობა, სწორედ მას უნდა გამოეცხადოს უნდობლობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გულისხმიერი მოპყრობა ლიტერატურული წყაროებისადმი. მიხეილ კვესელავა იმოწმებს და იხილავს თანამედროვე ქართულ მწერალთა და მეცნიერთა მნიშვნელოვან მოსაზრებებს.

ექვგარეშეა, რომ „პოეტურ ინტეგრალებს“ სპეციალისტები საფუძვლიანად განიხილავენ და დადებითად შეაფასებენ.

ამ სტატიაში მე ვისაუბრებ მხოლოდ კონკრეტულ თემაზე: წიგნმა რა დაინტერესება გამოიწვია და რა ენობრივი პრობლემა დააყენა გადასაწყვეტად.

გაზეთ „წიგნის სამყაროში“ გამოქვეყნდა მოკლე წერილები — „შენიშვნა“ (1977 წლის 25 ნოემბერს) და „შენიშვნის შენიშვნა“ (1978 წლის 25 იანვარს).

მკითხველი ა. რობაქიძე ამხელს არასწორ აზრს გალაკტიონის „ნიკორწმინდის“ ერთი ადგილის გაგებასთან დაკავშირებით.

მიხეილ კვესელავას ნაშრომიდან მას მოჰყავს ციტატა: სტრიქონში „დარობს რამდი დარი“ „რამდი დარს“ მხოლოდ აკუსტიკური (მუსიკალური) და ემოციური ფუნქცია აქვს, სხვა არაფერი ისე, როგორც თვით გალაკტიონისავე ფრაზას „დოვინ დოვენ დოვლი“ (გვ. 328).

ა. რობაქიძე აცხადებს შემდეგს: თუ გავიხსენებთ, რომ „რამდი“ იმერეთში გავრცელებულია „სანამ“ სიტყვის მნიშვნელობით, მაშინ გალაკტიონის ფრაზის შინაარსი ნათელი გახდებაო.

საკითხს გამოეხმაურა ჟურნალისტი ვლადიმერ შავგულიძე. იგი წერს: ა. რობაქიძე სწორია, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ავტორი იცავს უკვე ცნობილ

თვალსაზრისს, რაც ამ რამდენიმე წლის წინათ გამოითქვა. ეს მოსაზრება პატივცემულ პროფესორსა და მკითხველს, ჩანს, ყურადღებიდან გაჰპარვიათო. ვლადიმერ შავგულიძე იმოწმებს ჩემს ნაშრომს „ნიკორწმინდის“ ენობრივ და პოეტურ თავისებურებათა შესახებ (იხ. გაზ. „სოფლის ცხოვრება“. 1970. 2 სექტემბერი. №205).

გაზეთ „წიგნის სამყაროში“ დასტამბული შენიშვნები სასარგებლოა ფილოლოგიისათვის: დადასტურდა, რომ დიალექტური მონაცემით ამოიხსნა მაჯამური რითმა. ეს იშვიათი ფორმა პოეტმა ცოცხალ მეტყველებაში იპოვა.

ამ სტატიის მიზანია ხელი შეუწყოს გალაკტიონის ენის ხალხურობის პრობლემის გადაჭრას და „პოეტურ ინტეგრალთა“ შესწავლაშიც ნათელი შეიტანოს. აქ დავუბრუნდები და უფრო სრულად ჩამოვაყალიბებ ჩემს ადრინდელ თვალსაზრისს და დავასაბუთებ მას უცნობი ფაქტობრივი მასალით.

მიხეილ კვესელავას „პოეტურ ინტეგრალებში“ ერთგან სათაურად შეურჩევია „დარობს რამდი დარი“ და მისი დედააზრი ზემოთ მოვიყვანე. მკვლევარი აქ რატომღაც არ ჩაღრმავებია საკითხს. მერყევი დებულება გაჩნდა იმ მიზეზით, რომ მიხეილ კვესელავა სალიტერატურო ენიდან გადახვევას საკუთარ ახალ-ახალ ფორმათა შექმნისას გალაკტიონისაგან არ მოელის, ქართულ დიალექტურ სინამდვილეს არ ითვალისწინებს. არ ეძებს ხალხურობას პოეტურ ენაში. ამგვარი ცალმხრივი მიდგომით იგი ზერელე დასკვნამდე მივიდა.

ლექსის რითმაში უაზრო სიტყვას მართლაც ჟღერადობის ფუნქცია აქვს და ეს თავისებურება უპირველესად ხალხური პოეზიის კუთვნილებაა.

მიხეილ კვესელავას დასკვნა სწორი მაშინ იქნებოდა, თუკი „რამდის“ შინაარსი სალიტერატურო ენასთან ერთად ცო-

ცხალ მეტყველებაშიც არ დასტურდებოდეს. მაშინ საილუ-სტრაციოდ გამოადგებოდა ანალოგიური ადგილიც „ალილო-დან“ — „არიელი, მარიელი, ნუ გაგვიშობთ ცარიელი“ და ვიტყვით: გალაკტიონის „რამდი“ ისეთივე უაზრო სიტყვაა და უღერადი, როგორც „ალილოს“ რითმის კომპონენტი „მარიელი“.

ჩემი დაკვირვება და ამოხსნა ასეთია:

საყურადღებოა ერთი სპეციფიკური გრამატიკული მოვლენა. ლექსში გამოყენებულია დიალექტიზმი „რამდი“, რომლის შინაარსიც საქართველოს კუთხეებში, გარდა იმერეთისა, არ ეცოდინებათ.

გვაქვს მაჯამური რითმა: რა მდიდარი — რამდი დარი. პირველი კომპონენტი გასაგებია. მეორეს, როგორც დიალექტურს, კი განმარტება ესაჭიროება: ეს „ბუნდოვანი“ რითმა ასე გაიშიფრება:

-მდის ანუ -მდე თანდებული იმერულშიც იხმარება სხვადასხვა ფორმით: -მდი, -მდინ, -მდისინ. მხოლოდ იმერულში -მდის თანდებულს იგუებს კითხვითი ნაცვალსახელი „რა“. ეს მოვლენა საენათმეცნიერო ლიტერატურაში (შ. ძიძიგურს, ო. კახაძეს, ქ. ძოწენიძეს) შენიშნული აქვთ, მაგრამ აუხსენელია.

-მდის თანდებულიანი სახელი „რამდი“ უდრის სიტყვას „როდემდის“, გვევლინება დროის გარემოებად კითხვითს წინადადებაში, წევრ-კავშირად დროის გარემოებითს დამოკიდებულ წინადადებაში. მაგალითები: რამდი (ე)უცადო? რამდი ვიყო აქ?; რამდი არ მოვა, არ წავალ, რამდი არ დაზამთრდება, სოფელ-სოფელ იარს...

დიალექტური „რამდისა“ და ლიტერატურული „როდემდის“ წარმომავლობა საერთოა. პირვანდელ ფორმად ივა-

რაუდება „რაოდესმდის“ (აღნაგობაში გვაქვს კითხვითი ნაცვალსახელი, დროის ზმნისზედა, თანდებული). „რა“ კომპონენტი შედის კომპოზიტივც „როდის“ ანუ „როდესაც“, რომელიც ასე დაიშლება: რა-ოდეს-ცა (კითხვითი ნაცვალსახელი, დროის ზმნისზედა, ნაწილაკი). ფორმა „რა ოდეს“ დაცულია „ვისრამიანში“.

იმერულ დიალექტში გვხვდება არა „როდემდის“, არამედ მისი ვარიანტი „რამდი“. მას შეესატყვისება აგრეთვე „სანამდის“. „რამდი“ გავრცელებულია, კერძოდ, გალაკტიონის მშობლიურ კუთხეში (ვანის რაიონში) და, როგორც ჩანს, პოეტმა ქვემოიმერული კილოკავიდან შეარჩია თავისებური ფორმა.

გამოირკვა, რომ იმერიზმი „რამდი“ არის დროის ზმნისზედა (მეტყველების ნაწილი), აღნაგობით კი — თანდებულიანი კითხვითი ნაცვალსახელი. დიალექტური „რამდი“ და ლიტერატურული „როდემდის“ ერთი და იგივე სიტყვაა — უძველესი „რაოდესმდის“. ამ კომპოზიტის მეორე კომპონენტი „ოდეს“ დაკარგულია ფორმაში „რამდი“ და დაცულია ფორმაში „როდესაც“.

პოეტმა ისესხა რუსთაველური ნეოლოგიზმი—ზმნა „დარობს“ (ე. ი. კარგი დარია). „ვეფხისტყაოსნიდან“ ცნობილია ალიტერაცია — „დარი არ დარობს დარულად“.

გალაკტიონის სტრიქონი „დარობს რამდი დარი“ სიტყვასიტყვით ასე ამოიხსნება: როდემდის კარგი დარი დგას (უფრო ზუსტად: სანამდის კარგი დარია).

„დარობს რამდი დარი“ მნიშვნელოვანი სიტყვებია. და არა უაზრო სტრიქონი. აქ ტექსტი ნათელია. ეს ფრაზა მეტაფორული მხატვრული სახის ანუ ინტეგრალური მეტყველების ნიმუში არაა.

ბოლო სიტყვათა შეწყობას „რა მდიდარი — რამდიდარი“ 1970 წელს მე „მაჯამური რითმა“ ვუწოდებ. მანამდე ამ სტროფს სპეციალურ ლიტერატურაში არავინ შეხებია (იხ. აკ. ხინთიბიძე. გალაკტიონის რითმა: ლიტერატურული ძიებანი. VIII. 1961; გ. ასათიანი. გალაკტიონის პოეტიკა. ნაკვეთი პირველი: ჟურნ. „ცისკარი“. 1967. № 8).

ამ საკითხზე წყაროებს კრიტიკულად არ იხილავს და ცნობილ საექვო ვარაუდს იმეორებს ირ. კენჭოშვილი (გალაკტიონ ტაბიძის პოეტიკა. 1980. გვ. 28).

გალაკტიონთან სხვა იმერიზმებიც გვაქვს და ისიც რითმაში შედის.

ქართული ენის დასავლურ დიალექტებში გავრცელებულია კომპოზიტიური ზმნიზება „ცაერათ“ (ცა ერთად): „ცაერათ ჩამოდის“ — კოკისპირულად წვიმს (იხ. ქ. ძოწენიძე. ზემოიმერული ლექსიკონი. 1974).

„ერთ“ ფუძეს თ თანხმოვანი ეკარგვის სხვა კომპოზიტებშიც (ერგული, ერხანს, ერბაშათ, ერსალიკა...) და შეუნარჩუნდება მაინც ცვლილებით: გურულ-იმერული „რეთი“ (რა ერთი) „რამდენს“ ნიშნავს — რეთი ხანი გავიდა მას აქეთ!

„ცა ერთად“ ქვემო იმერეთში განსხვავებულად წარმოითქმის. სოფელ ჭყვიშში მოხუცნი ახლაც ამბობენ „ცაიერათ“. ქვემდებარე „ცაი“ დაცულია სახელობითი ბრუნვის არქაული ფორმით (შდრ. გზაი, ზღვაი, ხმაი, რაიმე...). ამ დიალექტიზმისაგან პროტმა აწარმოვა არსებითი სახელი „ცაიერადი“ (კოკისპირული წვიმა, თავსხმა): „რომ იჭექა, გზა დაყრუვდა სერით სერამდი და მაისის წამოვიდა ცაიერადი“.

განმარტებითს ლექსიკონში (ტ. VIII. 1964) მოიპოვება

პოეტისეული „ცაიერადი“, მაგრამ მისი დიალექტური წარმომავლობა ენათმეცნიერთათვის იმჟამად უცნობი იყო.

გალაკტიონისეული ნეოლოგიზმის ასახსნელად საჭიროა ვიცოდეთ შემდეგი: „ცაიერადს“ კომპოზიტური აღნაგობა აქვს: მეორე კომპონენტია რიცხვითი სახელისაგან წარმოქმნილი სიტყვა, რომლის პირვანდელ ფორმად აღდგება „ერთადი“.

ვითარებითი ბრუნვის ფორმის გამოყენებით ქართულში მიღებული გვაქვს რიგითი რიცხვითი სახელისაგან წარმოქმნილი სახელები — მეორედი (მოროდი), მესამედი, მეოთხედი...

„ორი“ რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან ასევე ნაწარმოებია „ორადი“ (ორეული). „ორადი“ გამოუყენებიათ მიხეილ ჯავახიშვილსა და რაჟდენ გვეტაძეს (იხ. განმარტებითი ლექსიკონი. ტ. VI. 1960). „ორადი“ რომ ხალხური ნეოლოგიზმია, ამას ადასტურებს მისგან წარმოქმნილი ფორმა „ნაორდალი“. პირვანდელი ფორმაა „ნაორადალი“. „ნაორდალი“ ქვემო იმერეთში (კერძოდ, ვანის რაიონში) ეწოდება სასოფლო გზას, რაც ნაწვიმარზე რუს ორად გაუყვია.

გამოირკვა, რომ „ცაიერადის“ მეორე კომპონენტი „ერთადი“ გალაკტიონს უწარმოებია ცნობილი „ორადის“ ანალოგიით. გალაკტიონისეული ნეოლოგიზმი „ცაიერადი“ ქართული ენის წესისამებრ შემუშავებული ბუნებრივი ფორმაა და არა ხელოვნური (განმარტებითს ლექსიკონში წერია — „პოეტური“ ფორმა არისო, რაც ამგვარ ახსნას მოითხოვს).

ამგვარად, იმერული ფორმა „რამდი“ მომდინარეობს ლიტერატურული ფორმისაგან „როდემდის“. „რამდი“ წმინდა დიალექტიზმია, „ცაიერადი“ კი — იმერული „ცაიერათ“

დიალექტიზმისაგან წარმოქმნილი გალაკტიონისეული ნეოლოგიზმი. ორივე ფორმა (რამდი, ცაიერადი) გალაკტიონისეული რითმის ორიგინალურ სამკაულებად ჩაითვლება.

ხალხური ენით (დიალექტური სინამდვილით) დაინტერესება სარწმუნოა გალაკტიონის ნააზრევში — „ლექსიკოლოგიური ჩანაწერები“, დასტური გრამატიკოს აკაკი შანიძის შენიშვნაზე (თხზულებანი. ტ. XII. 1975. გვ. 416, 487).

ხალხური ენიდან სალიტერატურო ქართულში (პოეზიაში) ლექსიკურ ერთეულს გარდა გრამატიკული ფორმის შემოტანაც ხდება. ამაზე ზრუნავდა არა მარტო ვაჟა-ფშაველა, არამედ ბევრი კლასიკოსიც. არქაიზმსაც და დიალექტიზმსაც პოეზიაში სტილისტური ფუნქცია ეკისრება.

დიალექტური მოვლენა დაცულია შოთას „ავთანდილის ანდერძშიც“. აქ გვხვდება ხმოვანმონაცვლე ზმნა „დაიჭერს“ (დაიჭირა). რასაც -ავ სუფიქსი დიალექტებში დაერთვის. რუსთაველური „დაიჭირავს“ („ვერ დაიჭირავს სიკვდილსა...“) ისეთივე ფორმაა, როგორც დიალექტური ნიმუშები — გაწყვიტავს, მოკრიფავს, გასრისავს, დაგლიჯავს, გაწმინდავს და მისთანანი.

თუ -ავ სუფიქსი განმტკიცებულია ენაში (აქვს მიმღობას), მაშინ მისი დაცვა კანონიერია (დაფრინავს — მფრინავი — ფრინველი). ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში (1968) ამიტომ წერია: (დაიჭირავს კი არა) დაიჭერს. წესისამებრ, „დაიჭირავს“ დიალექტიზმია, რადგან ენაში მიმღობად დამკვიდრდა არა „დამჭირავი“, არამედ „დამჭერი“.

აკაკი წერეთლისეული იმერიზმი „ყოლიფერი“ „ყველაფერს“ აღნიშნავს, მაგრამ მომდინარეობს ფორმისაგან „ყო-

ვლისფერი“ — „აქედან ვხედავ ყოლიფერს“ (ლექსში ვაჟა-ფშაველასადმი).

ქართული ენის განმარტებითსა და ორთოგრაფიულ ლექსიკონებში გამორჩენიათ ზმნური ლექსიკური ერთეული „გასცვინდება“ (გასცვინდა, გასცვენია). დინამიკური ვნე-ბითი გვარის ზმნის ეს ფორმა ხალხური ნეოლოგიზმია. მოქმედებითი გვარისაა ლიტერატურული „გააცვენს“ (გააცვინა, გაუცვენია). ლადო ასათიანი დაესესხა ცოცხალ მეტყველებას, სადაც გავრცელებულია ფრაზა — ფოთლები გასცვენია (სა-როს), თმა გასცვენია (აღამიანს)...

ლადოს „სალადობოს“ რითმაში გვაქვს ვნებითი გვარის ზმნები — სტატიკური ცნობილი ფორმა „ასვენია“ და დინამი-კური დიალექტური ფორმა „გასცვენია“.

ეს ნიმუშებიც საკმაოა.

მიხეილ კვესელავა მეტაფორულ მხატვრულ სახეებს ანუ ინტეგრალურ მეტყველებას იკვლევს. ახლებურ ხატოვან გამოთქმათა ძიება, რაც მას უწარმოებია, პოეტური ენის შესწავლაშიც შედის. გალაკტიონის ენის ფონეტიკურ, გრა-მატიკულ და ლექსიკურ თავისებურებათა ისტორიულ-შედა-რებითი შესწავლა კი მოხდება ძველ სამწერლო ქართუ-ლსა და ხალხურ ცოცხალ მეტყველებასთან მიმართებაში.

ვიმედოვნებ, რომ მიხეილ კვესელავა გაიზიარებს ჩემს ამოხსნას და დასაბუთებას, რასაც იგი ადრე უთუოდ არ იცნობდა. შეუძლებელია დავუშვათ, რომ ჭეშმარიტ მეცნი-ერს ინტეგრალური მეტყველების დასაცავად ერთადერთი ლიტერატურული პირველწყარო ისე მიეჩქმალა, რომ მისი კრიტიკული განხილვა არ მოეცა.

პოეტიკაზე მსჯელობისას მიხეილ კვესელავას ერთგან უწერია შემდეგი: „თუ რამ ახალ ფორმას (ლექსის ზომას)

მიაკვლევდა, უწინარეს ყოვლისა, მის ეროვნულ-ხალხურ საფუძვლებს მოსინჯავდა“ (გვ. 240). ეს ადგილი იმაზედაც მიგვანიშნებს, რომ დებულება გალაკტიონის ენის ხალხურობის შესახებ მიხეილ კვესელაეასათვის მისაღები იქნება.

გალაკტიონის თავისებურ ენასა და სტილზე იგივე მეტყველებს, რომ პოეტისეული მასალა (არქაიზმები, ნეოლოგიზმები, დიალექტიზმები) სათანადო სიხარულით ვერ აისახა ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში. ეს ფაქტი რვატომეულის რედაქტორს არნოლდ ჩიქობავას აღნიშნული აქვს (იხ. ტ. XIII. 1964. გვ. 06).

„გალაკტიონის ენის ხალხურობა“ აქტუალური პრობლემაა, რაც ჭერჭერობით ხელუხლებელია და დამუშავება-შესწავლას მოითხოვს ქართულ ფილოლოგიაში.

რას ნიშნავს „ნიკორწმინდა“

გალაკტიონ ტაბიძემ 1947 წლის ზაფხულს დაისვენა კურორტ შლევში. ინახულა მოშორებით მდებარე ტაძარი და დაწერა ლექსი „ქებათა ქება ნიკორწმინდას“.

აქ ეტიმოლოგიურ-გრამატიკული ანალიზით ამოვხსნი ტერმინ „ნიკორწმინდას“.

ნაშრომის მიზანია: 1. გალაკტიონის კლასიკური ლექსისა და ქართული ტოპონომიკის შესასწავლად დაასაბუთოს ცნობილი თვალსაზრისი, რომ ტოპონიმი „ნიკორწმინდა“ არის „ნიკოლოზწმინდა“, 2. გააცოცხლოს და კრიტიკულად განიხილოს მივიწყებული ჰიპოთეზა ნიკო მარისა

(ტოპონიმი უკავშირდება ნიშა ხარის საკუთარ სახელს „ნიკორა“) და გამოავლინოს და შეაფასოს მოპოვებული უცნობი ფაქტობრივი მასალა.

„ნიკორწმინდა“ პირვანდელი სახელწოდებაა სოფლისა თუ ტაძრისა? ცალ-ცალკე განვიხილავ ორ სხვადასხვა მოსაზრებას.

ზედსართავი სახელის ფორმა „წმიდა“ არქაიზმ-დიალექტიზმია. ახალ ქართულ სამწერლო ენაში ნ ბგერა ჩამატა და გავრცელდა „წმინდა“, მაგრამ არქაული ფორმა შემოუნახავს მხოლოდ გაორკეცებულ ფუძიან კომპოზიტს „წმიდა-თაწმიდა“.

საინტერესოა ვიცოდეთ წმინდა ნიკოლოზის ვინაობა. ამ საკითხზე პროფესორმა ივანე ლოლაშვილმა წერილობით მაცნობა შემდეგი: „იგი იყო საკვირველმოქმედი და მთავარეპისკოპოსი მირონ ქალაქისა, ქვეყანასა ლუდიისასა. ცხოვრობდა მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში (გარდაიცვალა 343 წელს). 325 წელს მონაწილეობა მიიღო ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებაში, იბრძოდა არიანობის წინააღმდეგ. მისი საკვირველმოქმედებანი უთარგმნია სეით თარგმანს მერვე საუკუნეში. „ცხოვრებისა და მოქალაქეობის“ კიმენური რედაქცია გადმოუქართულებია ეფთვიმე მთაწმიდელს მეთავე საუკუნის მიწურულის თუ მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში, ხოლო მეტაფრასული რედაქცია (დაცულია ქუთაისის მუზეუმში) გადმოუღია მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეთა მიჯნაზე ეფრემ მცირის ლიტერატურული სკოლის ანონიმს. სამივე ტექსტის ხელნაწერები გამოუცემელია“.

ფორმა „ნიკოლწმინდა“ მოიპოვება ქართულ წერილობითს ძეგლებში.

პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის (წესდების) ქართულ ტექსტში დაკულია ტოპონიმი (ადგილის სახელწოდება) „ნიკოლწმიდა“ (აკაკი შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში. 1971. საძიებელი).

კორნელი კეკელიძე წერს: გრიგოლ ბაკურიანისძემ პეტრიწონში 1083 წელს მონასტერთან ერთად დააარსა სემინარია და მოათავსა ნიკოლოზის ეკლესიაში (ძველი ქართული მწერლობის ისტორია. 1. 1951. გვ. 71).

ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს მხოლოდ ტაძრის შესახებ: ...ხოტევეს ზეით ხევზედ არს ნილოლაწმიდა, ეკლესია გუმბათიანი, კეთილ-დიდშენი. ხელნაწერის აშიაზე იკითხება: ეკლესია ეპისკოპოს ნიკოლაოს წმიდელისა (აღწერა სამეფოსა საქართველოსა, სიმონ ყაუხჩიშვილის გამოცემა. 1973. გვ. 764).

„ნიკორწმინდა“ არის ბაგრატის ტაძარი რაჭაში. გაერთიანებული საქართველოს მეფე ბაგრატ მესამემ ააგო სამი ტაძარი (ქუთაისში, რაჭასა და ბეღიაში).

ექვთიმე თაყაიშვილმა 1918 წელს შეისწავლა ტაძარი (იხ. არქეოლოგიური ექსპედიცია რაჭაში. 1963). დასავლეთის კარიბჭის თაღზე მან ასომთავრულით ამოიკითხა: „ქრისტე, ძეო ღმრთისაო, ადიდე სიმართლით და დღეგრძელობით შენ მიერ გვირგვინოსანი ბაგრატ აფხაზთა და რანთა მეფე, ქართველთა კურაპალატი და გაზარდე ძე მათი გიორგი ნებასა შინა შენსა მეოხებითა წმიდისა მღვდელთმოდღვრისა ნიკოლოზისათა“ (გვ. 84).

წარწერებიდან დასტურდება, რომ ძეგლი აუშენებიათ ბაგრატ მესამის მეფობის პერიოდში (980—1014) მღვდელთმოდღვრის „წმიდა“ (ძველი ქართულით) ნიკოლოზის სახელზე. ტაძარში ინახებოდა „წმიდა“ ნიკოლოზის ხატი და

მეთერთმეტე საუკუნეში შესრულებული „წმიდა ნიკოლოზისა და მარიამ მეგვიპტელის ცხოვრება“ (გვ. 83—104).

ექვთიმე თაყაიშვილი წერს: სოფელ პატარა ონში არის ორი ძველი ეკლესია. ერთი გადაკეთებული და მეორე დანგრეული. 'ორივეს დაზიანებული წარწერები აქვს და ორივე ჩუქურთმოვანია (გვ. 6); ახლახან გამოქვეყნდა ორივე ეკლესიის ფოტო წარწერით „პატარა ონი. წმიდა ნიკოლოზი“ (გაზ. „სამშობლო“. 1979. № 7).

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ გელათურ ანსამბლში შედის და ღვთისმშობლის მთავარი ტაძრის დასავლეთით დგას „წმიდა“ ნიკოლოზის სახელობის ორსართულიანი ეკლესია მეცამეტე საუკუნისა (აკადემიის შენობასთან).

ქვემო რაჭის სოფელ აბანოეთის ერთ უბანს ამჟამად „მიქარწმინდა“ ჰქვია.

ექვთიმე თაყაიშვილის ამოხსნით, „სოფელ მიქარწმინდაში ყოფილა დიდი სამნავიანი ბაზილიკა მიქელ მთავარანგელოზის სახელწოდებისა. სწორედ აქედან წარმოდგება სოფლის სახელი. „მიქარწმინდა“ იმგვარადვე, როგორც სოფელ ნიკორწმინდის სახელი“ (გვ. 68).

ზურაბ ჭუმბურიძეც ასევე ამბობს ტაძრისა და სოფლის შესახებ: „ნიკორწმინდა“ მიღებულია „ნიკოლოზწმიდასაგან“, ვისი სახელობის არის ეს ტაძარი. ტაძრის სახელწოდება კი ზოგჯერ მთელ სოფელზე გადადიოდა“ (რა გქვია შენ? 1966. გვ. 84).

ქართული გეოლოგიური სამეცნიერო სკოლის მეთაური აკადემიკოსი ალექსანდრე ჯანელიძე აღწერს მშობლიურ ადგილსამყოფელს: „ცნობილია, რომ ეს მთის სოფელი უდიდესია რაჭაში და ერთი ულამაზესთაგანიც. სახელი მისთვის

მეთერთმეტე საუკუნეში აგებულს, თავისი ჩუქურთმებით განთქმულ ტაძარს მიუყვია: ნიკოლოზწმიდა — ნიკოლწმიდა — ნიკორწმინდა. სოფლის ასეთი სახელწოდება რაჭაში არც თუ იშვიათი იყო. მაგალითებია: მიქარწმინდა, კვირიკეწმინდა და სხვანი“ (მოგონებანი. 1971. გვ. 3).

საქართველოში არსებობს ანალოგიური სახელწოდებანი სოფლისა: ანდრიაწმინდა, გიორგიწმინდა, მიქელწმინდა, ნინოწმინდა, სტეფანწმინდა, საბაწმინდა, ელიაწმინდა...

ადამიანის საკუთარი სახელი „ნიკოლოზ“ წარმოშობით ბერძნული კომპოზიტია („ნიკე“ გამარჯვება—„ლავს“ ხალხი.) ქართულ ენაში „ნიკოლოზის“ შემოკლება-ცვლილება ასეთია: ნიკო, ნიკა, ნიკოლა (ნიკოლაძე, ნიკოლაშვილი), ნიკოლა (ფიროსმანაშვილი), კოლია (კოლაუ)... აჭარაში არის ტოპონიმი „ნიკოლაური“ (სოფ. ცხმორისი), ლეჩხუმში — „ნიკოსოული“ (სოფ. ლაილაში), ზემო იმერეთში „ნიკასეული“ (სოფ. ჩიხა).

თუმცა ლ—რ ბგერათა სუბსტიტუცია ხდება (შდრ. წყალი — წყარო, ქოლგა — ქორგა, გულქანი — გურქანა, გოლგოთა — გორგოთობა...), მაგრამ ადამიანის საკუთარი სახელის ფორმა „ნიკორ“ ცალკე არ იხმარება. ეს ფონეტიკური მოვლენა გვაქვს მხოლოდ კომპოზიტ ტოპონიმებში: „ნიკორწმინდაში“ კომპონენტი „ნიკორ“ ნიკოლოზს აღნიშნავს. ამასვე (ლ—რ ბგერათა სუბსტიტუციას) ადასტურებს მხოლოდ რაჭისავე კომპოზიტი „მიქარწმინდა“ (პირვანდელი ფორმაა „მიქაელწმიდა“ და ცალკე იხმარება „მიქელა“ და არა „მიქარ“).

ადრევე დაწყებულა სახელწოდების მნიშვნელობის დაბნელება. რაც მთავარია, რაჭა-ლეჩხუმში დღემდე გავრცელებულია „ლიკორწმიდა“. არსებობს ა. ქუთათელაძის სტატიაც

„სოფელი ლიკორწმიდა“ (ყურ. „მოამბე“. VII. 1894). ცნობილია ფორმა „ლიკორწმიდელიც“ (საისტორიო კრებული. III. 1928. გვ. 123. ს. კაკაბაძის რედაქციით).

ფორმისაგან „ნიკოლოზწმიდა“ „ლიკორწმიდაც“ მიიღება ფონეტიკურად. გვაქვს ორმაგი სუბსტიტუცია. ამგვარ ნ—ლ ბგერათა შენაცვლებაც ცნობილია (შდრ. ნამი — ლამი, ნავარდი — ლავანდი, ნემსი — ლემსი). მეთვრამეტე საუკუნის საისტორიო დოკუმენტებში დაცული ფორმა „ლიკორწმიდელი“ ნ—ლ ბგერათა სუბსტიტუციად (შენაცვლებად) ამოხსნა შოთა ძიძიგურმა (ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან. 1954. გვ. 39).

კომპონენტი „ლიკორ“, „ნიკორას“ ვარიანტი არაა. რაჭა-ლეჩხუმშიც ნიშა ხარს „ნიკორას“ უწოდებენ. გავრცელებულ ხალხურ შაირს აქაც უშეცდომოდ წარმოთქვამენ: „კამბეჩი მყავდა ნიკორა, მომიკვდა — არა იყო რა“. ეთნოგრაფ ფ. გარდაფხაძის ხელნაწერ ნაშრომში (1937 წ.) ფიქსირებულია ლეჩხუმური ხალხური სანახაობა „ბოსლობა“. აქ გვხვდება გლეხის მიმართვა (ნათქვამი): „ჩემო ნიკორა, ჯანიერათ მეყოლეო“.

„ნიკორწმინდა“ ნამდვილად „ნიკოლოზწმინდაა“, მაგრამ საკითხი მაინც ღიად რჩება და მოსაძებნია უძველესი (მეთერთმეტე საუკუნემდელი) სახელწოდება სოფლისა, სადაც ამჟამად ხუთას კომლზე მეტი ცხოვრობს.

გავეცნოთ ნიკო მარის ჰიპოთეზას და ვიმსჯელოთ მეტად საინტერესო ხარის კულტის პრობლემასთან დაკავშირებით.

ნიკო მარი წერს, რომ ადგილის აღმნიშვნელი „ნიკორწმინდა“ წარმომდგარია ტერმინისაგან „ნიკორა“ და რომ მას საერთო არა აქვს რა „წმიდა“ ნიკოლოზის სახელთან. უხსოვარი დროიდან ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში

და კავკასიის ტერიტორიაზე გავრცელებული იყო ხარის კულტი. განსაკუთრებულ თაყვანისცემას იმსახურებდა ნიშა ხარი — ნიკორა, ამ ტერმინს ნიკო მარი „ცის“, „ტოტემისა“ და „ნიშანის“ (знамение) მნიშვნელობას უკავშირებდა (იხ.

Н. Я. Марр. Избранные работы, III стр. 231; V. 1935. стр. 490—491).

ნიკო მარის ვარაუდი ასე გაიშიფრება: დიდი ხნის წინათ (წარმართობისას) იყო ხარის (ნიკორას) კულტის სალოცავი ადგილი. ქრისტიანულ ხანაში ტოპონიმ „ნიკორს“ დაერთო ეპითეტი „წმიდა“. სოფელ „ნიკორწმიდაში“ შემდეგ ააშენეს ტაძარი „წმიდა“ ნიკოლოზის სახელზე. ნიკო მარი არ შეხებია საკითხს: კომპოზიტის პირველი კომპონენტი „ნიკორ“ ადგილობრივ მეტყველებაში როგორ შეიცვალა „ლიკორ“ ფორმად (იხ. ქვემოთ „ლიკორწმიდა“).

ზურაბ ჭუმბურიძემ ამ საკითხზე კერძოდ მაცნობა შემდეგი. „ნიკორწმინდა“ რომ „ნიკოლოზწმიდასაგან“ მომდინარეობს, ეს პირადად ჩემი მოსაზრება არ არის, მაგრამ, სამწუხაროდ, ვეღარ გავიხსენე და ვერც ჩემს ნაწერებში მივაგენი, საიდან მაქვს იგი ალებული. ჯერ ყიდევ სტუდენტობის დროს მქონდა გამოკვლევა მსაზღვრელ-საზღვრულის ადგილის შესახებ ტოპონიმებში და ის მაგალითიც იქა მაქვს დამოწმებული, მაგრამ წყარო არ მიწერია.

რაც შეეხება თვით ეტიმოლოგიას, ის მე საეჭვოდ არ მეჩვენება: აშკარაა, რომ სოფლის სახელი დარქმეულია ტაძრის მიხედვით. ტაძარი კი „წმიდა“ ნიკოლოზის სახელობისაა. აქ რომ გვქონდეს ხარის სახელი „ნიკორა“, ყოვლად წარმოუდგენელია, რომ მეთერთმეტე საუკუნეში, ქრისტიანულ ქვეყანაში, მისთვის მიეკუთვნებინათ ეპითეტი „წმიდა“.

ტოპონიმ „ნიკორწმინდის“ ნიკო მარისეული ამოხსნა სა-

დავოა. მხოლოდ ამ გაგებით მისაღებია შალვა ამირანაშვილის შენიშვნა: „ამ ტერმინის („ნიკორას“) მნიშვნელობა, წარმოშობა და ეტიმოლოგიური განმარტებანი, რაც მოცემულია აკადემიკოს ნიკო მარის მიერ, მეტად საყურადღებოა, მაგრამ ჭერჭერობით საბოლოოდ გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება“ (იხ. ძველი ქუთაისის სანახებში: გაზ. „კომუნისტი“. 1970. № 152).

მაგრამ ხარის კულტს რომ ქრისტიანული ეკლესიაც იცადა, ამ დებულებას ამაგრებს საკმაო ფაქტობრივი მასალა.

ხელოვნებათმცოდნე ლ. მაცულევიჩს ეკუთვნის გამოკვლევა „ნიკორწმინდა“ და მისი ადგილი საქართველოს კულტურაში“ (ენიშკის მოამბე. III. 1938). სპეციალისტი ემყარება ნიკო მარის ნააზრევს და მას ამდიდრებს შემდეგი ახალი ცნობებით: 1. „ტაძარი ნიკოლოზ სასწაულმოქმედის სახელზე არის აგებული“ (გვ. 48), 2. „აღარ ღირს იმის განმეორება, რომ თვით ადგილის სახელწოდებას „ნიკორწმინდას არავითარი კავშირი არა აქვს, როგორც ეს ნიკო მარმა დაამტკიცა, „წმიდა“ ნიკოლოზის სახელთან“ (გვ. 49), 3. „ქართულ ფოლკლორშიც (ზღაპარშიც) „ნიკორად“ (ნიშად) წოდებული ხარები ღვთიურ თვისებათა მატარებელი არიან, ზეცა-მზეს განაგებენ. ბოლნისის სიონის ხარი სწორედ იმითაა შესანიშნავი, რომ ისიც „ნიშანდებულია“ მხოლოდ ჯვრით, რომელიც რქებს შუა არის გამოკვეთილი. ამგვარად, ქრისტიანული ეკლესია, თავისი ნიშნით ხარის საუკუნეობრივი კულტის კურთხევის საშუალებით, იმავე მიმართულებით მოქმედებდა. იგი არ უარყოფდა „ნიშანდებულის“ თავიანთისცემას: მხოლოდ ნიშანს ცვლიდა“ (გვ. 49—50).

ლიტერატურათმცოდნე სიმონ სხირტლაძე მოგვითხრობს: „მეთე-მეთერთმეტე საუკუნეთა მიჯნაზე აგებული სო-

ფელ მრავალძალის (ზემო რაჭა) ეკლესიის დასავლეთ ფასადზე, სამრეკლოს ქვემოთ, ყველასათვის სათვალთვალოდ სწორუპოვარი ოსტატობით არის გამოქანდაკებული ლეგენდარული ხარისა და ძროხის თავები (იხ. რაჭის მატერიალური კულტურის ერთი ისტორიული ძეგლი: გადანახული საგანძურიდან. 1965. გვ. 87).

ალექსანდრე ლლონტი უთუოდ ემხრობა ლ. მაცულევიჩისა და სიმ. სხირტლაძის ჩვენებებს და ამიტომაც, რომ ფიქრობს: ვითომ „ნიკორა“ პირველადია როგორც ტაძარი, ხოლო — მეორადი როგორც ტოპონიმი? მიჭირს დაჯერება. პირიქით მგონია. „ნიკორა“ იქნებ ხარის სახელადაც პირველადია, „წმინდა“ კი შემდეგ უნდა იყოს მიმატებული. ხარიც ხომ შეიძლებოდა მოენათლათ „წმინდა“ ეპითეტით?—იქნებ ტოტემის გაგება ჰქონდა... (კერძო ბარათიდან).

ამ შენიშვნას გაეცემა ასეთი პასუხი: ნიკო. მარი ტაძრის წარწერებსა და ხელნაწერსაც რომ გასცნობოდა (იხ. ზემოთ ექვთიმე თაყაიშვილისეული მოპოვებული მასალა), „ნიკორა-წმინდას“ „ნიკორასთან“ არ დააკავშირებდა.

ეთნოგრაფი აკაკი სოხაძე ხარის კულტის პრობლემასთან დაკავშირებით მსჯელობს ცნობილ ფაქტზე: ლეჩხუმში „ბოსლობა“ სალამოს, ვახშმობის წინ, იმდენ უმ კვერცხს წაიღებდნენ ბოსელში, „რამდენი ხარიც იყო ბოსელში“. ამ კვერცხებს, საბოსლობო ტაბლებს და ანთებულ სანთელს ვაჟკაცი, „მიიტანდა მუშა ხართან, რამდენიც არ უნდა ჰყოლოდა ხარები, ყველას წაღმა შემოავლებდა და ასე იტყოდა: მუშა ხარის გამჩენო, მიმყოფე კარგად ჩემი ხარები, ნურაფერს გაუჭირებ, დაიფარე ჳირისაგან, ყოველი ფათერაკისაგან, ამყოფე ჳან-ლონეზე. ამ ლოცვას რომ გაათავებდა, ხმამაღლა

დაიძახებდა: მამაჩემო, რომელს ვურქინო? — ნიკორას ურქინე, შვილო, ნიკორას! — სახლიდან გამოსძახებდა მამა ან სხვა და ეს კაცი მარჯვენა მუხლს წაუჭიკავებდა ნიკორას და თან ეტყოდა: ჩემო ნიკორა, ჯანიერათ მეყოლეო“ (ფ. გარდაფხაძის ხელწერილიდან).

აკაკი სოხაძე დაასკვნის: ამ ჩვეულებიდან ნათლად ჩანს, რომ ლეჩხუმში ნიკორა ხარის მიმართ, სხვა მუშა ხარებისაგან განსხვავებით, დამატებითი მაგიურ-რელიგიური რიტუალი სრულდებოდა, რაც იმას მოწმობს რომ ხარს ლეჩხუმელი მიწათმოქმედი „მუშა ხარის გამჩენი“ ღმერთის ანუ „დიდი ღმერთის“ მიერ ნიშანდებულ ცხოველად მიიჩნევდა (იხ. ქართველთა უძველესი სარწმუნოებისა და მის გადმონაშთებთან ბრძოლის ისტორიიდან. 1964. გვ. 112).

ქართულ კოლხურ ბრინჯაოს ფულზე ხარის თავი იყო გამოხატული.

ხარის კულტის საკითხზე ნიკო მარის ნააზრევის დასაცავად წარმოვადგენ ნიმუშებს ქართული ტოპონიმიდან.

„ხარ“ ძირისაგან ნაწარმოებია მარტივი და რთული ტოპონიმები:

სოფელ ნიკორწმინდის ტბა „ხარისთვალა“, ზემო რაჭის სოფელი „ხარისთვალი“, აჭარის სოფელი „ხარაულა“ ანუ ხარაძისეული ადგილი. ლეჩხუმში არის ზანური (კოლხური) სახელწოდება სოფლისა „ხოჯი“ (ხარი).

საყურადღებოა აჭარის ტოპონიმი „ნიკორახედიცა“ (ი. სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმოგა. I. 1958).

„ნიკორა“ ტყიან და კლდოვან გორას ჰქვია ლეჩხუმში ხვამლის მთის კალთაზე (სოფლები — ლახეფა, ნაყურალეში; ცხუკუშერი). მისგან მივიღეთ კომპოზიტი ტოპონიმები. ნიკო-

რომთა, ნიკორიძირი, ნიკორიგვერდი, ნიკორიციხვირი, ნიკორიწვერი, ნიკორიკტე (მიხ. ჩიქოვანი. ტოპონიმიკური ლექსიკონი: თბილისის უნივერსიტეტის შრომები. IX. 1939). ამ ტერმინით მტკიცდება, რომ „ხვამლის“ მთა (კოლხურად „ხვამა“ — ლოცვა, სვანურად „ლახვამ“ — სალოცავი) ხარის კულტთან დაკავშირებულ ადგილად ითვლებოდა.

ხარის სახელი ხშირად ცხოველის ფერზე მიუთითებს (ნიშა, კიოფა, შვინდა, ყვავილა, ღვინა, გიშერა, ჭიხვა...); მაგრამ ზოგჯერ ადამიანსაც აღნიშნავს. „ლაბა“ ხარს ეწოდებოდა ილია ჭავჭავაძის ლექსში. გუთნისდედა ამბობს: „ერთს ბედქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ“. „ლაბა“ ადამიანის საკუთარ სახელად იხმარება (ალ. ღლონტი. ქართველური საკუთარი სახელები. 1967) და არსებობს გვარებიც: ლაბაძე, ლაბაშვილი, ლაბაური.

მაგრამ შეუძლებელია დაიშვას ვარაუდი, რომ ხარის საკუთარი სახელი „ნიკორა“ მომდინარეობდეს ადამიანის სახელისაგან „ნიკოლოზ“ და მისი პირვანდელი ფორმა იყოს „ნიკოლა“. ეს იმიტომ, რომ „ნიკოლოზის“ ქართულ (გამარტივებულ) ვარიანტებში (ნიკო, ნიკა, ნიკოლა, კოლია, ნიკოლაური, ნიკოსოული...) ანალოგიური მოვლენა (ლ—რ ბგერათა სუბსტიტუცია) არ გვაქვს, მაგრამ მოხდა მხოლოდ კომპოზიტ ტოპონიმებში (ნიკორწმინდა, მიქარწმინდა).

„ნიკორას“ აღნაგობაზე გამოითქვა ვარაუდი. ირ. ხერხაძემ შეისწავლა მთიულეთში გავრცელებული „დაკვერვა“ ზმნა და საინტერესოდ ამოხსნა ცხოველის სახელის („კვერნა“) მნიშვნელობა („კვერან“ — ნიშნისანი: თეთრი ზოლი ყელის გასწვრივ), მაგრამ „კვერ“ ფუძეს დაუკავშირა ნიშა ხარის სახელწოდება „ნიკორა“, რომლის პირვანდელი ფორმა „ნიკვერა“ უნდა ყოფილიყო (იხ. ცხოველთა აღმნი-

შენელი ლექსიკა ძველ ქართულში. 1974. გვ. 83). ვარაუდი ნაკლებსარწმუნოა, რადგან უცნობია პირველი კომპონენტი „ნი“ და აგრეთვე სვანურ ენაში „ნიკორა“ „კვარა“ ფორმით იხმარება და არსებობს ქვემო რაჭის ტოპონიმი „კვარაციხე“ (სოფ. სხვადა).

რას მეტყველებს დიალექტიზმი „ლიკორწმიდა“? ეს ფორმა 86 წლის წინათ ფიქსირებული იყო, მაგრამ ნიკო მარს ყურადღებიდან გამორჩა (იხ. ა. ქუთათელაძის სტატია „სოფელი ლიკორწმიდა“. უფრ. „მომამბე“. VII. 1894) რაჭულ-ლეჩხუმური „ლიკორწმიდა“, აი, როგორ აბრკოლებს (ელობება) ნიკო მარის ვარაუდს:

„ლიკორწმიდა“ პირვანდელი ფორმაა თუ მეორეული? ჩემი დაკვირვებით ის მეორეული ჩანს: 1. ეს დიალექტიზმი ადამიანის საკუთარ სახელსაც რომ არ უკავშირდებოდეს და გულისხმობდეს მწვერვალს („მთაწმიდა“), სულ ერთია, კომპონენტი „წმიდა“ მაინც მხოლოდ ქრისტიანულ ხანაზე მიუთითებს და კომპოზიტი ახალია. ამიტომ ტერმინის ეტაპური ცვლილებები ასეთია: ნიკოლოზწმიდა — ნიკოლწმიდა — ნიკორწმიდა — ლიკორწმიდა; 2. რაჭის ეს უდიდესი სოფელი ქრისტიანობის შემოსვლამდეც უთუოდ. იყო. „ნიკორი“ სოფლის სახელწოდებად რომ შეერჩიათ, მისგან „ლიკორ“ ფორმას ვერ მივიღებდით, რადგან რაჭულ-ლეჩხუმურ მეტყველებაშიც ფონეტიკური ცვლილება არ წარმოებს — აქაც ნიშა ხარს „ნიკორა“ ჰქვია და ხვამლის ერთ გორას „ნიკორიმთა“. მოკლედ: ტაძრის აშენებამდის (მეთერთმეტე საუკუნემდის) არსებობდა სოფელი და მისი სახელწოდება ჯერჯერობით არ ვიცით.

თუკი გაირკვევა და დამტკიცდება, რომ რაჭულ-ლეჩხუმური „ლიკორწმიდა“ არქაული ანუ პირვანდელი ფორმა

იყო, მაშინ კი სალიტერატურო ენაში მისგან მიღებული „ნიკორწმიდა“ ლ-ნ ბგერათა სუბსტიტუციად უნდა აიხსნას (შდრ. წელი — წენი).

ნიკო მარის საინტერესო ეტიმოლოგიურ ჰიპოთეზას ჯერჯერობით ეს საბუთები მოეძებნა. ნიკო მარის ვარაუდი სასარგებლოა ხარის კულტის პრობლემის გადასაწყვეტად და ნიადაგ აღძრავს ინტერესს, რომ მოპოვებულ იქნეს წერილობითი დოკუმენტი მეთერთმეტე საუკუნემდე სოფლის არსებობის შესახებ.

ამ წინააღმდეგობისა და ფაქტობრივ ცნობათა უკმარისობის მიუხედავად მაინც შესაძლებელია გაკეთდეს უტყუარი დასკვნა: ქართულ სალიტერატურო ენაში გავრცელებული „ნიკორწმიდა“ ანუ ძველებური „ნიკოლწმიდა“ (ნიკოლოზწმიდა) იყო ტაძრის პირვანდელი სახელწოდება, რაც შემდეგ სოფელს დაერქვა.

ტოპონიმი „აჰვიში“

ამ ტერმინის ამოხსნა პირველად სცადა ზურაბ ჭუმბურიძემ. მისი მოსაზრება ასეთია:

ქვემო იმერეთის სოფლის სახელწოდება „ჭყვიში“ წარმოქმნილია კოლხური ტოპონიმებისათვის დამახასიათებელი -იშ სუფიქსით. საფიქრებელია, რომ ფუძე კოლხური იყოს, კანონზომიერი შესატყვისი ქართული წყავ-ისა. თუ ასეა, ჭყვიში იგივეა, რაც წყავ-ის-ი (რა გქვია შენ? 1971. გვ. 232).

შევეცადოთ დავასაბუთოთ ეს ეტიმოლოგიური ვარაუდი. მარადმწვანე ბუჩქის (ხის) სახელწოდება „წყავი“ ბოტანიკურ ტერმინად დაადგინა ალექსანდრე მაყაშვილმა. იგი ქართველური ენებიდან ასახელებს „წყავის“ სინონიმებს: ქართლური — ჩქერი, ქვემორაჭულ-ლეჩხუმური — შკერი, ზემორაჭული — ლეშკერი, ლეშკი, საბა — მწყავი, ჭანური — მწკო, მწკოლი, წუ, მეგრული — წყილი, წყი, წყივი, წყოვი, წყოი, სვანური — წყევ, წყავ (ბოტანიკური ლექსიკონი. 1961).

რადგ. ერისთავი მიუთითებს, რომ „(მ)წყავი“ იმერეთსა და გურიაში გვხვდება, ხოლო „წყი“ კი სამეგრელოშია (მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი. 1884).

ი. ყიფშიძის ჩვენებით, არსებობდა ზუგდიდის მაზრის სოფლის სახელწოდება „წყავაში“ (Грамматика мингрельского языка. Словарь. 1914). აღ ღლონტის მიერ ფიქსირებულია სამეგრელოს ტოპონიმები: წყავაში, წყვია, წყიონი (ტოპონიმიკური ძიებანი. ლექსიკონი. 1971).

აჭარასა და გურიაში დასტურდება ტოპონიმები: წყავნარი, წყავიძირი, წყავნაპირი, წყავიანი (ი. სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონომიკა. 1. 1958; საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. IV. 1971. გვ. 147).

ზემოთ წარმოდგენილ ფაქტობრივ მასალაში ტერმინ „წყავის“ შესატყვისი შიშინა ფორმა არ შეინიშნება. აგრეთვე „წყავი“ საყოველთაოდ გავრცელებული ლიტერატურული სიტყვა არაა (მაგალითად, ის რაჭა-ლეჩხუმში არ იცინა).

სულხან-საბა ორბელიანმა თავის ლექსიკონში „მწყავი“ უთუოდ შეიტანა არა სამწერლო ენიდან, არამედ ცოცხალი ხალხური მეტყველებიდან.

მარტივი „წყავ“ ფუძე არ იკუმშება (წყავაში, წყავნარი, წყავიანი...), მაგრამ ერთხელაც მომხდარა რედუქცია (წყვია). ტერმინი „ჭყვიში“ უნდა შესწავლილიყო ისტორიულ ასპექტში.

ზურაბ ჭუმბურიძის თვალსაზრისი თეორიულად დასაშვებია (იხ. ზემოთ „წყავ“ ფუძის მქონე წარმოქმნილი და თხზული ტოპონიმები), მაგრამ მაინც სადავოა, რადგან არსებობს მეორე შესაძლებლობაც.

ჩემი დაკვირვებით „ჭყვიში“ სხვაგვარად უნდა გაიშინდეს.

სახელწოდება „ჭყვიში“ ორ სოფელს აქვს (ვანისა და ამბროლაურის რაიონებში). გავეცნოთ თითოეულის ადგილსამყოფელსა და ნიშნებს.

გალაკტიონის მშობლიური სოფელი „ჭყვიში“ მდებარეობს მდინარე რიონის მარცხენა ნაპირას ქალაქ სამტრედიის მახლობლად. ეს დაბლობი წინათ ჭაობიან (ჭენჭყო) ადგილად ითვლებოდა.

ანდრო თევზაძეს ეკუთვნის ლექსი „ჭყვიში“. მასში ვკითხულობთ:

აბა, ჭყვიში რა არის?
წყალს მიკრული კუნძული —,
ერთი თითის დადება,
უსახო და უფერო;
ბევრი ბედს იწყევლიდა
მისი ნესტით უძღური,
მის უბრალო ბუნებას
როგორ უნდა ვუმღერო?!

იგი ბევრჯერ დაფარა და გადასილა აღიდებულმა რიონმა. ჭაობიანმა ჭყვიშმა ბუმბერაზი აღზარდა. გალაკტიონმა „ეს

უჩინო სოფელი ჩარგალს გაუთანაბრა“ და მას საქვეყნოდ გაუთქვა სახელი. ანდრო თევზაძე აღიღებს ჭყვიშს, როგორც გენიალური მგოსნის მშობლიურ ადგილს (განახლდა გული. 1971. გვ. 123).

ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ლეჩხუმსა და რაჭას განწყოფს გველისთავის მთა“ (აღწერა სამეფოსა საქართველოსა. 1941. გვ. 148).

ამ მაღლობის კალთაზე, ნასოფლარ ლაბეჭინის ქვემოთ, არსებობს „მთებში ჩადგმული“ სოფელი „ჭყვიში“. აქ მოდის ძვირფასი ალექსანდროული (ხვანჭკარა) ღვინო. ზედა და ქვედა ჭყვიში მდ. რიონის მარჯვენა მზიურ მხარეზე მდებარეობს. მის უბნებში რამდენიმე წყარო მოჩუხჩუხებს. მღერიან ხალხურ შაირს.

წყაროებიც ბლომადა გვაქვს
ცივი, როგორც ყინულიო:
ლომოიდო, აშხაფირა,
გადაბაძის ბინულიო. -

გალაკტიონის სამშობლო „ჭყვიში“ ვანის რაიონშია. ამბროლაურის რაიონის „ჭყვიში“ კი სამაზრო დაყოფის მიხედვით ლეჩხუმს ეკუთვნოდა.

„ჭყვიში“ ზანურ-სვანური ტერმინია. ასეთი სახელწოდებები იმერეთისა და ლეჩხუმის ტერიტორიაზე უხვადაა.

ივ. ჯავახიშვილი „ჭყვიშს“ ზანურ ტერმინად თვლის, მაგრამ მის აღნაგობას არ ეხება (ქართველი ერის ისტორია. 1. 1913. გვ. 56).

ამჟამად სალიტერატურო ენაში დამკვიდრებულია ფორმა „ჭყვიში“ (საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ ტერიტორიული დაყოფა. 1977).

აღსანიშნავია, რომ რაქა-ლეჩხუმში „ქყვიშს“ იტყვიან, მაგრამ ქვემო იმერეთში კი „ჭყუში“ იხმარება.

ამოსავალ ფორმა „ჭყუშს“ ადასტურებს მეთექვსმეტე საუკუნის ისტორიული დოკუმენტიც: „მართებს ჭყუშს გოგნიასა სვანიძესა ზუთხი ცხრა“ (ექვთ. თაყაიშვილი. დავთარი ქუთათისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა, შედგენილი 1578 წელს: ძველი საქართველო. IV. 1914—1915. გვ. 44). მდინარე რიონმა თქვა: ბაშს ეკლესიას დავაქცევ, ჭყუშელებს დავეძგერები... (პ. უმიკაშვილი. ხალხური სიტყვიერება. 1937. გვ. 339).

შიშინა ფორმა „ჭყუშის“ ეკვივალენტად აღდგება სისინა ფორმა „წყუში“.

ი. ყიფშიძის განმარტებით, „წყუ“ არის ჭა, წყარო, „წყურგილი — ჭა (წყარო) გრილი. ხოლო კომპოზიტი „ჩხორო-წყუ“ — ცხრა წყარო (Грамматика мингрельского языка, Словарь. 1914).

ტერმინი „ჭყვიში“ ქართულ წყ კომპლექსს, კერძოდ, კი „წყალ“ ფუძეს უკავშირდება.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ქართველურ ენებში „წყალ“ ფუძის ზუსტ ფონემურ შესატყვისთა მოძებნა ჭირსო.

„წყალ“ ფუძის ზანურ ეკვივალენტზე სხვადასხვა შეხედულება არსებობს.

არნ. ჩიქობავა წერს: „წყალ“ ფუძის დღევანდელი ზანური შესატყვისი (მეგრული „წყარი“, ჭანური „წყარი“) ქართულიდან არის შეთვისებული სესხების გზით. ზანური კანონზომიერი შესატყვისი „წყალ“ ფუძისა უნდა ყოფილიყო „ჭყორ“. „წყალ“ ფუძის ეკვივალენტი „ჭორ“ დაუცავს მე-

გრულ „ჭოროფას“ (ავდრიანობა). მარტივ „ჭორ“ ფუძეში გამოიყოფა -ორ სუფიქსი — ქართული -ალ სუფიქსის შესატყვისი. ამ თვალსაზრისით ქართულ „წყალ“ ფუძის ყ თანხმომავანი განვითარებული ჩანს. მისი პირვანდელი ფორმა „წალ“ იქნებოდა (ჭანურის გრამატიკული ანალიზი. 1936. გვ. 18-19; ჭანურ-მეგრულ ქართული შედარებითი ლექსიკონი. 1938. გვ. 182; სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. 1942. გვ. 20—22).

გ. მაჭავარიანი შენიშნავს: მეგრული „წყარი“, ჭანური „წყარი“, შესაძლოა, ქართულიდან იყოს შეთვისებული. ამ ფორმათათვის შეიძლება ამოსავლად მივიჩნიოთ ქართული „წყარო“ და არა „წყალი“.

თუ დავუშვებთ, რომ მეგრული „ჭორ“ გენეტიკურად უკავშირდება ქართულ „წყალ“ ფუძეს, მაშინ ჩვენს წინაშე იქნება უნიკალური შეფარდება ქართ. წყ — მეგრ. ჭ: არ მოგვეპოვება არც ერთი სხვა მაგალითი, სადაც ამგვარ შესატყვისობას დავადასტურებდით. უჩვეულოა აგრეთვე შეფარდება ქართ. ლ-მეგრ.-ჭან. რ ა ხმოვნის მომდევნო პოზიციაში. შდრ. ქართ. თვალი — მეგრ.-ჭან. თოლი, ქართ. მსხალი — მეგრ. სხული, ჭან. მცხული. ქართ, დედალი — მეგრ.-ჭან. დადული და სხვ. შდრ. აგრეთვე ქართ. გვალვა — მეგრ. გოლოფა, ქართ. წყალობა — მეგრ. ჭყოლოფუა და მისთანანი.

ორი უჩვეულო შეფარდება ერთსა და იმავე მაგალითში საკმარისზე მეტიც არის, რომ თვით შეპირისპირება ქართ. „წყალ“ — მეგრ. „ჭორ“ ეჭვქვეშ დავაყენოთ (საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა. 1965. გვ. 91).

თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის ვარაუდით, „წყალ“ ფუძის მეგრულ-ჭანური შესატყვისი „წყუ“ „ჭა, წყარო“ უნდა

იოს. ისინი აღნიშნავენ, რომ ეს ერთადერთი ნიმუშია, სადაც ქართული ბოლოკიდური ალ კომპლექსის შესატყვისად მეგრულში უ გამოვლინდება. „წყალ“ ფუძის მეგრული ვარიანტი ასე არის მიღებული: წყალ—წყოლ—წყოუ—წყუ (სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. 1965. გვ. 90—91).

„წყალ“ — „ჭორ“ შესატყვისობის დასაბუთება სცადა გ. თოფურიაშვილმა. მისი აზრით, ამ ფუძეთა ურთიერთდაკავშირების გამოსარიცხად არ გამოდგება ის არგუმენტი, რომ ქართულ ალ სუფიქსს ზანურში ორ არ უნდა მოეცა, რამდენადაც ქართული „ტყემალი“ და ზანური „ყომური“ იმავე შეფარდებას გამოაქვნიან. „წყალ“ — „წყუ“ ფუძეთა შეფარდება (ქართული ალ — ზანური უ) კი უფრო უნიკალურად გამოიყურება და საეჭვოა („წყალ“ ფუძის შესატყვისისათვის ზანურში: ურ. „მატნე.“ 1971. № 2. გვ. 115-118).

ზ. სარჯველაძე ეხება საკითხის ისტორიას (არსებულ შეხედულებებს). მისი შენიშვნა გ. თოფურიასადმი ასეთია: ზანურში ურ გვაქვს და არა ორ. საამისოდ იმოწმებს თ. გამყრელიძესა და გ. მაჭავარიანს, რომლებიც მიუთითებენ, რომ ქართული ალ (ტყემალ) და ზანური ურ (ყომურ) დამოუკიდებელი სუფიქსებია. შდრ. ქართული წიფელი, ზანური წიფური, სვანური წიფრა.

ზ. სარჯველაძე დაასკვნის, რომ მეგრული „ჭორ“ არ შეიძლება მივიჩნიოთ ქართული „წყალ“ ფუძის შესატყვისად და იცავს გ. ახვლედიანის თვალსაზრისს წყ კომპლექსის თავდაპირველობის შესახებ („წყალ“ ფუძესთან დაკავშირებული ზოგი საკითხისათვის; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. 65. №2. 1972. გვ. 505-508).

ჩემი შენიშვნები და განსხვავებული თვალსაზრისი ასეთია:

ქართულში არსებობს დეცესიური ჰარმონიული წყ კომპლექსისაგან მიღებული „წყალ“, „წყარ“ და „წყურ“ ფუძეები.

წყ კომპლექსის პირვანდებლობისა თუ მეორეულობის შესახებ ახლა მოკლედ ვიტყვი. კერძოდ, „წყალ“ და „წყარ“ ფუძეებში ყ ბგერა ძირს ეკუთვნის, თუ განვითარებულია. ქართველური ენებიდან განვიხილავ მხოლოდ უცნობ ფაქტობრივ მასალას. დამატებითი ფილოლოგიური ძიება აუცილებელია აქ აღძრული პრობლემის გადასაწყვეტად.

ქართულ კომპლექსთაგან წყ მყარია, მაგრამ ჰყ შედარებით კი — ცვალებადი, რაც ჰ და ყ ბგერათა თავისებურებით აიხსნება. ფონეტიკური ცვლილება სემანტიკურ ცვლილებასაც იწვევს.

ჰ თანხმოვანიც ვითარდება ძირეული ყ თანხმოვნის მეზობლად: „ჰენჰყი“ — ჰაობიანი ადგილი (შდრ. ჰენჰი — ცვარი, ოფლი, სინოტივე), „ჰყუული — ჰული (წული), „ჰყვარტი“ — მჰვარტი...

ჰ თანხმოვანიც ვითარდება ძირეული ყ თანხმოვნის მეზობლად. „ჰყერო“ — ხიმის ღობე (შდრ. „ყერო“ — ძელი ზღუდედ), „ჰყორე“ — ჰვიანი ადგილი (შდრ. ყორე).

ჯერჯერობით არავის აღმოუჩენია ყ ბგერის ჩართვის ფაქტი წ თანხმოვნის მომდევნო და ა ხმოვნის წინა პოზიციაში. გვაქვს იშვიათი მაგალითი „წყათი“ — წათხი (ბ. წერეთელი. ზემოიშვრული ლექსიკონი. 1938), „წყუთე“ — წათხი (ქართული დიალექტოლოგია. 1. ლეჩხუმური ლექსიკონი. 1961), მაგრამ მასში ორი სხვადასხვა ფონეტიკური მოვლენა (სუბსტიტუცია და მეტათეზისი) დასტურდება.

ყ სხვაგვარ პოზიციაში შესაძლოა განვითარდეს: ტოპონიმი „წყნორი“ (ოკრიბის სოფელს ეწოდება) „წნორს“ ნიშნავს

(ზ. კუმბურიძის შრომა. გვ. 228). ქალაქი „წნორი“ სილნალის რაიონს ეკუთვნის.

წყ კომპლექსის შემცველ „წყალ“ ფუძეში რ თანხმოვანი განვითარდა: მორწყვა, სარწყავი, სარწყული, ურწყული, ნარწყული, გარწყალება...

წყ კომპლექსის ზანური ეკვივალენტია ჭყ.

1. გურულში იხმარება „ჭყანი“ — ქონიანი წყალი (გ. შარაშიძე. გურული ლექსიკონი. 1938). კახურსა და ფშაურში გვაქვს „ჭყანტი“ — ქაობი (განმარტებითი ლექსიკონი. VIII. 1964), რაჭულ-ლეჩხუმურში — „შაჭყალი“ (საწყალი).

„წყალ“ ფუძეს ზანურში შეესატყვისება „ჭყოლ“: „ჭყოლოფუა“ — წყალობა. (И Книшндзе. Грамматика мингрельского языка. Словарь 1914). ამ სახელში დაცულია კანონზომიერი ორმაგი თანათარღობა — თანხმოვანთა და ხმოვანთა.

მსგავსი თანათარღობის ნიმუშია გურული ტოპონიმი (ლელის სახელწოდება) „ჩხორონჭუა“ — ცხრა წყალი (ს. ჟღენტი. ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა. 1953. გვ. 8; ი. სიხარულიძე. გურიის ტოპონიმიკა: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. IV. 1971. გვ. 128).

ზანური „წყუ“ ცალმხრივ (მხოლოდ ხმოვანთა) შესატყვისობას ავლენს. პირვანდელ ფორმად სავარაუდებელია „წყო(ლ)ი“, რომლის ო და შემდგომ განვითარებული უ ხმოვნები შემოუნახავს ტოპონიმს „წყოლში“ (სოფელს ეწოდება წალენჯიხის რაიონში), ბოლო პროცესია ო ხმოვნის დაკარგვა — „წყუ“.

იმერული ტოპონიმი „ჭყოიში“ (მუხნარ ტყეს ერქვა სოფელ ჭიმასტაროში) წარმოიქმნა „ჭყონ“ ფუძისაგან და ნ ბგერა დაუკარგავს. „ჭყუში“ კი ნაწარმოებია „ჭყო“ ფუძისაგან,

რასაც ლ არ ჰქონია. ლ რომ ჰქონოდა, „ჰყულის“ მოგვცემდა.

„წყუ“ ფუძის „ჰყუ“ ვარიანტში კომპლექსური სუბსტიტუცია მოხდა — უ ხმოვანს შეენაცვლა ვი მარცვალი და „ჰყვი“ მივიღეთ. გვაქვს ანალოგიური დიალექტიზმები: კუნძი — კვინძი, კუნტრუში — კვინტრიში, კურცხალი — კვირცხლი... გვხვდება საპირისპირო ფორმაც: წვიმა — წუმა, ხვიმირა — ხუმირა, დათვის მსხალი — დათუხალა, შვლისყურა — შლუყურა...

ტოპონიმიკიდან მნიშვნელოვანია ანალოგიური და საპირისპირო ვარიანტები: ქუტირი — ქვიტირი, დუბე (დიდუბე) — დვიბე; გვიმბრალა — გუმბრა...

როგორც ჩანს, ტერმინი „ჰყვიში“ „წყალ“ ფუძის ორმაგ (თანხმოვანთა და ხმოვანთა) შესატყვისობას ადასტურებს და ნაწარმოებია ნათესაობითი ბრუნვის სვანურ-ზანური შ სუფიქსით. მის ფორმათა ეტაპური თანმიმდევრობა ასეთია: წყალისი — წყოში — ჰყოში — ჰყუში — ჰყვიში.

ამავე ფორმისაა ქართული ჰიდრონიმები: რუისა, ფონისა, წყაროსა... -იშ სუფიქსიანი ფუძისაგან შეიძლება ახლის წარმოებაც: ჰიშურა (ჰისებური), ხელიშური (ხელისებური — გიჟი), ტიბიშური (ღელისებური)... „ჰყვიშ“ ფუძისაგან წარმოიქმნა ტოპონიმი „ჰყვიშაური“, რასაც ივ. ჯავახიშვილი ასახელებს (ქართველი ერის ისტორია. 1. 1913. გვ. 56).

სოლომონ მეორის მიერ 1803 წელს დაწერილ წყალობის წიგნში იკითხება ამ ტერმინის ადრინდელი ფორმა „ჰყუშური“ ახლანდელი სოფელ „ჰყვიშის“ გაგებით (ი. ლორთქიფანიძე. გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა. 1966. გვ. 10). ფორმა „ჰყუშური“ ორმაგი წარმოების გზით გაჩნდა და „წყლისებურს“ გულისხმობს.

2. ქართული „წყარო“ უსესხებია ზანურს (მეგრული „წყარი“, ჭანური „ჭკარი“). „წყარ“ ფუძეს შეესატყვისება „ჭყორ“.

აჭარულში გავრცელებულია „ჭყორტო“ — წყლიანი ადგილი, ჭაობი (შ. ნიჟარაძე. ქართული ენის აჭარული დიალექტი. ლექსიკონი. 1971) და არსებობს ტოპონიმიც — სათიბის ასეთივე სახელწოდება (ი. სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია. 1. 1958).

ცნობილია ანალოგიური დიალექტიზმი „ჭყიჟორი“ — წვიმიანი, ნესტიანი ამინდი (ს. ჟღენტი. გურული კილო. ლექსიკონი. 1936).

„წყარ“ ფუძეს შეესატყვისება „ჭორ“ (იხ. ზემოთ: მეგრული ჭოროფა — ავდრიანობა).

ყურადღებას იპყრობს ნესტიანი ადგილის სახელწოდება „ჭაობის“ აღნაგობის საკითხიც. აქ -ობ ქართული სუფიქსია, მაგრამ „ჭა“ წყ კომპლექსს ვერ დაუკავშირდება, რადგან ის უცხოური სიტყვაა — სპარსული „ჩაჰ“ (განმარტებითი ლექსიკონი. VIII. 1964).

სხვაგვარ აზრს აღძრავს ფორმა „ჭარი“. რაჭულში გავრცელებული სიტყვა ვ. ბერიძემ ასე განმარტა: დაბალი, ნოტიო ადგილი, ლენჭყი, ჭენჭყი“ (სიტყვის კონა. 1912). იგივე მნიშვნელობა გვხვდება შემდგომ ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებში (მ. ალავიძე. ლეჩხუმური ლექსიკონი. 1938; შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან — მთარაჭული ლექსიკონი. 1954; განმარტებითი ლექსიკონი. VIII. 1964).

„ჭარნალი“ ეწოდება სოფელს აჭარაში (ბათუმის მახლობლად) და შესაძლოა „ჭარნარს“ ნიშნავდეს (შდრ. ვაკნარი, გუბნარი...), რადგან „ჭარები“ სოფელს ჰქვია გორის

რაიონშიც. ზ. კუმბურიძის ამოხსნით, „ქარნალი“ არის „ქალნარი“ (რა გქვია შენ? 1971. გვ. 230).

„ქარნალი“ აჭარაში გვხვდება ლელისა და ყანის სახელწოდებადაც (ი. სიხარულიძის ტოპონიმეკური ნაშრომი. 1. 1958. II. 1959).

ეთნიკური „აჭარა“ ტერმინის ეტიმოლოგია საბოლოოდ დადგენილი არ არის. ცნობილ მოსაზრებათაგან სამახსოვროა, რომ ი. სიხარულიძე „აჭარაში“ ძირეულ ელემენტად გამოყოფს ჭ-ს და მასში „წყალს“ გულისხმობს (აქვე, ტ. I. გვ. 144). ტერმინს კი ასე შლის: ა-ჭარ-ა (გვ. 35).

ივ. ჯავახიშვილი იხილავს „ჭარს“, როგორც არა ნასესხებ, არამედ ქართულ სიტყვას ტერმინ „ჭარხლის“ ეტიმოლოგიისათვის.

თუმცა ჰერეთის ცნობილ თემს „ჭარი“ და აქაური თხილის ჯიშს „ჭარული“ ეწოდება (მ. ჯანაშვილი. საინგილო: ძველი საქართველო. II. 1913. გვ. 101), მაგრამ, როგორც ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, საინგილო ჭარხლის კულტურით განთქმული კუთხე არ ყოფილა და ამიტომ ამ სახელს „ჭარხალი“ ვერ დაუკავშირდება.

უდიდესი მეცნიერი დაასკვნის: „ჭარი“, ვითარცა დაბლობი, წყლიანი ადგილის აღმნიშვნელი სიტყვა (ზოგადი გეოგრაფიული ტერმინი), ძველ ქართულშიც ცნობილი უნდა ყოფილიყო, ხოლო აქვე თავის ადგილას უკვე ნათქვამი გვქონდა, რომ კავკასიაში ჭარხალი ველურად სწორედ შავისა და კასპიის ზღვების სანაპიროზე იზრდება. ე. ი. სწორედ დაბლობ და ნოტიო ადგილებში. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ამ ველურ მცენარეს სახელდ დასავლეთ საქართველოში „ჭარის მხალი“ სწოდებოდა, რომელიც დრო-

თა განმავლობაში „ჭარხლად“ ქცეულა (საქართველოს ეკონომიური ისტორია. II. 1934. გვ. 198).

ჩემს „ლეჩხუმურ ლექსიკონში“ (1938) „ჭარო“ ფორმაც დასტურდება და აგრეთვე მისი სხვა მნიშვნელობაც: „ნედლი, დაუმწიფებელი სიმინდი“.

იქნებ „ტარო“ ფუძეში ტ ბგერის გააფრიკატება მოხდა (შდრ. ტირთვი — ჭირთვი — ჭვირთი)? მაგრამ არა, რადგან „ტარო“ მხოლოდ სიმინდს აქვს და სიმინდის კულტურა კი ჩვენში მეჩვიდმეტე საუკუნეში შემოვიდა.

ქართულში „ჭარი“ და „ჭალა“ იმავე სუფიქსებიანი სახელებია, როგორც „წყარო“ და „წყალი“.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ჭალა“ არის „წყლის ნაპირი ნაყოფიერი“.

როგორც „ჭალა“, ისე მისგან წარმოქმნილი და თხზული ტოპონიმები უხვადაა საქართველოში (ზ. ჭუმბურიძის შრომა. გვ. 230). რაჭულ-ლეჩხუმურში მსხლის ჯიშს „ჭალოულა“ ჰქვია (განმარტებითი ლექსიკონი).

საყურადღებოა ცნობილი ფორმა „ჭალენჯიხა“ (И. Кипшидзе. Словарь).

ს. ჯანაშია წერს: ქართული წ მეგრულში ჭ-ს გვაძლევს (ჭირისუფალი — წირსუფალი). მსგავსი შესიტყვება გვაქვს „ჭალენჯიხაში“ (ვახუშტის „ჭელენჯიხა“). ასეთი ფორმა გვხვდება ახლაც, მაგრამ გაბატონებული კია „წალენჯიხა“ (თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი: ენიმეის მოამბე. 1. 1937. გვ. 198).

ი. ყიფშიძისაგან განსხვავებული ეტიმოლოგია არნ. ჩიქობავას ეკუთვნის: კომპოზიტ „წალენჯიხას“ კომპონენტებია ჭანური „წალენ“ — ქვემო და მეგრული „ჯიხა“ — ციხე

(წარ პრევერბის მნიშვნელობისათვის ქართულში: ენიმკის მოამბე. 1937. გვ. 45).

ეს ამოხსნა მისაღებია, თუკი ზემო ციხეც არსებობდა.

შესაძლოა „ჭალენჯიხა“ პირვანდელი ფორმა იყოს, რადგან მასში პირველ კომპონენტადაც გამოიყოფა მეგრული „ჭალე“ (ჭალა). ნ ბგერა განვითარებული ჩანს (შდრ. მანჯა — მაჯა, ნჯორი — ჯორი).

თუკი „ჭარ“ და „ჭალ“ ზანური ფუძეებია (ქართულ „წყარ“ და „წყალ“ ფუძეთა შესატყვისნი) და ქართველურ ენებში ანალოგიურ სხვა სარწმუნო ფაქტებსაც ვიპოვით, მაშინ წყ კომპლექსის მეორეოვლობის პრობლემაც დადებითად გადაწყდება.

აღსანიშნავია, რომ „წყაროს“ არ უკავშირდება „ჭყორი“, რაც ქართულში ბაძგს (მცენარეს), ხოლო ზანურში მწყერს ჰქვია.

3. ქართული „წყურ“ ფუძე გამოიყოფა ზმნაშიც და სახელშიც (მოსწყურდება, მოაწყურებს, სწყურია, წყურვილი, წყურტი...). ძველი ქართულიდან ცნობილია „მწურნები“ წყალმრავლის ანუ ჭაობის მნიშვნელობით (ზ. სარჯველაძის შრომა. გვ. 507), „წყურია“ ერთ გარეულ ფრინველსაც ეწოდება (შ. ნიჟარაძე. აჭარული ლექსიკონი. 1971).

„წყურ“ ფუძეს შეესატყვისება „ჭყურ“. ირკვევა, რომ „ჭყურტი“ (წყურტი — დიაბეტი) ზანურში იყო, რადგან ის შემოუენახავს დასავლურ და სამხრულ კილოებს (ი. მაისურაძე. მასალები მესხური ლექსიკიდან. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. IV. 1954; М. Алавидзе. Лексика лечхумского диалекта Грузинского языка. Автореферат. 1955; განმარტებითი ლექსიკონი. VIII. 1964).

მსგავსად „ჭყურტისა“ უძველესი ზანური ფორმა დაუ-

ცავს ქვემო იმერეთის ტოპონიმიკასავე. სოფლის სახელწოდება „ჩხენიში“ არის „ცხენისა“. ზანურში ამაჲმად „ცხენი“ იხმა-რება. უნდა ვიფიქროთ, რომ მას ადრე ფორმა „ჩხენი“ ჰქო-ნდა.

ზანურში არის სახელი „წყურიში“ (კვირისტავი), მაგრამ მას სხვაგვარი წარმომავლობა აქვს (გ. როგავა. ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები. 1. 1962. გვ. 100).

წ — ჰ შესატყვისობის ცნობილი ნიმუშებია — იმერული-დან: კნეხვა — წნეხვა, ოჰვათო — საწვეთელი, რაჰულ-ლე-ჩხუმურიდან: ჰყენა — წყენჰ, მოკოპჰიალება — მოკოპწი-ალება, ჰანტილა — წანდილი (კორკოტი)...

ამრიგად, ქართულ წყ კომპლექსს ზანურში ცვლის ჰყ და გვაქვს შესატყვისები:

1. „წყალ“ ფუძისა — „ჰყოლ“ (ჰყოლოფუა — წყალობა), „ჰყან“ (გურული ჰყანი — ქონიანი საჰმელი, კახურ-ფშაური ჰყანტი — ჰაობი), „ჰყა“ (თოვლ-ჰყაპი — თოვლ-წყალი), „წყუ||ჰუ“ (მეგრული ჩხოროწყუ — ცხრა წყალი, გურული ჩხოროწყუა — ღელე), „ჰყუ||ჰყვი“ (ჰყუში||ჰყვიში — სო-ფლის სახელწოდება), „ჰალ“ (ჰალა — წყლის ნაპირი)...

„წყალ“ — „წყუ“ შესატყვისობის ვარაუდი თ. გამყრელი-ძესა და გ: მაჰვარიანს ეკუთვნით. გ. მაჰვარიანის მიერ (იხ. ზემოთ: მისი დოკუმენტაციური მასალა) უყურადღებოდ დატოვებულია თანხმოვანთა შესატყვისობის მოვლენა „ჰყოლ“ ფუძეში (ჰყოლოფუა — წყალობა). იგი რატომღაც მეგრულ „ჰოროფას“ ერთადერთ ნიმუშად თვლის. მოსალო-დნელი იყო, რომ მას „ჰოროფას“ გაგებაშიც ამოსავალ ფო-რმად მიეჩნია „წყარო“ და არა „წყალი“.

2. „წყარ“ (წყარო) ფუძისა — „ჰყორ“ (აჰარული „ჰყო-რტო“ — წყლიანი ადგილი, ჰაობი, გურული „ჰყიყორი“ —

წვიმიანი, ნესტიანი ამინდი), „ჭორ“ (მეგრული „ჭოროფა“ — ავღრიანობა), „ჭარ“ (იმერულ-რაჭულ-ლეჩხუმური „ჭარი“ — ნოტიო ადგილი, ქენჭყო).

„წყალ“ — „ჭორ“ შესატყვისობის ვარაუდი არნ. ჩიქო-ბავას ეკუთვნის, რაც ზუსტი არაა და შენიშნა გ. მაჭავარი-ანმა. ზ. სარჯველაძე მართებულად ფიქრობს, რომ „ჭორ“ „წყალ“ ფუძის ეკვივალენტი არ არისო, მაგრამ „წყარ“ ფუ-ძეს არ ითვალისწინებს.

3. „წყურ“ (წყურვილი) ფუძისა — „ჭყურ“ (ჭყურტი — წყურტი). ამ ფუძის ძველქართული ნიმუში (მწყურნები — წყალმრავალი ანუ ჭაობი) იპოვა ზ. სარჯველაძემ.

წყ კომპლექსის მეორეულობას (რომ ყ ბგერა ძირს არ ეკუთვნის) მოწმობენ „წყალ“ და „წყარ“ ფუძეთა ზანური შესატყვისნი: ქართული „ჭალა“ — წყლის ნაპირი, გურული „ჩხორონჭუა“ — ცხრა წყალი (ღელე), იმერულ-რაჭულ-ლე-ჩხუმური „ჭარი“ — დაბალი, ნოტიო ადგილი, ქანური (ათი-ნური) „წარი“ — წყარო და მეგრული „ჭოროფა“ — ავღრი-ანობა.

დასკვნა: დიალექტიზმი „ჭყუში“ „ჭყვიშე“ ადრინდე-ლია და „წყალ“ სახელისაგან წარმოიქმნა. ამას ამტკიცებს ზანურში დაცული „წყუ“ (წყალი) და გურული ტოპონი-მი „ჩხორონჭუა“ (ღელეს ეწოდება). გამოირკვა, რომ „წყალ“ ფუძის კანონზომიერი ზანური ორმაგი ეკვივალენტის (ჭყოლ) ვარიანტი „ჭყუ“ იმერულს შემოუნახავს. ნანათესაობითარი ზაანიზმები (ტოპონიმები) „ჭყვიში“ და „წყოლში“ იგივეა, რაც ქართული „წყლისა“. მასში წყლოვანი ადგილი (ჭაობი-ანი ან წყაროიანი) იგულისხმება.

ამ ნაშრომის გამოქვეყნებისთანავე (გაზ. „ქუთაისი“. 1973. № 184) გავეცანი ერთ წერილობითს დოკუმენტს, რო-

მელშიც გამოთქმულია განსხვავებული თვალსაზრისი. ბარათზე ხელს აწერს ქალაქ სამტრედიის მცხოვრები, კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი დავით ივანეს ძე ტაბიძე. საჭირო გახდა ამ სადავო გაგებასაც გამოვხმაურებოდი.

დავით ივანეს ძე ტაბიძის ახსნა ხალხური ეტიმოლოგიის წიაღიდან მოდის და მისი მეცნიერულად გამართლება ძნელია, თუმცა საინტერესო და ანგარიშგასაწევეია. ხალხურ ეტიმოლოგიათა დიდი ნაწილი, როგორც ვიცით, ენათმეცნიერული შესწავლით არ მტკიცდება.

დავით ტაბიძის ვარაუდი ასეთია: სამეგრელო განთქმული იყო მესაქონლეობით. გალაკტიონის მშობლიური სოფლის მიდამოები, წინათ საძოვრად იყო გამოყენებული. გადმოცემით წულუკიძის რაიონის სოფელ ივანდიდის მცხოვრები ტაბიძენი და ბახტაძენი უხსოვარ დროს ჩასახლებულან სოფელ ჭყვიშში. ჩანს, მეგრულ მებატონეებს გადმოჰყვენენ ისინი მწყემსებად. გაზაფხულზე საქონელს ამ დაუსახლებელ ადგილებში აძოვებდნენ და გვიან შემოდგომამდე აქვე რჩებოდნენო. ზოგმა ზამთარში დასადგომი კარავიც კი გამართა და, თუ თბილი ზამთარი იქნებოდა, გამოიზამთრებდნენ კიდევ და ბოლოს მოსავლიანი ნიადაგის იმედით მთლიანად გადმოსულან მუდმივ საცხოვრებლად.

გალაკტიონის სოფლის სახელწოდება „მწყემსისაგან“ უნდა მომდინარეობდეს, რადგან მეგრულად მწყემსს „ჭყეში“ ჰქვია, სამწყემსოს (სამწყემსურს) კი „ოჭყეშური“. ადგილობრივ ამჟამად ხან „ჭყეშს“ იტყვიან, ხან „ჭყეშურს“. ასე რომ „ჭყეში“, „ჭყეშური“ უფრო ახლოა მეგრულ „ჭყეშსა“ და „ოჭყეშურთან“, ვიდრე სხვა სიტყვებთანო.

რა შეიძლება ითქვას ამ ვარაუდზე?

როგორც ირკვევა, ტაბიძენი სოფელ ჭყვიშში დამკვიდრე-

ბულან მე-18 საუკუნის დასასრულს — მეფე სოლომონ მეორის დროს (ი. ლორთქიფანიძე. გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა. 1968. გვ. 10). თუმცა ტოპონიმი უხსოვარ ხანაში გაჩნდა, მიუხედავად ამისა, ის მაინც შეიძლება „სამწყემსურს“ აღნიშნავდეს, მაგრამ ამ ახსნას ახლავს დაბრკოლება.

ქართულ წყ კომპლექსს კოლხურში ჰყ შეესატყვისება. კოლხურ ჰყ ძირს შეიცავს „მწყემსის“ ეკვივალენტი „ჰყეში“ (ი. ყიფშიძე). ძირეული სახელი „ჰყეში“ ტოპონიმად არ შეიძლება არსებობდეს ისე, როგორც არ გვაქვს ტოპონიმი „მწყემსი“. რომ იყოს მისგან მაინც არ მიიღება არქაიზმ-დიალექტიზმი „ჰყუში“.

„ჰყეში“ ფუძისაგან ნაწარმოები „ოჰყეშური“ კი ტოპონიმად მოსალოდნელია აღმოჩნდეს. ასე რომ ყოფილიყო მაშინ ო- თავსართი არ დაიკარგებოდა. მეგრული ო- თავსართი ქართულ სა-თავსართს შეესატყვისება. მეგრული „ჩხომ“ (თევზი) ფუძისაგან ო- და -ურ აფიქსებით მივიღეთ მდინარისა და სოფლის სახელწოდებები სამეგრელოსა და აჭარაში — „ოჩხომური“ და „ოჩხამური“, რაც სათევზეს გულისხმობს.

კოლხური ო-თავსართი გამოიყოფა იმერეთის ტოპონიმებში: ოკრიბა, ოსტენელა, ოხომირა, ოფშკვითი, ოფურჩხეთი...

მე-16 საუკუნის წერილობითს დოკუმენტში დაცულ „ჰყუში“ პირვანდელი ფორმა უნდა იყოს და დღესაც ცოცხალია ხალხში. აგრეთვე გვაქვს ორმაგი წარმოებაც „ჰყუშური“ (წყლისებური) ისე, როგორც აიხსნება ვანის რაიონისვე ტოპონიმი „ჭიშურა“ (ჭისებური).

ფორმა „ოჰყეშური“ ტოპონიმად დასაშვებია, მაგრამ ზემოთ მოყვანილ ისტორიულ საბუთში არ იკითხება. საჭირო

იყო შევსებოდი ამ სხვა ვარაუდს და აღმენიშნა, რომ „ჭყვიში“ „ჭყვეს“ (მწყემსი) არ უდრის.

ამრიგად, „ჭყვიში“ კოლხიზმია — მეგრულ-ქანურიდან მომდინარე ტოპონიმი და „წყალ“ ფუძეს უკავშირდება. ეს ტოპონიმი ნათესაობითი ბრუნვის -იმ სუფიქსით წარმოიქმნა ისე, როგორც „ჯიხაიში“ (ციხისა — ციხისი), „ჩხენიში“ (ცხენისა — ცხენისი) და მისთანანი.

იოსებ გრიშაშვილის წერილები

იუბილარის საგალოზე

იოსებ გრიშაშვილი ქუთაისში უკანასკნელად ჩამოვიდა 1960 წელს. 16 მაისს ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა მგოსნის დაბადების 70 წლის იუბილე. მომხსენებელი იყო ბესარიონ ქლენტი. ზეიმი ფართოდ გააშუქა საქალაქო პრესამ. 1979 წლის 24 აპრილს გაზეთ „ქუთაისში“ (№ 80) გამოქვეყნდა ქუთათურ იუბილეზე პოეტის მიერ წაკითხული სიტყვა (ხელნაწერი რ. ბეროქესთან ინახება):

„მე ახლა ქუთაისში ვარ. ჩემს და თქვენს საყვარელ ქუთაისში, ჩემო ძვირფასო მეგობრებო!

ქუთაისს რაღაც საოცარი ჯადო აქვს. ვინც აქ არ ყოფილა, ყველას ისე ჰგონია, თითქოს რაღაც აკლია, მოუხვენრობს, სული და გული მოუწევს აქეთკენ, და, აი, ნახავს თუ არა, მისდამი წარმოუდგენელი ტრფიალებით განიმსჭვალება. ამიერიდან ისიც ამ იშვიათ ქალაქს „ჩემს ქუთაისს“ უწოდებს.

მე, რასაკვირველია, იმათ რიცხვს არ ვეკუთვნი, ვინც ქუთაისში ერთხელ ყოფილა. ჩემი ცხოვრების მრავალი სასიამოვნო წუთებია დაკავშირებული ამ მშვენიერ ქალაქთან. ჩემს ყრმობაში ქუთაისი პოეზიის მექად ითვლებოდა. რაღაც განსაკუთრებული ინტერესი ამოძრავებდათ ქუთათურებს პოეზიისადმი და პოეტებს ქუთაისისადმი. პოეტის ჩამოსვლა აქ ულამაზეს ზეიმზარად გადაიქცეოდა ხოლმე. ისე გეგონებოდათ — ყველა, დიდი და პატარაც, აქ პოეზიით ცხოვრობდა, პოეზიით სუნთქავდა, პოეზიის გარეშე არსებობა არ შეეძლო. როცა ქუთაისს აკვირდებით, ეს ყველაფერი ბუნებრივად გეჩვენებათ. აი, გახედეთ ქუთაისის ლაღად გაშლილ მხრებს, მის უსასრულობაში დაკარგულ ქუჩებს, მიწის და ბალახის სურნელებით აღსავსე ჰაერს, ცამდე აწვდილ ისტორიულ გელათს და ლურჯად მოკამკამე მსუბუქ ცას, მკლავებით რომ დედამიწას დაყრდნობია — ყველაფერი ეს ერთად აღებული განა უზარმაზარი პოეზია არ არის? ქუთაისელი, დაბადებიდანვე, ამ პოეზიით სუნთქავს და ამიტომაც მას ყველაფერი, რაშიც პოეზიას ხედავს, უყვარს გატაცებით, თავდავიწყებით, რაინდულად. ან როგორ არ უნდა გიყვარდეთ ასეთი ქალაქი და ასეთი ადამიანები!

მე ქუთაისი ჯერ კიდევ უნახავად შემიყვარდა და ქუთაისსაც უნახავად შევუყვარდი. ჩვენი ტრფიალების უშამავალი ჩემი ლექსები იყო. ლექსებმა დამასწრეს სურამის უღელტეხილის გადმოლახვა, მაგრამ დიდად არც მე ჩამოვრჩი: აქ, ქუთაისში, პირველად 1910 წელს ვიყავი, ნახევარი საუკუნის წინათ, ლადო მესხიშვილის გასტროლებს ვახლდი, როგორც სუფლიორი. ვერ აგიწერთ, ოციწლის ქაბუკმა როგორი სიამოვნება განვიცადე ჩემი მკითხველების გულწრფელი შეხვედრით. წარმოდგენა რომ გათავდა, ჩემს გარდა, ყვე-

ლა მსახიობი სცენაზე გამოეფინა, ალტაცებას და ტაშის კვრას დასასრული არ ჰქონდა. მე კი ისევ ჩემს სასუფლიო-რო ხულაში ვიჯექი და იქიდან შევეყურებდი ჩვენი მსახიობების ზეიმს... მაგრამ ამ დროს, არ ვიცი, ეს როგორ მოხდა, ერთმა მაყურებელმა სასუფლიორო ნიჟარა მომხადა და „ბუტკიდან“ ამომამძვრინა... მოულოდნელად სცენაზე გავჩნდი. აი, ასე გავიცანით ერთმანეთი პირისპირ პირველად მე და ჩემმა ქუთათურმა მაყურებელმა. ლადო მესხიშვილის ტაშის კოცონიდან ერთი პატარა ნაპერწკალი მეც მერგო, უცნობ ახალგაზრდას... მეც გავერიე მარაქაში. ჩემი სცენური ნათლობა პირველად ქუთაისში მოხდა ლადო მესხიშვილის გასტროლების დროს.

დღეს უკვე სამოცდაათი წლისა ვარ. ვიგონებ წარსულს.

ჩემმა მთავრობამ მომანიჭა მაღალი ჯილდო — საქართველოს სახალხო პოეტის წოდება. ეს ჯილდო მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებს. ვეცდები გავამართლო თქვენი სიყვარული ჩემი პოეზიისადმი, თქვენი ნდობა, არ დავიშურო ჩემი ძალ-ღონე და კუბოს კარამდე ვემსახურო ჩემს ხალხს და ჩემს ქვეყანას.

სამშობლოს სიყვარული ჩემთვის მუდამ იყო და არის ყველაზე მაღალი და წმიდათაწმიდა გრძნობა. ჯერ კიდევ 17 წლის ბიჭი ვწერდი ერთ ჩემს ლექსში:

სამშობლომ მომცა ნიჭი ღვთიური,
მას უნდა ვუძღვნა სუყველაფერი.

სამშობლოსათვის, ხალხისათვის სამსახურში არასოდეს მიგრძენია დაღლილობა, რადგან ყოველთვის მამხნევებდა ჩემი ძვირფასი მკითხველების თანაგრძნობა, მათი მხარდაჭერა, მათი ვაშა და ტაში...

და ახლა, როცა შვიდ ათეულ წელიწადს გადავბიჯე, როცა უაღრესად ბედნიერ წუთებს განვიცდი, მინდა ყველას მოგიალერსოთ, გადაგეხვიოთ და გულში ჩაგიკრათ, ჩემო ქუთაისელო მეგობრებო! დე, ჰყვარდეს სიყვარული, მეგობრობა, მშვიდობა, ძლიერდებოდეს და მტკიცდებოდეს ჩვენი პატარძალივით მორთული ტურფა საქართველო!

მე ისევ ცოცხალი ვარ და ქუთაისში ვარ. მიყვარს აქაური გულადი და ნიჭიერი ხალხი. ყოველთვის მახარებდა ქუთათური მეგობრების, ნაცნობების თუ უცნობების ალალმართლობა, იშვიათი უშუალობა, რომლის დავიწყებაც არ შემეძლო და არც ახლა შემეძლიან მე, წელთა დაზიდულობით დამაშვრალ პოეტს.

აღტაცებული ვარ დღესაც... „აღტაცებული“-მეთქი, მაგრამ ეს სიტყვა ოდნავადაც ვერ გამოხატავს ჩემს გულში მოზღვავებულ განცდებს.

თქვენთან შეხვედრამ და განახლებული ქუთაისის ნახვამ მხნეობა შემმატა. ნახეთ ჩემი თბილისი და ქუთაისი, მტკვარი და რიონი, გადაავლეთ თვალი ჩვენი ბარაქიანი ახალი საქართველოს სოფლებსა და ქალაქებს, მის აღმოსავლეთსა და დასავლეთს, მისი სამხრეთის აღორძინებულ და აყვავებულ მთა-ველებს და იგრძნობთ, რომ ამ მადლიან ქართულ მიწას დაბერება არ უწერია. იგი ახალგაზრდაა და მარად ასეთად დარჩება. მე არ მეგულება მსოფლიოში მეორე ქალაქი, სადაც ასე ჰარმონიულად იყოს შეხამებული ძველი და ახალი; ინდუსტრიის წარმტაცი მიღწევების გვერდით ასე ძალუშად იგრძნობდეს დედამიწის ნორჩი ბალახის — ამ დაუბერებელი სიცოცხლის — დამათრობელი სურნელება.

შრომა არ დაგიზოგავთ ისედაც ლამაზი ქუთაისის კიდევ უფრო გალალეებისა და დამშვენებისათვის. ბარაქალა

თქვენ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ჩემო ჭეშმარიტნო მამულიშვილნო, დიდებულ წინაპართა ღირსეულნო შთამომავალნო — ჩემო ქუთაისელებო!

მადლობელი ვარ დღევანდელი თბილი შეხვედრისათვის და თავს გიხრით მოწიწებით თხემით ტერფამდე... გულითად მადლობას მოგახსენებთ ყველას, ყველას-მეთქი, ვინც შეწუხდით და მობრძანდით ჩემს პატიუსაცემად გამართულ საღამოზე; მადლობას მოვახსენებ ჩემს ქუთაისელ თანამოკალმეებს, ქუთაისის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელ ამხანაგებს, პრესის მუშაკებს, ნორჩ თაობას — ჩემი ლექსების ამ ცოცხალ ყვავილებს. მადლობა ჩემი ყრმობის მეგობრებს და ბედნიერ მგზნებარე ახალგაზრდობას.

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს!“

„სონეტი ქუთაისს“

1947 წელს გამოქვეყნდა ლექსთა კრებული „ქართველი პოეტები ქუთაისს“. მასში თავმოყრილია ქუთაისის შესახებ დაწერილი, სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთსა და გამოცემაში გაფანტული პოეტური ნაწარმოებები, და აგრეთვე უცნობი, დაუსტამბავი მასალაც. წიგნი შევადგინეთ გ. სამხარაძემ და მე. რედაქტორი იყო რ. გვეტაძე.

ი. გრიშაშვილმა მაშინ ჩვენი თხოვნით მოგვაწოდა ახალი ლექსი „მოდის ქართული ავტომობილი“. კრებულში მოვათავსეთ მისი სონეტიც ქუთაისზე.

რ. გვეტაძე, გ. სამხარაძე და მე რედაქციას ვუკეთებდით ერთად მთელი კრებულის მასალას. ჩვენ ი. გრიშაშვილის სონეტში შევცვალეთ ზოგიერთი სიტყვა და აზრობრივი ხასიათის ცვლილებები შევიტანეთ.

პოეტი ამბობს ბაგრატის ტაძრის შესახებ: „მის წინ თვით სევდაც ქუდს მოიხდის კრძალვით, თავაზით, იგი მეომრის ჭრილობივით მგრძნობიერია“. ეს ადგილი ჩვენი რედაქციით ასე იკითხება: „მის წინ თვით მტერიც ქუდს მოიხდის კრძალვით, თავაზით, იგი ყოველთვის წარმტაცი და მგრძნობიერია“; პოეტის სტრიქონში „ან ეს რიონი რად ბუზლუნებს თავვისფერ ბრაზით“ ჩვენ ამოვიღეთ სიტყვები „თავვისფერ ბრაზით“ და ჩავწერეთ „მუდამ სიბრაზით“; პოეტი წერს ქუთაისზე: „ის დამნაშავე თუ არ არის, არც მართალია“, ჩვენ კი დავბეჭდეთ: „ის დამნაშავე არ ყოფილა, ის მართალია“.

ამ ფაქტთან დაკავშირებით 1948 წელს ი. გრიშაშვილისაგან მივიღე ორი კერძო წერილი. მგოსანმა დაასაბუთა, რომ ადგილები სონეტში არ უნდა შეგვეცვალა. მას ვაწყენინეთ და ამიტომ სამართლიანად გვისაყვედურა:

„სირცხვილი ჩემი ლექსის გასწორებისათვის... განა მე გუშინდელი მწერალი ვარ, რომ შეუთანხმებლად ლექსი გამისწოროთ? ეგ ლექსი „სონეტი ქუთაისს“ დაწერილია 1917 წელს (დაიხსომეთ ეს თარიღი).

მაშინ ჩემი პოეზია დეკადენტური იყო, რევოლუციონური და ახალი და სწორედ ასე უნდა მეწერა. თქვენ ჩემი ლექსი გაგითანამედროვებიათ და თარიღი კი ძველი დაგიტოვებიათ. რა საჭირო იყო ეს? გასწორებაცაა და გასწორებაც. განა მე მაგრე ვწერ სონეტს? სონეტში ერთი და იგივე სიტყვა განა შეიძლება იხმაროს პოეტმა? (თქვენ ჩაგიმატებიათ: „ყოველთვის“, „მუდამ“ და სხვ.). რატომ? მე თანამედროვე ლე-

ქსის წერის უნარსაც არა ვარ მოკლებული. „მოდის ქართულ ავტომობილსა“ და „სონეტი ქუთაისს“ შორის 30 წელი თაბათობს. განა მომავალ კრიტიკოსს ჩემზე ამით მასალა არ ეძლევა: რა დავწერე მაშინ, რა დავწერე ახლა?“

ი. გრიშაშვილს წერილობით ვაცნობე, რომ ლექსში ადგილები სამივე პირის შეთანხმებით ჩასწორდა, მარტო მე ნუ დამდებთ ბრალს. წიგნი საჩქაროდ უნდა გამოგვეცა, დრო არ იყო, ვერ შეგეკითხეთ, ვნანობთ, შეცდომა მოგვივიდა-თქო. პოეტის პასუხმა დამამშვიდა.

ლოპე დე ვეგას ცნობილ პიესაში დაეძებენ დამნაშავეს და ეკითხებიან შეკრებილთ: ვინ მოკლა კომანდორი? ხალხი იფარავს მკვლელს და ერთხმად გაიძახის: სოფელმაო. სოფელს კი „ცხვრის წყარო“ (ესპანურად „ფუენტე ოვეხუნა“) ეწოდება.

ი. გრიშაშვილის მეორე ბარათში ვკითხულობთ:

„პატივცემულო მიხეილ! თქვენი წერილი მივიღე. ჩემი ძველი ლექსი შესწორდა. მორჩა და გათავდა. ამის შესახებ აღარა ღირს ლაპარაკი. რაც უკანაა, ველარ გამოსწორდება. იმაზე სჯა-ბაასი წყლის ნაყვავა. ერთ საწყალ ლექსს სამი კაცი შესევიხართ და, რასაკვირველია, დამნაშავე არავინ არ არის: ფუენტე ოვეხუნა!“

თქვენდამი პატივისცემა არასოდეს არ ამოიშლება გულიდან. თქვენ ერთ-ერთი ნამუსიანი მკვლევარი ხართ. თქვენს ნაშრომებში არასოდეს არ ივიწყებთ ხოლმე სხვის დამსახურებასაც. პირდაპირი ხართ და გულწრფელი. მე ეს მომწონს და მითქვამს კიდევ (მაგ., ნიკა აგიაშვილმა რომ გადმომცა თქვენი წერილის ხელნაწერი „აკაკის მოგზაურობაზე“, ღიდის სიამოვნებით დავაწერე: „დაიბეჭდოს“).

ერთი სიტყვით, დავივიწყოთ, რაც იყო და კვლავ სიყვარულით შევხვდეთ ერთმანეთს.

კიდევ ბევრი რამ შეიძლებოდა მომეწერა ლექსის ფსიქიკაზე, მის მეტრზე, სონეტზე და სხვ., მაგრამ სად არის ამის დრო? ეს კი უნდა მოგაგონოთ, რომ მე ძალიან ცოტას ვწერ (ლექსებზე მოგახსენებთ). მართალია, ყოველი ემოციური ლექსი ერთბაშად იწერება, მაგრამ მერე რამდენიმე ღამე უნდა გაათიოს ლექსმა ჩემთან, რომ გაიქლიბოს, რითმის ორიგინალობა დაზუსტდეს, ორი ერთნაირი სიტყვა არ შეიპაროს და, რაც მთავარია, სიუჟეტი ნათელი და ლირიკული იყოს. თუ ლექსს სიუჟეტი არა აქვს ე. ი. მთლიანობა, აბა, ის რა ლექსია? ამიტომ არის, რომ ჩემის შემოქმედების თოფხანიდან ასე ხშირად არ გამოდის ლექსი დასაბეჭდად.

დაწვრილებით პირისპირ. პატივისცემით ი. გრიშაშვილი“.

ამ წერილებიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ პრინციპულია პოეტი. ი. გრიშაშვილი მუდამ ფხიზლობდა და იცავდა თავის ლექსს, ყოველ სტრიქონსა და სიტყვას. ჭეშმარიტად მეცნიერულია პოეტის თვალსაზრისი, რომ წინათ გამოქვეყნებული ნაწარმოების ტექსტი არ უნდა შეიცვალოს ახალი გამოცემის დროს. ეს არც ავტორმა უნდა ისურვოს და არც რედაქტორმა.

ჩვენ ი. გრიშაშვილის ლექსს, ცხადია, არ უნდა შევხებოდით. იგი უცვლელად უნდა გადმოგვებეჭდა წიგნიდან, ასეც მოხდებოდა, ავტორისათვის რომ გვეკითხა.

ამ ორივე კერძო წერილში ი. გრიშაშვილის პოეზიის თავისებურებებსაც ვეცნობით.

ზემოთ აღნიშნული ფაქტი ცხადად მეტყველებს იმაზე,

თუ როგორი სიფრთხილე მართებს ტექსტის გამომცემელს, რომ აჩქარება საქმეს ვნებს.

1949 წელს გამოიცა ი. გრიშაშვილის ერთტომეული. აქ ლექსები დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. 1917 წელს დაწერილ ლექსთა შორის მოთავსებულია „სონეტი ქუთაისს“ (გვ. 500). იგი თითქმის ემთხვევა პირვანდელ დედანს. მხოლოდ ერთგან სტრიქონში „ან ეს რიონი რად ბუზღუნებს თავისფერ ბრაზით“ „თავისფერ“ შეცვლილია სიტყვით „უცნაურ“.

იუბილარმა ქუთაისში უკანასკნელად ჩამოსვლისთანავე (1960 წ.) გაიხსენა 1959 წელს დაბეჭდილი ჩემი სტატია და მითხრა: ის კერძო წერილები ხომ ჩემი გარდაცვალების შემდეგ უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ მაინც კარგად გამოვიდა. მე დამაკმაყოფილა კომენტარმა. ეს დოკუმენტი აუცილებლად უნდა არსებობდეს, როგორც შეცდომის გასწორება, რათა საჭირო შემთხვევაში დაიმოწმოს ვინმემ.

ამრიგად, ქალაქ ქუთაისისადმი მიძღვნილ კრებულში დაბეჭდილი სონეტი ი. გრიშაშვილისეულ ვარიანტად არ ჩაითვლება. მომავალში ვინმე მკვლევარი თვით მგოსნის მიერ დადგენილ ტექსტს (1949 წლის გამოცემაშია) უნდა დაემყაროს.

ცოლა ქაროსანიძის მემუარიდან მნიშვნელოვანია ცნობა იმის შესახებ, რომ ჭაბუკი ი. გრიშაშვილი ვაჟა-ფშაველას ახლდა ქუთათურ იუბილეზე და ლექსიც მიუძღვნა. მაშინ პირადად გაიცნო გალაკტიონ ტაბიძე და იმ საღამოს შთაბეჭდილებებით შემდეგ შექმნა „სონეტი ქუთაისს“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. 1979. № 17).

ი. გრიშაშვილმა 1944 წელს ფოტოხელოვან დავით მხეიძეს მისწერა შემდეგი: ჩემს სურათებს შორის მიყვარს ერთი სურათი, რომელიც შენ მიერ არის გადაღებული მეტად ორიგინალურად და როგორ გამიხარდა, რომ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციამ ეს სურათი დაბეჭდა ჩემი 40 წლის მოღვაწეობის აღნიშვნასთან დაკავშირებით.

ი. გრიშაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან საზრუნავია მიმოწერის შეკრება. პოეტი იშვიათი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა კერძო ბარათებსაც. წერდა გარკვეული ხელით, შინაარსიანად და დახვეწილად, რადგან სწამდა, რომ ისინი ოდესმე დაიბეჭდებოდა.

ჯერჯერობით პრესაში გამოქვეყნებულია საინტერესო მასალა ქუთაისის ინტელიგენციის წარმომადგენლებისადმი (პოეტები დ. თომაშვილი, რ. ბეროძე, კრიტიკოსი პ. ბახტურიძე, პედაგოგი გ. მსხილაძე...). უცნობი ხელნაწერები დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმსა (ყურნალისტ დავით მესხის არქივი) და ზოგიერთ ოჯახში (პედაგოგი ვარინკა ბოკუჩავა, პროფესორი კ. მეძველია, პოეტი გ. სამხარაძე...).

ახლად მოპოვებული დოკუმენტური მასალისათვის საჭიროა გავიხსენოთ უმთავრესი ცნობები ადრესატზე.

საზოგადო მოღვაწე და დამსახურებული ყურნალისტი ვალერიან ივანეს ძე ლალიაშვილი (დაიბადა 1900 წელს) მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე — საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგედ, საქა-

ლაქო საბჭოს აღმასკომის მდივნად, საქალაქო ქართულ და რუსულ გაზეთთა რედაქტორად. იგი აქტიურად მონაწილეობდა ბევრი კულტურული წამოწყებისა და ღონისძიების გატარებაში.

მაქსიმ გორკის მეუღლემ, კურორტ წყალტუბოს დამსვენებელმა ეკატერინე პეშკოვამ ვალერიან ლალიაშვილის თხოვნით დაწერა მემუარი 1903 წელს მაქსიმ გორკის ქუთაისში ყოფნის შესახებ. ეს ძვირფასი მოგონება გამოაქვეყნა ქუთათურმა პრესამ.

ვალერიან ლალიაშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს სახალხო პოეტებსა და აკადემიკოსებთან — ვალაკტიონ ტაბიძესთან, გიორგი ლეონიძესა და იოსებ გრიშაშვილთან, რომლებსაც პირადად იცნობდა და იყო მათი იუბილეების (1944—1945 წ.) გამართვის ინიციატორი.

საიუბილეოდ გამოშვებულ პლაკატს, ფოტოსურათს ქვემოთ, აწერია: ვალაკტიონ ტაბიძე — საქართველოს სახალხო პოეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. თბილისი. ტირაჟი 4.000. „ამხანაგ ვალიკოს პატივისცემით გ. ტაბიძე“; ცნობილი ფოტოსურათი — ვალაკტიონი ქუთათელ ჟურნალისტებსა და მწერლებთან — გადაღებულია 1944 წელს და მასში ვ. ლალიაშვილიც არის გამოსახული; რედაქტორი ვ. ლალიაშვილი 1947 წლის 30 აგვისტოს ხელს აწერს გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის“ 166-ე ნომერს, რომელშიც კურორტ შოვიდან დაბრუნებულმა ვალაკტიონმა პირველად დასტამბა ლექსი „ნიკორწმინდა“.

მხოლოდ გიორგი ლეონიძე და ვალერიან ლალიაშვილი ომისშემდგომ სპეციალურად ჩავიდნენ სოფელ მალაკში,

რათა გაეცნოთ გოგლას სახლიკაცები. გამოირკვა, რომ აქ ცხოვრობდა ერთადერთი ოჯახი (მათი მასპინძელი)—სოფელ ოფშკვითიდან ჩამოსიძებული ლიონიძე. სოფელ ოფშკვითში წასვლა შემდეგისათვის გადაიდო.

იოსებ გრიშაშვილმა ვალერიან ლალიაშვილს სხვადასხვა დროს წარწერით უსახსოვრა საკუთარი ფოტოსურათი (1951 წ.), მონოგრაფია „ძველ თეატრში“ (1948 წ.), ლექსთა კრებული 1957 წლის ქართული და რუსული გამოცემები. მსცოვანი ჟურნალისტის პირადს არქივში ინახება სამი უცნობი ჯგუფური ფოტოსურათი:

1. იოსებ გრიშაშვილი, დოდო ანთაძე, ვალერიან ლალიაშვილი; 2. იოსებ გრიშაშვილი, დოდო ანთაძე, ვალერიან ლალიაშვილი, არჩილ გურჯიძე, პოეტის დის ქალიშვილები; 3. იოსებ გრიშაშვილი, შალვა დადიანი, დოდო ანთაძე, ვალერიან ლალიაშვილი, ცაცა ამირეჯიბი, ბონდო კეშელავა, მიქელ პატარიძე, გიორგი სამხარაძე. პოეტის დისშვილი ანი.

გალაქტიონ ტაბიძესა და იოსებ გრიშაშვილთან ცალ-ცალკე გადაღებული სურათები ფოტოხელოვან დავით მხეიძის ნახელავია.

ახლად მოპოვებული ეპისტოლური მასალა სამახსოვრო ცნობებს გვაწვდის იოსებ გრიშაშვილის ორი ქუთათური იუბილეს შესახებ (1944 და 1960 წ.).

იოსებ გრიშაშვილისეული ეს უცნობი ფაქტურა (4 წიგნი, 4 ფოტოსურათი და 7[°] წერილი) ძვირფასი პირველწყაროა ქალაქ ქუთაისის ლიტერატურულ მატრიანში.

ქუთაისი. პარტიის საქალაქო კომიტეტი. ავითაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგეს ვალერიან ლალიაშვილს.

სალამი უგულწრფელესი და უნაზესი ვალიკოს — პოეტს და საზოგადო მოღვაწეს. როგორ ხართ და რასა იქო, თბილისში ხომ არ აპირებთ ჩამოსვლას? თუ აქ იქნებით, უეჭველად მინახულეთ (კომინტერნის ქ. №5. მესამე სართული — ვოროშილოვის სახელობის კლუბის თავზე). შთაბეჭდილება ჯერ კიდევ არ განელეზულა. ქუთაისის სალამოები ათასერთი ღამის ზღაპარივით ჩამრჩა გულში. განცდა ისეთი ძლიერია, რომ ჯერ კიდევ გონს ვერ მოვსულვარ. კარგი იყო, რომ არ წავედი სხვაგან (გელათი, წყალტუბო, ბაღდათი, სამტრედია, ზესტაფონი). ქუთაისის შემდეგ არსად არ მინდა სალამოს გამართვა. მეშინია შთაბეჭდილება არ გაფერმკრბოა-ლდეს.

როგორც ამხანაგ გრიგოლ ნარსიას დავპირდი, განზრახული მაქვს რამდენიმე ლექსი დაწერო ინდუსტრიულ ქუთაისზე, მაგრამ ცოტა „შესვენება“ მჭირია. ამ ლექსებს (ავტოგრაფებს) თქვენ გამოგიგზავნით. სალამი ამხანაგ გრიშას. ჩემგან გამოგზავნილი წიგნები თავისი ბავშვებისათვის თუ მიიღო? სალამი ყველას, ვისაც ვახსოვარ ქუთაისურად, კარგად.

შენი ი. გრიშაშვილი. 1945 წ. 8 თებერვალი — აკაკის დღე.

ქუთაისი. ფალიაშვილის ქ. №8. გაზეთ „კუტაისისკაია პრავდის“ რედაქტორს ვ. ლალიაშვილს.

ძვირფასო ვალიკო! რატომ დავივიწყეთ ერთმანეთი?

ამიტომ გთხოვ, რომ ხშირად მოგიგონო, ჩემს ბიბლიოთეკას გამოუგზავნე შენი გაზეთი „Кутаисская правда“. ხომ შეიძლება?

მარად შენი სოსო გრიშაშვილი. 1957 წლის 12 მაისი.

თბილისი. 9. ლენინის ქ. №20. III სართული.

ძმაო ვალიკო! იყო ჩემთან ფოტოკორესპონდენტი ციცი-
აშვილი. გადამილო, და, მგონი, „კარგადაც“. გადამილო, თუ
ჩემი ბებრული სიფათი მკაფიოდ გამოვიდა.

ლექსებს რუსულად დავძებნი და ფოსტით გამოგიგზავნი...

ჩემი სახელობის ბიბლიოთეკა შენდება და ვერ აშენდა.
ივლისში მზად იქნებაო. არ ვიცი, იცი, თუ არა, რომ შენდე-
ბა ძველ თბილისში იქ, სადაც მე დავიბადე. მომწონს ძვე-
ლებური ბანი, სადაც ორთაქალური ქეიფიც გაიმართება.

იყავი კარგად! მარად შენი ი. გრიშაშვილი.

1957 წლის 13 მაისი.

ქუთაისი. როძევიჩის ქ. № 4. საქალაქო გაზეთების რე-
დაქტორს ვალერიან ლალიაშვილს.

ვალერიანის წვეთებო! ვალიკო!

როგორ იბედნიერეთ უჩემოდ?.. წარმოდგენილი მაქვს,
რა სურათი იქნებოდა: სიცილი, ხარხარი, ექსპრომტები. ნეფე-
დედოფლის ღიმილი კი ერთ პოემად ღირდა! ისე გულით
მსურდა წამოსვლა, მაგრამ ეს ოხერი „გრიპი“ ამეკვიატა და
აღარ მშორდება. არა უშავს. ალბათ, ჩემს იუბილეზე ამო-
ვალ და მეორე ქორწილში ვილხინოთ.

მართლა, ქუთაისს ერთი იუბილე ჰმართებს... ისევ შენ
უნდა იყო ინიციატორი და ავანჩავანი! სხვას არ ვენდობი.
70 წელი ხუმრობაა! თბილისში კარგი იყო ზეიმი. სიბერე
დამიტკბეს ჩემმა მკითხველებმა და მთავრობამ. ქუთაისში
აჯოღებს 1960 წლის გაზაფხულზე. ხომ?

ახალ წელს მივულოცავ ახალჯვარდაწერილებს და მივეულოცავ წლისთავზე ვაჟს. მე უნდა მოვნათლო.

პაა! შენი სოსო გრიშაშვილი. 1959 წლის 19 დეკემბერი.

ჩემო ვალიკო!

ქუთაისში ვიყავი და ვწუხვარ, რომ ვერ გნახე. გაიგებდი მიზეზს და გამამართლებდი. ჩემი ქეთო (ჯათარიძე) რომ განიკურნება, განსაკუთრებით შენთვის ამოვალ თბილისიდან ქუთაისში... მე მეგობრები არ მავიწყდება!

შენი სოსო გრიშაშვილი. 1960 წლის 18 მაისი. თბილისი.

ქუთაისი. როძევიჩის ქ. № 4. ვალერიან ლალიაშვილს.

სულით და გულით მოგილოცავ იუბილეს (60 წლისთავს). იგულისხმე — ვითომ ქუთაისში ვარ, გეხვევი და ძმურად გართმევ ხელს. გისურვებ მეორედ გაქაღარავეებას, კალმით მებრძოლო!

სოსო გრიშაშვილი. 1961 წლის იანვარი.

ძვირფასო ვალიკო! ბოდიში, რომ პასუხი დავაგვიანე... როგორ? ქუთაისში ჩამოვედი და ვერ გნახე? ვდარდობ ნიდაგ და ჩემს თავს ვესაყვედურები. მაგრამ ეს განა დავიწყებას ნიშნავს?

არა, ჩემო კარგო, ნაპერწკლები ჩემი პირველი იუბილესი (1944 წ.), რომელიც შენი ინიციატივით იყო მოწყობილი, წლეულსაც (16 მაისს) ჩანდა. მეპატიყები ტყიბულში. ისე აღტაცებული ვარ ქუთათური იუბილეთი. რომ ეს სიხა-

რული ვერ გამნელებია. დამაცადე, ცოტა გამოვერკვიო... ამ მიზეზით ვერც რაჭა-ლეჩხუმს ვეწვევი. ბოდიში! ვიცოცხლოთ ამ მშვენიერ ხანაში და მოვესწრებით.

გულისხმიერო, კარგო ვალიკო! მომიკითხე შენი ერთადერთი ქალიშვილი ლალი და სიძე ნოდარი (გრეკოვი). მე მინდა იმათი ვაჟკაცი მოვნათლო, რომ ნათესაური გრძნობა უფრო გავაგრძელოთ მარად. ქეთო (ჯათარიძე) ისევ საავადმყოფოში წევს... დიდი თაყვანისცემა ანისა და მისი მეუღლისაგან.

ვალიკო! შენი რუსული გაზეთისადმი მოლოცვა გამოვგზავნე. ვიმედოვნებ მიიღებდი.

შენი ერთგული ი. გრიშაშვილი. 1960 წლის 5 ივნისი.

დომენტი თომაშვილის დაფასავალი

დომენტი თომაშვილი დიდხანს არ იყო წიგნის ავტორი. ჟურნალ-გაზეთებში გაფანტული მისი ლექსები ძალზე დაგვიანებით იქნა შეკრებილი და გამოცემული (1939 წ.).

დ. თომაშვილის ლექსთა კრებულის გამოცემა თავდაპირველად განზრახული ჰქონდა ი. გრიშაშვილს.

ამ საკითხზე ი. გრიშაშვილი 1928 წელს კერძო ბარათში შემდეგს უთვლიდა ჩვენს პოეტს: „ჩვენი შეხვედრა და განშორება უცაბედი იყო — მგრძნობიარე და ანაზღვეული. ბევრის თქმა ვერ მოვასწარით. დაპირებისამებრ, ველი თქვენს რჩეულ ლექსებს, ასე ოცდაათამდე, და ავტობიოგრაფიას (სრულს).“

მე მინდა გამოვსცე ისეთივე პატარა წიგნაკი, როგორც სოლო გოშაძის ლექსთა კრებული იყო. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს ნიქსა და დიდ სახელს არ შეჰფერის პატარა კრებული, მაგრამ ეს იქნება ერთგვარი ხელწაკვრა, ერთგვარი წკიპურტი იმ დაწესებულების მიმართ, რომელიც ლიტერატურაზე ფიქრობს“.

სხვადასხვა მიზეზის გამო დ. თომაშვილმა დაპირება ვერ შეუსრულა მისი ნიქის პატივისმცემელს.

1935 წელს ი. გრიშაშვილი კვლავ მოითხოვდა დ. თომაშვილის წიგნის გამოცემის საჭიროებას. მან ქუთაისის ლიტერატურულ გაზეთ „სიტყვა და საქმეში“ (№12) მოათავსა წერილი „დომენტი თომაშვილს ლექსების კრებული არა აქვს“. აქ იგი შემდეგს წერდა:

„ვის არ გაუგონია ჩვენი საყვარელი პოეტის დომენტი თომაშვილის სახელი, ვინ არ დამტკბარა მისი წმინდა ქართულით დაწერილი ლექსებით?! ეს მხცოვანი მგოსანი თითქმის 40 წელია, რაც მოღვაწეობს და აქამდე ერთი კრებულიც არა აქვს დაბეჭდილი.

მე მინდა ამ წერილით მოვაგონო მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებას, რათა მან ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ „მეორე აკაკის“ და ახალ თაობას მიაწოდოს მისი ლექსები, ერთ წიგნად თავმოყრილი“.

დომენტი თომაშვილის მემუარში წერია: „ცხადია, სოსოს ჩემი გაწითლება როდი ენება! მას უფრო მაღალი, კეთილშობილი მიზანი ჰქონდა. ამით მან ჩემ გარშემო ერთგვარი ახმაურება გამოიწვია და ქვეყანას ამცნო: ეს კაცი კიდევ ცოცხალიაო. იქნებ ვინმემ ჩემი დუმილი ი. გრიშაშვილის შეფასების დასტურად მიიღო. არამც და არამც... საქართვე-

ლოში ბევრი წყალი ჩაივლის, მზეც მრავალჯერ ამოვა და ჩავა, სანამ „მეორე აკაკი“ დაიბადებოდეს.“

1945 წელს იუბილარმა დ. თომაშვილმა მიიღო შემდეგი დეპეშა: „ჩემო საყვარელო უხუცესო პოეტო, ტკბილო თომაშვილო! მოგესალმები აღზნებული გულით, დაგიკოცნი მადლიან შუბლს. შენი შეგირდი და მეგობარი სოსო გრიშაშვილი“.

ქართველოლოგის სინანული

საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა მეექვსე რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდურ კონფერენციაზე (თბილისის უნივერსიტეტში, 1965 წელს) მწერალ ლევან გოთუას „გმირთა ვარამის“ ლექსიკის შესახებ გამართულ მსჯელობისას აკადემიკოსმა ვარლამ თოფურიამ განაცხადა: მწერლის ენის შესწავლა მწერლის სიცოცხლეშივე მეტ ნაყოფს მოგვიტანს. მეცნიერმა მწერალთან შეთანხმებით უნდა აღწეროს და დაახასიათოს არქაიზმებიც, ნეოლოგიზმებიც და დიალექტიზმებიც. უჩვენოს ლიტერატურული წყარო, თუ რა ნიმუშები აიღო მწერალმა ზეპირმეტყველებიდან.

ვ. თოფურიამ გაიხსენა იოსებ გრიშაშვილი და სინანულით თქვა, რომ ჩვენ ვერ მოვასწარით პოეტის სიცოცხლეშივე შეგვესწავლა მისი ენა, გავვეგო მგოსნისაგან მის პოეზიაში რომელი სიტყვებია ნამდვილად ხალხური და დაგვეზუსტებინა მათი შინაარსი.

ი. გრიშაშვილის ენა და სტილი თავისებურია — მდიდარი და მრავალფეროვანი. თვალსაჩინოა პოეტის დამსახურება ქალაქური ხალხური ლექსიკის შეკრებისა და დამუშავების საქმეში.

ი. გრიშაშვილის ენა ქართული სიტყვის ოქროს საგანძურს ეკუთვნის.

გიორგი ლეონიძე იმერეთში

1959 წელს თბილისში გაიმართა საქართველოს სახალხო პოეტ-აკადემიკოსის გიორგი ლეონიძის იუბილზე (60 წლისთავი). საკავშირო მწერალთა კავშირის ადრესში აღნიშნული იყო, რომ გიორგი ლეონიძე ითვლება დიდი საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

ნიკოლოზ ტიხონოვის შეფასებით, გიორგი ლეონიძემ, საქართველოს სახალხო პოეტმა, მთელი საბჭოთა პოეზიის სიამაყემ, ჩვენმა საყვარელმა, ძველმა მეგობარმა, ახალგაზრდა თაობათა მასწავლებელმა და სიცოცხლის დიდმა ტრფიალმა, ვრცელი და სასახელო გზა განვლო. მან შექმნა ისეთი დაუფიქსარი და შთაგონებული ნაწარმოებები, რომლებმაც სამუდამოდ დაიმკვიდრეს ადგილი ჩვენს გულში.

გამოჩენილი მგოსნის ლექსები მიიღო და შეისისხლხორცა ხალხმა. ქართული პოეზიით გატაცებულ მკითხველებს ზეპირად ანსოვთ გიორგი ლეონიძის შედევრები და მისი ცალკეული აფორიზმული გამონათქვამები.

გიორგი ლეონიძემ იმერეთის ქალაქებსა და რაიონებში სხვადასხვა დროს იმოგზაურა. მგოსანი ოთხჯერ ეწვია ქუთაისს, სამჯერ სიმონეთს, ორ-ორჯერ წყალტუბოს, მალლაკს, ჩხარს, საჩხერეს, სხვიტორსა და დიდ ჭიხაიშს და პირველად ინახულა თერნალი, არგვეთი, გელათი, სათაფლია, გეგუთი და ოფშკვითი.

ამ ნაშრომში ძირითადად აღწერილია 1963 წლის ქუთათური საიუბილეო ზეიმი — შეხვედრები ქუთაისსა და გელათში, წყალტუბოსა და სათაფლიაში, გეგუთსა და ოფშკვითში. პოეტის საჯარო ზეპირი გამოსვლები და კერძო საუბრები აღდგენილი მაქვს მოგონებათა სახით.

გიგლიოგრაფიული ცნობარი

წერილობითი დოკუმენტური წყაროებიდან აღსანიშნავია საარქივო და პრესაში გაფანტული შემდეგი მასალა:

გიორგი ლეონიძემ ქუთაისს მიუძღვნა ორი ცნობილი საუკეთესო ლექსი: „მაგონდება ჩუქურთმაში ყვავილი“ ბაგრატის ტაძარს შეეხება და დაიწერა 1938 წელს. ის პოეტის „რჩეულიდან“ გადმოიბეჭდა კრებულშიც „ქართველი პოეტები ქუთაისს“ (1947); ლექსი „ქუთაისს“ პირველად დაისტამბა ქუთაისის საქალაქო გაზეთში 1963 წლის 2 ივნისს (დედანი დ. კვიციანიძესთან ინახება). 1964 წელს ჟურნალ „მნათობშიც“ (№1) გამოქვეყნდა.

1963 წელს ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გამართულ იუბილეზე გიორგი ლეონიძემ წაიკითხა

დაწერილი ვრცელი სამადლობელი სიტყვა, რომელიც ქუთაისის ისტორიულ და ლიტერატურულ წარსულს ასახავს. ხელნაწერი გამოუქვეყნებელია და პოეტის არქივში ინახება.

გიორგი ლეონიძემ სემინარიელ მეგობარს ფილიპე შავგულიძეს (ქუთაისის მკვიდრს — მოწინავე ლიტერატორსა და პედაგოგს) მიუძღვნა ლექსი „მზის ჰანგები“ — ჟურნალი „განათლება“. 1914. № 2.

1938 წლის 3 იანვარს დაწერა ექსპრომტი პეტრე ბახტურიძის ოჯახში მასპინძლის ქალ-ვაჟისადმი — „მაყვალასა და ბაკურს“. 1950 წლის პირველ აპრილს გოგლამ პეტრე ბახტურიძეს უსახსოვრა ფოტოსურათიც წარწერით.

ქუთაისში გადაღებული საკუთარი სურათით კმაყოფილმა გამოთქვა მოსაზრება დავით მხეიძეზე, როგორც ფოტოხელოვანზე. ტექსტი დაცულია ფოტოატელიეს შთაბეჭდილებათა წიგნში.

გამოგზავნა დომენტი თომაშვილისადმი საიუბილეო მისალოცი დეპეშა 1945 წელს და სამძიმრის დეპეშა — 1952 წელს.

1952 წლის პირველ დეკემბერს თბილისში მწერალთა სასახლის წინ (მაჩაბლის ქუჩაზე) წარმოთქვა სიტყვა რაჟდენ გვეტაძის დაკრძალვისას. ხელნაწერი გამოუქვეყნებელია და პოეტის არქივში ინახება.

1963 წლის 2 ივნისს ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა მოსაზრება გამოფენის შესახებ.

1964 წლის იანვარში გამოგზავნა საახალწლო მისალოცი დეპეშა მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებისადმი (პირადად დ. კვიციანიძისადმი).

ბესიკზე, აკაკისა და გალაკტიონზე დაწერილ ცნობილ გამოკვლევებში არაერთხელ ეხება ქუთაისს. ლექსშიც „ქუთაისს“ აკაკისა და გალაკტიონს ადიდებს.

პოეტის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისა და მისი აკადემიური გამოცემის მომზადების პროცესში მრავალი საყურადღებო ცნობა აღმოჩნდება.

ჯერჯერობით კი ასეთია არასრული სია გიორგი ლეონიძის ნაწერებისა ქუთაისის შესახებ.

სიმონეთში, სხვიტორსა და დიდ ჯიხაიშში

გიორგი ლეონიძე იმერეთში პირველად დავით კლდიაშვილის ოჯახს ეწვია.

ახლახან სერგო კლდიაშვილს შეევეკითხე: გიორგი ლეონიძე დავით კლდიაშვილის მშობლიურ კუთხესაც ეტრფოდა. გოგლა რამდენჯერ იყო სოფელ სიმონეთში?

აკაკი წერეთლის საიუბილეო თარიღების (1940, 1955, 1965 წლების) მიხედვით პრესაში არ ჩანს გოგლა სხვიტორში. შეიძლება სხვა დროს მივიდა. თქვენ გეცოდინებათ აგრეთვე, გოგლა თუ ჩასულა არგვეთში პაოლო იაშვილისას ან დიდ ჯიხაიშში ნიკო ნიკოლაძისას. დაწერეთ მოგონება გოგლას იმერეთში ყოფნასთან დაკავშირებით. გოგლას თუ აქვს რაიმე ნათქვამი დავითზე, ან ამოწერეთ, ან მიუთითეთ (სად და როდის).

სერგო კლდიაშვილმა მომაწოდა საინტერესო ცნობები: „გიორგი ლეონიძე სამჯერ იყო სიმონეთში. 1930 წლის

ივნისში პირველად დავითის სიცოცხლეში პაოლო იაშვილთან, ტიციან ტაბიძესთან, შალვა დადიანთან, სანდრო შანშიაშვილთან, შალვა აფხაიძესთან, ნიკოლოზ მიწიშვილთან, დავით სულიაშვილსა და ივანე ყიფიანთან ერთად. ივნისში დავითის საიუბილეო საღამო იყო დანიშნული და ისინი წინასწარ გვესტუმრნენ, რომ მოელოცათ და ამასთანავე მისი თანხმობა მიეღოთ თბილისში წასვლაზე (დავითი მანამდე უარს ამბობდა. ამაზე საკმაოდ ვრცლად მაქვს ნაამბობი ჩემს მოგონებებში დავითზე).

სიმონეთის სკოლის მასწავლებლებმაც საპატიო სტუმრებს შეხვედრა გაუმართეს. ვახშამს ესწრებოდა ერთი მშვენიერი გარეგნობის, უაღრესად სათნო ახალგაზრდა პედაგოგი. გოგლა მოიხიბლა. მთელი საღამო ენამზეობდა. ბოლოს დიდებული ექსპრომტიც მიუძღვნა იმ გოგონას. სამწუხაროდ, ეს ლექსი არსად დაბეჭდილა და არც მე მახსოვს ზეპირად. ვინ იცის, რამდენი ამისთანა ძვირფასი ექსპრომტი დაკარგულა!

სიმონეთში მეორედ იყო გოგლა 1931 წლის აპრილში, როცა დავითი სოფლიდან გავასვენეთ.

სიმონეთში გოგლას მესამედ შევხვდით 1942 წელს. მაშინ დედაჩემიც ხუთი წლის გარდაცვალებული იყო. გვეწვივნენ გერონტი ქიქოძე, ლეო ქიაჩელი და შალვა დადიანი, გოგლას ჩამოუსვლელობის მიზეზი კი არ ვიცოდით. სტუმრებმა ღამით აივანზე მოისურვეს დაწოლა. შუალამე გადასული იქნებოდა, რომ ჭიშკრიდან შემომესმა გოგლას ბუხუნი. ყურებს არ დავუჭერე და გავხედე. ნამდვილად გოგლა და ერთი მილიციელი მოსდგომიან ჭიშკარს. ზესტაფონიდან გოგლა საბარგო მანქანით ამოსულიყო ჩხარში. იქიდან კი მილიციელი გამოეყოლებინა ფეხით რვა კილო-

შეტრის სავალზე. გოგლამ სუფრა ეზოში გაგვაშლევინა, ხელახლა გაჩაღდა ლხინი... არც გოგლამ და არც მილიციელმა სიმღერა არ იცოდნენ, მაგრამ მაინც დიდი მონდომებით უწყობდნენ ერთმანეთს ხმას. უეცრად აივანზე მოჩვენებასავით გადმოდგა ნამძინარევი შალვა დადიანი და გადმოგვძახა: ბატონებო, ვინ ხართ, დაგვაძინეთ, ამ შუალამისას რა დროს სიმღერაა!..

გოგლამ მთელი ღამე გაათენა. გატაცებით ლაპარაკობდა სიცოცხლის სიტკბოებაზე, პოეზიაზე, მშვენიერებაზე...

მეგობრები ორ დღეს დარჩნენ ჩემთან. შემდეგ ჩხარისაკენ გავსწიეთ და იქ სალამო მოეწყო კლუბში. ღამით სასტუმროში დავბინავდით. დილით კი ისინი დედაქალაქს გაემგზავრნენ. იმ ღამეს უფროსებს ეძინათ. გოგლა და მე კი სასტუმროს პატარა აივანზე ვისხედით, გვერდით დოჭი ღვინო გვედგა და ვწრუპავდით.

გოგლა ხომ ბრწყინვალე პოეტი იყო და ამასთანავე დიდბუნებოვანი და მომხიბლავი ადამიანიც. ეხ, რა უეცრად და უდროოდ წავიდა ის ჩვენგან! მასზე დარდი მოუშორებლად დამყვება.

ასე და ამრიგად, გიორგი ლეონიძე სამჯერ იყო სიმონეთში. ძალიან მოსწონდა იქაურობა; არაერთხელ გვიფიქრია კიდევ ჩავსულიყავით, მაგრამ, ვაი, რომ ნატვრა ნატვრად დარჩა.

არ ვიცი, იყო თუ არა გოგლა ჯიხაიშსა და სხვიტორში... დავითზე მას დაწერილი არაფერი აქვს. საჭაროდ არც სიტყვით მიუმართავს. ის კი ვიცი, რომ დიდად აფასებდა და უთქვამს ხოლმე ჩემთვის: „სამანიშვილი“ და „მორბელაძე“ რამდენჯერმე წავიკითხე და ყოველთვის მხიბლავსო.

აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმის დირექტორის ევტიხი სამხარაძის გადმოცემით, გიორგი ლეონიძე 1945 წელს ყოფილა საჩხერეში, კერძოდ, სხვიტორში, მაგრამ ჩანაწერი არ ჩანს. 1964 წელს მეორედ ესტუმრა საჩხერეს პაოლო იაშვილის იუბილეზე. სანამ არგვეთსა და სხვიტორში წავიდოდა, საჩხერეში აუყვანიათ „ცარცის გორაზე“, სადაც მისთვის გაუმართავთ დიდი ნადიმი. სხვიტორში რომ მისულა, უთქვამს: ამ დიდებულ სახლს რომ არ ვაკოცო, არ შემიძლიაო. და, მართლაც, შენობის ორივე კედელს ეამბორაო. შთაბეჭდილებათა წიგნში კი დაუტოვებია ასეთი ჩანაწერი: „ბრწყინვალე მუზეუმი, ვაშა! გიორგი ლეონიძე“.

მწერალ აკაკი დევიძის გადმოცემით, დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში 1939 წელს გაიმართა შეხვედრა გიორგი ლეონიძესთან (მოხსენებით გამოვიდა შალვა აფხაიძე). ჯგუფური ფოტოსურათი შემოუნახავს ტექნიკუმის ყოფილ დირექტორს პოლიკარპე მიქაძეს. გოგლა 1947 წელს მივლინებით მეორედ ეწვია ამ სოფელს. მისი მხარდაჭერით 1951 წელს გაიხსნა ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი.

ჟურნალური წიგნი

1963 წლის გაზაფხულზე ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრსა და პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიმართა საიუბილეო საღამოები.

სახალხო ზემის დღეებში (30, 31 მაისი, 1, 2 ივნისი) გიორგი ლეონიძემ ინახულა და გულდაგულ დაათვალიერა ბაგრატის ტაძარი, გელათი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული

მუზეუმი, ავტოქარხანა, წყალტუბო, სათაფლია, გეგუთი და სოფელი ოფშკვითი, სადაც ლიონიძეებიც ცხოვრობენ.

იუბილეს სახელმწიფო თეატრში ესწრებოდნენ უცხოელი სტუმრებიც — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველი ფამ ვან ხაო, ჰანოის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი დონგ ტხაი მაი და ამავე ინსტიტუტის სწავლული მდივანი ხო ტონ ჩინი. უცხოელმა პროფესორმა აღნიშნა, რომ ვიეტნამელი ხალხი გიორგი ლეონიძის პოეზიის მეოხებითაც პატივისმცემელია საქართველოსი.

გიორგი ლეონიძემ წაიკითხა დაწერილი სამადლობელი სიტყვა. მან დიდებით შეამკო ქართველი ერი, დაასახელა საყურადღებო მოვლენები ქუთაისის ისტორიიდან და მგზნებარებით წარმოთქვა ჩვეული მხატვრული ოსტატობით ახალდაწერილი ლექსი. გიორგი ლეონიძემ რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიულ და კულტურულ ცენტრს, სავარდო და სამაისო ქუთაისს, აკაკის, მაიაკოვსკისა და გალაკტიონის მშობლიურ ქალაქს „საქართველოს მადლის ძუძუ“ უწოდა.

გ. ლეონიძე ქუთაისში პირველად ჩამოვიდა 1938 წლის 3 იანვარს.

სიყვარულის თემაზე 1938 წელს დაწერილ ერთ-ერთ ცნობილ ლექსში ოსტატურად დაჭერილია შთამაგონებელი ნიუანსი, რომელიც შეუძლებელია მკითხველის გულს არ მოხვდეს. გ. ლეონიძე შედარებისათვის იყენებს ბაგრატიან ტაძრის ყვავილოვან ჩუქურთმას. ლექსი უაღრესად ლირიკულია, ნატვრას გამოხატავს და მასში პოეტის ნაზი სულის თრთოლა ისმის. მგოსანს აგონდება გამოჩუქურთმებული ყვავილი, „ბაგრატზე რომ არის გამოყვანილი“, და ასე მიმართავს სატრფოს:

შენი შუქით ჩემი გული დამზევდა,
შენ დამხურე მაისის ცა თავზედა.
და მსურს დავჩრქოვო, რა დრო-ჟამიც გაივლის,
როგორც ჩარჩა ჩუქურთმაში ყვავილი.
ქვაზე ჰყვავის და არ უღრკის განსაცდელს,
ათასს უძლო, კვლავ გაუძლებს ათას წელს.

1938 წელს გ. ლეონიძე შეხვდა მწერალთა და პრესის
ზუსტა ჯგუფს ცნობილი ჟურნალისტისა და კრიტიკოსის
პეტრე ბახტურიძის ოჯახში. ეს ოჯახი ამჟამადც ბაგრატი
ტაძრის მახლობლად ცხოვრობს. პოეტმა აქვე, მეგობართა
წრეში, გამოთქვა ექსპრომტი, რომელიც მიუძღვნა მასპინ-
ძლის ქალ-ვაჟს — მაყვალას და ბაკურს. ექსპრომტს აქვს შე-
ნიშვნა: ამ ლექსის წერას დაესწრნენო გ. ჯიბლაძე, პ. ბახტუ-
რიძე, ს. ფხაკაძე, ელ. ხუციშვილი.

გ. ლეონიძის უცნობი ექსპრომტი, რომლის დედანი პე-
ტრე ბახტურიძის პირადს არქივში არის დაცული, შეიცავს
ცხრა სტროფს და იწყება მონუმენტური ისტორიული ძე-
გლის ხოტბით:

ენახე ბაგრატის ტაძარი
და მისი ქვაკუთხედები.
დავლოცე მათი ამგები,
მათი აღმზრდელი დედები...

ლექსის ბოლო ორი სტროფი კი ასეთია:

ჩვენო პატარა შვილებო,
ხართ ცანგალა და გოგონა,
თქვენ ამქუხარდით დიდ ცეცხლად,
თუ ჩვენ ვართ ჭიკოცონა.

თუ ჩვენ არა ვართ, თქვენ გახდით
გამტანი ჩვენი ლელოსი,
თუ ჩვენ არა ვართ, თქვენ გახდით
გმირები საქართველოსი!..

ამავე არქივში ინახება მგოსნის ფოტოსურათი წარწე-
რით: „ძვირფას მეგობარს პეტრე ბახტურიძეს სიყვარულით
და პატივისცემით — ბაგრატის მთაზე მასთან გატარებული
ვახშმის მოსაგონრად. გიორგი ლეონიძე. 1950 წლის 1 აპრი-
ლი“.

სამახსოვროა ფოტოპორტრეტის გოგლასეული შეფასე-
ბა: „მართალია, იშვიათად ვიღებ სურათს, მაგრამ არც ერთი
სურათი ისე არ მომწონებია, როგორც ჩვენი ნიჭიერი ოსტა-
ტის დავით მხეიძის მიერ გადაღებული. იგი განსხვავდება
ბევრი ფოტოგრაფისაგან, რომელნიც მხოლოდ შტამპით საზ-
რდობენ“.

ჟურნალისტი და მწერალი სერგო ფხაკაძე მაშინ გაზეთ
„ახალ წყალტუბოს“ რედაქტორობდა. იგი 1946 წელს
შეხვდა გიორგი ლეონიძეს, რომელიც კურორტზე პირველად
ჩამოსულიყო და სანატორიუმში იმყოფებოდა. წყალტუბოს
რაიონის ხელმძღვანელებმა პოეტს გააცნეს სოფელ თერნა-
ლის ჩაის ფაბრიკა და სოფელ მალლაკის პარიზის კომუნის
სახელობის კოლმეურნეობა (გაზ. „სოფლის ცხოვრება“. 1976.
№ 239).

გიორგი ლეონიძემ 1963 წელს პირადად გაიცნო მხარეთმცოდნე პეტრე ჭაბუკიანი.

პეტრე ჭაბუკიანმა 1933 წელს სათაფლიაზე, იპოვა გადაშენებული ცხოველის ნაკვალევი, რაც მან დინოზავრის ნატერფალად გამოიცნო. ვიწრო სპეციალური ტერმინიც „დინოზავრი“ პეტრე ჭაბუკიანმა შემოიღო და დამკვიდრდა სალიტერატურო ენაში. პეტრე ჭაბუკიანმაც დინოზავრივით გაავლო კვალი მეცნიერებაში.

ქალაქ ქუთაისისა და მისი მახლობელი ღირსშესანიშნავი ადგილების ჩინებული მცოდნე პოეტი არაჩვეულებრივი გულისყურით ისმენდა პეტრე ჭაბუკიანის საუბრებს უქიმერიონზე, გელათსა და სათაფლიაში.

გიორგი ლეონიძის თქმით, გაერთიანებული საქართველოს მონუმენტური ძეგლებია ბაგრატიისა და გელათის ტაძრები და გეგუთის ციხე-დარბაზი. მსოფლიო პოეზიის გენია შოთა რუსთაველი უეჭველია ხშირად ესტუმრებოდა ამ ადგილებს. გიორგი ლეონიძემ კმაყოფილება გამოთქვა ბაგრატის ტაძრის რესტავრაციის გამო და ოსტატთა ნახელავი მოიწონა.

ფასდაუდებელია პეტრეს დამსახურება ამ ძეგლთა დაცვისა და შესწავლის საქმეში.

ბაგრატის ტაძრის გეგმის აღდგენისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა მისი ეზოს გაწმენდა ნაყარი მიწისაგან. ეს სამუშაო პეტრეს ინიციატივით ჩატარდა. მანვე აღმოაჩინა მოზაიკური იატაკი და უცნობი წარწერები, თავი მოუყარა ძვირფას ჩუქურთმოვან ფრაგმენტებს.

პეტრემ საინტერესო ცნობები მიაწოდა პოეტს გელათის აკადემიისა და ღვთისმშობლის მოზაიკის შესახებ. თამარ მეფის საფლავის საკითხთან დაკავშირებით შეეხო თამარის სახელით ცნობილ ეგვიპტურში არსებულ საფლავებს და ხალხურ გადმოცემებსაც.

აკადემიის შენობის წინ, დიდებულ თაღებქვეშ, გოგლა დადგა და მარჯვენა ხელი გადახვია პეტრე ჭაბუკიანს. ფოტოჟურნალისტმა ეს მომენტი აღბეჭდა ფირზე. ფოტოსურათი ძალზე პოპულარული გახდა: სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა პრესაში — „ქუთაისში“, „სოფლის ცხოვრებასა“ და „ლიტერატურულ საქართველოში“.

გიორგი ლეონიძემ ჩემს ოჯახში ორსართულიანი ტალავრის დათვალიერების შემდეგ მარნის ღვინოთა კოლექციიდან განსაკუთრებით მოიწონა ლალისფერი და სურნელოვანი „ალადასტური“. პოეტმა მაშინვე მომიღქვა: „შენი ვაზი ალადასტური მუდამ იყოს გადალასტული“. სიტყვა „გადალასტული“ კახეთში „მსხმოიარეს“ აღნიშნავს.

პეტრე ჭაბუკიანმა დაახასიათა „ალადასტური“, როგორც გურიასა და ქვემო იმერეთში გავრცელებული საუკეთესო მაღლარი ჯიშის ყურძენი და თან დაუმატა: ეს ღვინო მეფური სასმელია, გაყალბებას არ კადრულობსო.

პეტრემ გოგლას უსახსოვრა თავისი ბროშურა „სათაფლია“.

გიორგი ლეონიძეს განზრახული ჰქონდა პეტრე ჭაბუკიანისათვის ლექსი მიეძღვნა.

მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებამ 1964 წლის დამდეგს დავით კვიციანიძის სახელზე მიიღო შემდეგი ღებუშა:

„მედეას ქალაქის ვეფხვს და შენი ტევრის ყველა ვეფხვებს — პოეტებს, მეცნიერებს კოცნით ვულოცავ ახალ წელს. აბა, თქვენ იცით, ოყებო, მედეას შვილებო, როგორ გაახარებთ საქართველოს ახალი მიღწევებით, რომ გახდეთ ღირსნი პეტრე ჭაბუკიანის აღიარებისა. დამიკოცნეთ ძვირფასი და საამაყო ქართველი პეტრე ბატონი. თქვენი ოფშკვითის ლომი გიორგი ლეონიძე. 1964 წ. იანვარი“.

პეტრე ჭაბუკიანმა მგოსანს წერილობით ასე უპასუხა:

„პოეტ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძეს.

ძვირფასო გიორგი, გიორგი ბატონო! მივიღეთ თქვენი თავისებური, მრავლისმთქმელი საახალწლო მოლოცვა. მოლოცვა მოხსენდა მთელ ქუთაისს და მედეას მშობელი ქალაქი მადლობელი დარჩა თქვენი. სახელოვანი გიორგი ლეონიძის მოლოცვა ძვირფას საჩუქრად მიიღო.

ვერაფერი ვეფხვები გახლავართ, მაგრამ ვეფხვობა რომ გვინდა, ესეც მოგებაა საქართველოსათვის.

ქუთაისელებს კარგი აზრი დაებადათ: ახლო ხანში (შოვის სეზონის პერიოდში) მოეწყოს თქვენი მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში, სადაც დიდი ხანია ნატვრით მიგელიან. ქუთაისში მომუშავე მეცნიერები, მწერლები და მეც-თქვენს ამალაში ვიქნებით.

როგორც კახეთის უნახავად კაცი ვერ იტყვის საქართველოს კარგად ვიცნობო, ისე რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის უნახავად, მეტადრე თქვენისთანა დიდბუნებოვანი კაცი, არ უნდა დარჩეს. იმედი მაქვს ეს მოხდება.

არა მგონია იყოს ანბანის მცოდნე ისეთი ქართველი, რომელსაც თქვენი და თქვენი ოჯახის ბედნიერება არ სურდეს. პ. ჭაბუკიანი. 1964 წ. 20 თებერვალი. სათაფლია“.

დიდი მგოსანი უთუოდ შეასრულებდა ქუთათურთა გულითაღს თხოვნას, მაგრამ არ დასცალდა.

ჰვამთა ლაღალი უჰიჰერიონჲ

ვუჰასუხებ ზოგიერთ შეკითხვაზე, რომლებიც გოგლას ინტერესებდა. ეს კითხვები მაშინ ლიად დარჩა და შემდეგ კი გაირკვა.

1. ივანე ჭავახიშვილის სახელობის ჩუქურთმა (ნეოლოგიზმი „გრძელმტევანა“ და დიალექტიზმი „მტევანგრძელი“). ქართული კულტურის მონუმენტურ ძეგლზე გიორგი ლეონიძე წერდა: „ვნახე ბაგრატის ტაძარი და მისი ქვაკუთხედები, დავლოცე მათი ამგები, მათი აღმზრდელი დედები“. მეორე ლექსი კი იწყება სტრიქონებით — „მაგონდება ჩუქურთმაში ყვაილი, ბაგრატზე რომ არის გამოყვანილი“.

ჩუქურთმები და წარწერები გოგლას იზიდავდნენ.

ბაგრატის ტაძრის ეზოს გაწმენდისას ნაპოვნი ჩუქურთმოვანი ქვები პეტრე ჭაბუკიანმა ცალკე გამოათინა და ახლაც ამ მდგომარეობაშია. გოგლა გატაცებით ათვალერებდა გამოფენას.

— ივანე ჭავახიშვილის „გრძელმტევანა“ საღაა? — იკითხა.

ეს ტერმინი პეტრეს არ გაეგონა, მაგრამ ენიშნა „საქართველოს ეკონომიური ისტორიის მეორე ტომში (1934 წ.) მოთავსებული სურათი — ყურძნის გრძელი მტევნებით მოჩუქურთმებული სვეტისთავი.

პეტრემ ანახა მოქარგული ლოდი. გოგლას რჩევით შემდეგ ტაძრის დასავლეთის შესავალ კართან დაიდგა ქვის სვეტი და ეს „ქუდიც“ დაახურეს.

ბაგრატის ტაძრის ჩუქურთმათა შორის ივანე ჯავახიშვილმა ყურძნის გრძელი მტევნები შენიშნა. ამ სვეტისთავის ივანე ჯავახიშვილისეული ფოტოსურათი ყურადღებიდან არ გამოჰპარვიათ კონსტანტინე გამსახურდიასა და გიორგი ლეონიძეს.

იშვიათმა ენათმეცნიერმა გასაოცარი აღლოთი ამოიკითხა ნაქანდაკევეში სკულპტორის ჩანაფიქრი და თურმე მაინც შეუცდომლად მისწვდა საგულვებელ ხალხურ ტერმინს. მან შექმნა ხელოვნური კომპოზიტი „გრძელმტევანა“ კახური „მოკლემტევანას“ ანალოგიით. ივანე ჯავახიშვილი „გრძელმტევანას“ არ შეთხზავდა, რომ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი ყოფილიყო ლეჩხუმური ყურძნის სახელწოდება „მტევანგრძელი“. დიდი ივანე უთუოდ გამოიყენებდა ცოცხალ მეტყველებაში გავრცელებულ ამ ტერმინს (იხ. ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა. 1951. გვ. 107).

სასარგებლოა დავიხსოვოთ, რომ ბაგრატის ტაძრის ეზოში აღმართული ქვის სვეტი გიორგი ლეონიძის სახელობისაა და ამ სვეტისთავზე გამოსახულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის ყურძნის ჩუქურთმა „მტევანგრძელი“.

2. იშვიათი თურქული წარწერა. პეტრე ჭაბუკიანმა 1939 წელს იპოვა უცხოურ ენაზე შესრულებული წარწერიანი ქვა (ორ სვეტზე რვა სტრიქონად).

პეტრემ ის არაბულად ამოიცნო და არაბი პოეტის ლექსი ეგონა. გიორგი ლეონიძე დააფიქრა ამ წარწერამ — უხმოდ თავშეკავებული უსმენდა.

რას დაღაღებდა ეკლარის ქვა, გოგლას ოცნებად დარჩა. უქიმერიონის საიდუმლო გამჟღავნდა. ენათმეცნიერმა, აკადემიკოსმა სერგი ჭიქიამ ახლახან ამოხსნა ეს თურქული ტექსტი მეთვრამეტე საუკუნისა. იგი შეეხება წყაროს გამოყვანას ქუთაისის ციხემდე, რისთვისაც დალოცვილი და შექცეულია სიმონ კიკიანი. თურქული წარწერიანი ქვა უტყუარი დოკუმენტია უქიმერიონზე წყალსადენის მშენებლობის დასათარიღებლად.

პეტრე ჭაბუკიანის მიერ აღმოჩენილი (ჯერჯერობით ერთადერთი) თურქული ეპიგრაფიკული ლოდი ამჟამადაც დაცულია ბაგრატის ტაძრის სამრეკლოში. მის გასაცნობად აქ პირველად მოვიდნენ აკადემიკოსები აკაკი შანიძე (1957 წელს) და გიორგი ლეონიძე (1963 წელს). სრულად იხ. ურ. „კოროხი“. 1978. № 6.

8. ბაგრატის ტაძრის აკლდამები. „დიდოსტატის მარჯვენის“ (1939 წ.) დასასრულს ვკითხულობთ: ბაგრატ მესამის შვილი გიორგი პირველი ქუთაისში დაკრძალესო. კონსტანტინე გამსახურდიამ ეს ფაქტი უთუოდ საისტორიო წყაროში იპოვა ისევე, როგორც ივანე ჯავახიშვილი ემყარება მემატეანის კონკრეტულ ცნობას და წერს: უდროოდ გარდაცვლილი გიორგი პირველი დაასაფლავეს ქუთაისის საყდარში (ქართველი ერის ისტორია. II. 1948. გვ. 134). „ქართლის ცხოვრებაში“ წერია: „იგი წარიყვანეს და დამარხეს საყდარსა ქუთათისსა“.

მემატეანის ცნობამ დააფიქრა პეტრე ჭაბუკიანი და ის საკუთარ აზრს მტკიცედ გამოთქვამდა.

ბაგრატის ტაძარში თვალნათლივ შესამჩნევია ორი აკლდამა: პეტრე ჭაბუკიანის დაკვირვებით, სამხრეთ კედლის კარიბჭეში მდებარე აკლდამა გიორგი პირველს უნდა ეკუ-

თენოდესო: პეტრე ჭაბუციანს სჯერა, რომ ხალხური გადმოცემის მიხედვით, ჩრდილოეთ კედლის კარიბჭეში დაკრძალულია „მოკლული დედოფალი“ (დარეჯან ცბიერი) — იმერეთის მეფის ალექსანდრეს მეუღლე (მე-17 საუკ.).

კონსტანტინე გამსახურდიას გიორგი პირველი ბაგრატიის ტაძარში ეგულებოდა. ჯერ კონსტანტინემ და შემდეგ გიორგი ლეონიძემ ადგილზე მოსვლისას (სხვადასხვა დროს) დაადასტურეს ორივე ვარაუდი. მათ დაასკვნეს: გიორგი პირველის საძვალე მიგნებულა, თუკი ტაძარში სხვაგან საფლავი არ არისო.

მხოლოდ ერთხელ გელათში

გიორგი ლეონიძემ 1963 წლის 31 მაისს პირველად და უკანასკნელად ინახულა გელათი. ქუთაისის პირველი საშუალო სკოლა შეხვდა მგოსანს. მოსწავლეებმა გოგლა საპატიო პიონერად აირჩიეს. ტაძარში შედგა მიტინგი. წარმოითქვა სიტყვები, ლექსები. შეასრულეს სიმღერები. გოგლა გამოვიდა სამადლობელი სიტყვით: „საქართველოს დიდების ტაძარში ეს შეხვედრა აღმოუფხვრელი იქნება ჩემს გულში, როგორც გამოვლინება ჩვენი ახალგაზრდობის ნიჭიერების, მამულისა და კულტურის სიყვარულისა. თქვენ დღეს დილა ხართ, ხვალ კი დღე უნდა იყოთ და ხვალინდელ საქართველოს ჩვენზე უკეთ მოუაროთ. ახალი თაობა ის კი არ არის, ვინც ასაკით არის პატარა, არამედ ის, ვინც ახალ რამეს შექმნის თავისი ქერის ცხოვრებაში, ახალ წვლილს შეიტანს

მასში. გისურვებთ შეიტანოთ ეს წვლილი. პიონერებო, მამულის — საქართველოს სიყვარულისათვის იყავით მზად!“

და პასუხად გაისმა: მზად ვართ!

გოგლა ალტაცებაში მოიყვანა გელათმა. გამოვყოფ ერთ კონკრეტულ საკითხს.

თამარ მეფის ნეშტი გელათის მიწას შეუერთდა, — ამ აზრისაა ქართველ ისტორიკოსთა უმეტესობა. ასე სწამდა პოეტსაც. გიორგი ლეონიძემ გაიხსენა ვახუშტი ბაგრატიონი, რომელიც აღნიშნავს: „გელათში დაფლულ არიან აღმაშენებელი, გიორგი, თამარ, ლაშა, რუსუდან, დავით, დავით და სხვანიცა“ და დასძინა: თამარი გელათიდან სადმე (მაგალითად, იერუსალიმში) გადასვენებული რომ ყოფილიყო, როგორც ამას ერთი ლეგენდა გადმოგვცემს, მაშინ ვახუშტი არ იტყოდა „დაფლულ არიან“, არამედ დაწერდა: თამარი გელათში დაასაფლავეს, შემდეგ კი სხვაგან გადაასვენესო. მაშასადამე, ვახუშტის აზრით, თამარი ამ ეგვიპტერში მარხია. ვახტანგ ორბელიანიც ხომ ხოტბას ასხამს გელათს და ამასვე ამბობს: „შენსა წიაღში განისვენებს დიდი თამარი“.

გიორგი ლეონიძის ამ სიტყვის შემდეგ საკითხის შესწავლაში შეტანილი იქნა ეს სინათლე:

საქართველოს საისტორიო საზოგადოების ქუთაის-გელათის სამეცნიერო სესიაზე რუსთაველის წელიწადს, 1966 წელს, გაიმართა მსჯელობა. თამარის სახელობის ეგვიპტერში ისაუბრეს სიმონ ყაუხჩიშვილმა, შალვა ამირანაშვილმა, გიორგი ჩიტაიამ, ვარლამ დონდუამ, სერგი წულაძემ, კარლო კალაძემ, კონსტანტინე გრიგოლიამ, აბელ კიკვიძემ... მათ გაიხსენეს 1963 წელს გელათში ყოფნისას გიორგი ლეონიძის საგულისხმო ნათქვამიც. ისინი შეთანხმდნენ, რომ თამარი

დაკრძალულია აქ და მომავალში უნდა მოხდეს გელათის არქეოლოგიური შესწავლა.

ჩემი ორი სტატია — გამოკვლევა თამარ მეფის საფლავის საკითხზე და ისტორიკოსთა სამეცნიერო სესიის ანგარიშში — 1966 წელს დაისტამბა გაზეთ „ქუთაისში“ (№ 94, 138).

პროფესორ ივანე ლოლაშვილის მონოგრაფიაში (იბეჭდება) წარმოდგენილია საკითხის ისტორია და არსებულ მოსაზრებათა კრიტიკული ანალიზი ახლად მოპოვებულ უძვირფასეს წერილობით დოკუმენტზე დამყარებით.

საკუთრივ ტექსტი შეიცავს ოთხ საავტორო თავახს და ოთხ თავს: 1. თამარის ავადმყოფობა, გარდაცვალება და დაკრძალვა, 2. ხალხური თქმულებანი თამარის დაკრძალვისა და საფლავის შესახებ, 3. გ. დებუას წერილი და ვარაუდები გელათიდან თამარის ნეშტის გადასვენების შესახებ, 4. თამარის ეგვიპტის ფრესკები და სამარხები; გამოკვლევას წამძღვარებელი აქვს შესავალი და ერთვის ილუსტრაციები.

ივანე ლოლაშვილმა აღმოაჩინა და შეამოწმა ექვთიმე თაყაიშვილისეული აღწერილობა.

ექვთიმე თაყაიშვილმა 1920 წელს გათხარა ის ადგილი, სადაც თამარ მეფის ნეშტი ეგულებოდა, აღმოჩნდა ოთხი უცნობი მიცვალებულის ჩონჩხები.

თამარ მეფის ეგვიპტერში პირისპირ ძეგს ორი საფლავის ქვა — ჩრდილოეთითა და სამხრეთით. აქ სხვა სამარხებიცაა.

ივანე ლოლაშვილმა დაადგინა, რომ ექვთიმე თაყაიშვილმა გახსნა ჩრდილოეთით მდებარე ქვიანი საფლავი.

ივანე ლოლაშვილის ამოცნობით, ამ საფლავში უნდა იყვნენ ვახტანგ დავითის ძე (დავით ნარინის შვილი), მარიამ

დადიანი და ორი უცნობი მიცვალებული. მისივე დაკვირვებით, სამხრეთით მდებარე საფლავის ქვა დავით ნარინისაა. ამ ეგვიპტურში განისვენებენ (მაგრამ ქვები არ აქვთ): თამარ მეფე, დავით სოსლანი და ლაშა-გიორგი.

ვარაუდებს არქეოლოგიური ძიება ნათელყოფს. გელათის საიდუმლო ამოიხსნება...

გიორგი ლეონიძის წარმოდგენაში გაცოცხლდნენ მახლობელი სულიერი წინაპრები — დავითი და თამარი, შოთა და ილია... ქართული კლასიკური ხელოვნების დიდოსტატები. მოხიბლული პოეტი გატაცებით უსმენდა ფრინველთა საგაზაფხულო გალობას და გელათის ქვათა ლაღდს.

შებინდდა. გიორგი ლეონიძეს გაუძნელდა განშორებოდა გელათს. შთაბეჭდილებათა მორევში მყოფ გოგლას 31 მაისის გრძელი დღე 31 დეკემბრის მოკლე დღედ მოეჩვენა. სახალხო მგოსნის გულმა ამასთანავე იგრძნო ისიც, რომ ეს იყო მისი უკანასკნელი საღამო გამოსაღმებისა.

უანწი მხართვეს ძველ ცისფერუანწელს

ტერმინი „ცისფერუანწელი“ ამ სათაურში ქართველ სიმბოლისტსა და მომლხენ მამულიშვილზე მეტყველებს.

ფოტოალბომში დაცულია ფირზე აღბეჭდილი საინტერესო მომენტი: პოეტი დგას სცენაზე ყანწით ხელში.

გიორგი ლეონიძის იუბილე ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის კლუბში გაიმართა 1963 წლის 31 მაისს.

საზეიმო შეხვედრის დასასრულს, როცა პოეტი უნდა გამოსულიყო, შუა დარბაზში მოულოდნელად ფეხზე წამოდგა დოცენტი მიხეილ (იაშა) ბერბული, მიმართა იუბილარს და მარჯვენა ხელით ასწია ყანწი. სახეგაბრწყინებული მღი-მარე მგოსანიც ფეხზე მდგარი უსმენდა სიტყვას.

მიხეილ ბერბულმა აღწერა ეს მომენტი და ზეპირი ნათქვამიც აღადგინა. მისი მოგონება ასეთია:

1963 წლის გაზაფხულზე ქუთაისს ესტუმრა საქართველოს სახალხო პოეტი გიორგი ლეონიძე. ჩვენი ქალაქი დიდი მოწიწებით მიეგება საამაყო მამულიშვილს, მხატვრულ სიტყვის დიდოსტატს და სამახსოვრო მასპინძლობაც გაუწია. გულდაჯერებით მიმოიხილა რა ქუთაისის ძველი და ახალი ყოფის ღირსშესანიშნავი ადგილები, გოგლა პირველად ეწვია პედაგოგიურ ინსტიტუტს.

წინა დღით მითხრეს, რომ დარბაზიდან ყანწით უნდა ადღეგრძელო საპატიო სტუმარიო. რაკი ასე არჩიეს, მეც მივიღე დავალება. სადღეგრძელო უნდა წარმომეტქვა ბოლოს ნებართვის უთხოვნელად. შინდაბრუნებისას ამაზე სიტყვა ჩამოვაგდე ოჯახში. გაუხარდათ, ღვინისა და ყანწის მოტანაზე არავინ გამიფრთხილებია. ეს უბრალო რამედ მივიჩნიე. ვიფიქრე — ამით არავინ დამაყოვნებს-მეთქი ინსტიტუტში. სადღეგრძელო ზეპირად მოვიფიქრე და მეტი არაფერი.

როცა დაუვიწყარ შეხვედრაზე დასასწრებად ინსტიტუტის მთელი კოლექტივი შეიკრიბა და მალე იუბილარიც მობრძანდა ქალაქის ხელმძღვანელებთან ერთად, მაშინ ჩემს უმცროს კოლეგებს ვსთხოვე: აბა, ბიჭებო, სასწრაფოდ ყანწი და ღვინო უნდა გააჩინოთ-მეთქი. ეს საქმე არც ისე იო-

ლი მოსაგვარებელი შეიქნა, საამისოდ მისვლა-მოსვლის დრო აღარ იყო.

ამასობაში ერთმა სტუდენტმა მითხრა: თქვენი ვაჟი გიხმობთ ფოიეშიო. უცებ მეც იქ გავჩნდი. მირდატი მელოდებოდა კუთხეში, გვერდზე მოედგა ხუთლიტრიანი დოქი და ქალაქში გახვეული ჩემი ნაცნობი ყანწი, რომელსაც აქვს წარწერა: ვინც დალიოს, გაუმარჯოს! ყანწში თითქმის ერთი ლიტრი ღვინო თავსდება და, ვინ იცის, ამ ყანწით რამდენჯერ დამილოცავს სამშობლო და მადლიანი ქართველი ვრი.

სტუდენტებმა ყანწი და დოქი ისე შეიტანეს კლუბში, რომ თითქმის არავის შეუმჩნევია. მე, შუა კლუბში დავიჭირე ადგილი ჩემი დოქითა და ყანწით. გვერდით მოვისვი ასისტენტი ქაჯანა მუშკუდიანი, რომელსაც, როცა ვანიშნებდი, უნდა შეევსო ყანწი.

ფარდა გაიხსნა მქუხარე ტაშში. პრეზიდენტის მაგიდასთან ცალკე მორთულ სავარძელში ჩაჯდა ახოვანი გიორგი ლეონიძე.

მისალმებებიც დამთავრდა. ის-ის იყო პოეტი უნდა შესდგომოდა საუბარს, სწორედ მაშინ წამოვდექი და დავიწყე:

მივესალმები და ვადღეგრძელებ დიდ გიორგი ლეონიძეს აბა, ვის გაუგონია ქართლ-კახეთიდან მობრძანებული სტუმარი და ისიც უკვდავ წინაპართა გვარიშვილი — დიდ ლეონიძეთა შთამომავალი — ქუთაისში იმერულ ლხინსა და სიხარულში ყანწის გარაშე დაილოცოს! ამ დროს ქაჯანა მუშკუდიანმა გადმომცა ყანწი და განვაგრძე:

ქუთაისის თავისი ცა და მიწა გააჩნია. ისინი ერთიმეორეს შესცქერიან, ათბობენ და ასაზრდოებენ. ქალაქის ცას გუშინ ახალი მანათობელი ვარსკვლავი შეემატა. სინათლე და სი-

თბო გაჩაღდა. ეს ვარსკვლავი გრძნეული აღმოჩნდა, მოგვიახლოვდა და ქუჩებში დაიწყო სვლა. ყველაფერს თავისი გული და თვალი მიაპყრო და ყველგან თავისი ნატერფალი დააჩინა. ეს ყოველივე სასწაულს ჰგავს, რომელსაც ჩვენ ვგრძნობთ და ვხედავთ. იგი დღეს ინსტიტუტს ეწვია და აქ გვანათებს ჩირაღდანით. ეს თქვენ ბრძანდებით, დიდებულო მგოსანო! ეს სხივები კი, მთელ ქალაქს რომ აცისკროვნებს, თქვენი პოეზიაა.

სახელი „გიორგი“ მიწათმოქმედს აღნიშნავს. წარმატების, შრომისა და ბედნიერების სიმბოლოა. ბევრ ამაგდარს, ვაჟკაციური შემართების გმირს, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს უტარებია ეს სახელი ჩვენში, ცივი და ცხელი იარაღი გამოუყენებია ერის საკეთილდღეოდ, მის გასამარჯვებლად, მტრის თავზარდასაცემად, მაგრამ ის იარაღი, რომელიც ყველაზე ბასრი და მჭრელია, არ იუანგება და, რაც დრო გადის, უფრო მეტი გამძლე და საიმედოა, თქვენს ხელშია. ძვირფასო გიორგი, და ერს ემსახურება. სახელი „გიორგი“ ხომ საყოველთაოდ აღიარებული „გეორგიას — გეორგიკას“ ფუძეა. მთელი მსოფლიო იცნობს ამ „გეორგიას“ ანუ საქართველოს.

ქუთაისში უყვარდათ მობრძანება უკვდავ ილიასა და ვაჟას. ბესიკმა, აკაკიმ და გალაკტიონმა ხომ აქ მიიღეს პოეტური წრთობა.

დიდებულო სტუმარო, დღეს ჩვენთან მობრძანდით და აღგვაფრთოვანეთ. თქვენს სიყვარულს გამოვხატავთ, არ გემშვიდობებით. ასე დაიცალოს საქართველოს მტრები. ვინც დალიოს, გაუმარჯოს! ინებეთ, ბატონო გიორგი!

გუნდმა ორკესტრის თანხლებით წამოიწყო „ღვინოვ კახუ-

რო“, რომელიც ხანძარივით მოედო ყველას, სიმღერა მთელმა დარბაზმა შეასრულა.

თავმჯდომარემ სიტყვა მისცა იუბილარს.

გიორგი ლეონიძე წამოდგა სავარძლიდან და იხუმრა: სიტყვის მოცემას ყანწის მოცემა მირჩევნიაო.

ყანწი აავსეს ცოლიკაურით და გადააწოდეს იუბილარს.

— სულით და გულით დავლოცავ ჩვენს ახალგაზრდობას — ქართველ ერსა და მის მომავალს, — თქვა პოეტმა, შესვა სადღეგრძელო და ყანწი დარბაზში დააბრუნა.

გიორგი ლეონიძე მივიდა კათედრასთან. მან მადლობა გამოუცხადა დიდძალ აუდიტორიას. შეეხო ქუთაისის ისტორიულ წარსულსა და დღევანდლობას, ილაპარაკა წარუშლელ შთაბეჭდილებებზე. მან ხომ მთელი ის დღე (31 მაისი) დაყო გელათში და მოიხიბლა. პირველად იხილა დავით აღმაშენებლის სამარის ქვა, თამარ მეფის ეგვიპტური, ღვთისმშობლის ცნობილი მოზაიკა. ძველი ქართული აკადემიის შენობის ნაშთი. მოუწოდა სტუდენტ ახალგაზრდობას: ცოდნის წყურვილი გქონდეთ, დაეუფლეთ მეცნიერებას, გიყვარდეთ დედულ-მამული, გამრავლდით და გაიხარეთო. პოეტმა სიტყვა დაასრულა ლექსით „ქუთაისს“.

ეს ყანწი ამჟამად ინახება სოფელ გორაზენდარში (ვანის რაიონში) — მიხეილ ბერძულის სიმამრის ალექსანდრე გამრეკლიძის ოჯახში. განზრახულია, რომ ეს ყანწი გადაეცეს პოეტის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმს.

სალამოზე ენათმეცნიერი ქეთევან ძოწენიძე გამოვიდა ამ სიტყვით:

გიორგი ლეონიძის დიდმა სახელმა შეკრიბა დღეს აქ ამდენი წარმომადგენელი ახალგაზრდობისა, რომელთაც შესაძლებლობა მიეცათ, არა მარტო ლექსებით იცნობდნენ,

არამედ უშუალოდაც ნახონ ქართველი ერის ფიქრისა და ოცნების, აზრისა და გულისტქმის, ლხინისა და ნაღვლის გამომხატველი დიდი პოეტი. იგი მადლიერმა ქართველმა ერმა სახალხო პოეტად გამოაცხადა და, როგორც თავისი ქვეყნის სახელი და დიდება, პირუთვნელად შეიყვარა.

ჩვენი სტუმრისთანა კაცზე ამბობს ილია: „მზესა ჰგავს, რომელსაც ბრმაც კი გრძნობს, თუმცა ვერ ხედავს“.

აბა, რომელი ჩვენგანი არ მოხიბლულა გიორგი ლეონიძის მარად თვითმყოფი, ვაჟკაცური პოეზიით, რომელსაც „მშობელ მიწაში უდგას ფესვები“ და რომელსაც ქმნის დიდი ტალანტი და შთაგონება.

გორგი ლეონიძის ლექსი ტკბილია, როგორც ალაზნის დუღუნი და ქართული იავნანა; სურნელოვანია, როგორც გაზაფხული; ბარაქიანია, როგორც კახეთის შემოდგომა; ძლიერია, როგორც ქართველი ვაჟკაცის მიერ ხმლის დარტყმა.)

გიორგი ლეონიძის ლექსებში, ბესარიონ ბელინსკის სიტყვით რომ ვთქვათ, არის მომაჯადოებელი მშვენიერებაც და გრაციაც, თვალისმომკრელი ბრწყინვალეობაც და მშვიდი სისალბუნეც, ენისა და რიტმის მელოდისა და პარმონიის მთელი სიმდიდრე, შემოქმედებითი ოცნების, პოეტური გამოთქმის მთელი ნეტარება და აღტაცება.

გიორგი ლეონიძე წერს მთელი უშუალობით და, რასაც წერს, ტკივილსა და უთანასწორო „ბრძოლაში შობილ მშვენიერების შარავანდედით“ შექმენილი მამულის სიყვარული და მისადმი გულმტკივნეული ზრუნვა აწერინებს.

გიორგი ლეონიძეს თავდავიწყებით უყვარს ბრძოლაში „ნაჭირმაგარი“, „მზის თანადარი“ საქართველო, ურომლისოდაც სიცოცხლე ერთ ნაბიჯზედაც არ სდომებია. მას ლექსიც არ უნდა, თუ სიტყვაში სამშობლოს განთიადი ჩაუქრე-

ბა. უყვარს ჩახჩახა თბილისი, ქართლის გული, უყვარს სამშობლოს ცა — „არწივების კლანჭით გარტყმული“, მთები — ფერადი დროშებივით მდგარი, გაზაფხულის სიმწვანე, ყანების სილურჯე, წინანდლის ღვინო, შავხალეებიან ყაყაჩოთა სიწითლე, ხობხის ყელივით მოშრიალე ცისარტყელა, ატმების შუქში რხეული დილა, ნარგიზებიანი ღამე, მტკვარი, რიონი, იორი და ალაზანი, მათი ფშანების ნაყურები, არწივის ბუდე, ქართლური ალიზიანი ქოხი, ქართველი ხალხის ამაყი, ქედმოუხრელი სული, სახელოვანი წინაპრები, სწორუპოვარი რუსთაველი, მთაწმინდიდან გადმომყურე სამშობლოს დიდება — ვაჟა და ილია, აკაკი და ბარათაშვილი — და ყველაფერი ეს თავის ლექსებში აქვს დახატული.

ქალის ამაღლებულ, ნატიფ სიყვარულშიც კი თავისი სამშობლის ტაძრის ჩუქურთმებს, ქართლის მწვერვალებს, მაისის ცასა და სპეტაკ დილას ჰვრეტს.

ვაჟას ნიჭიერ მწერლად ის მიაჩნია, ვისშიდაც ძლიერად ჩქედს ეროვნული სისხლი და არა მგონია, რომ გიორგი ლეონიძეზე მეტად რომელიმე თანამედროვე ქართველ პოეტს შესძლებოდეს მამულისათვის მამულიშვილობა გაეწიოს, მისი ჰირი ჰირად მიეჩნოს. ტკივილით ემტკივნეულოს, ღზინით ეღზინოს, მისი ზეიმითა და იმედებით დამტკბარიყოს და ქართული ლექსის დიდება ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც გაეტანოს.

გიორგი ლეონიძის პოეზიის მაღლიანობას მისი მხატვრული ენის, მისი სტილის ინდივიდუალობაც განსაზღვრავს. ქართული ენის კანონების ღრმა ცოდნა, მისი სიტყვაწარმოების ლექსიკურ და სინტაქსურ შესაძლებლობათა ოსტატური გამოყენების ნიჭი, მისდამი ზრუნვა და პატივისცემა ხელშესახებია მგოსნის ყოველ ლექსსა და გამოკვლევაში. /

რა ვუყოთ, ჩვენო დიდო პოეტო, თმაში თოვლი თუ შემოგეპარათ. არ გამართლდა თქვენი დარდი: „სიკაბუკის გარეშე ლექსს ვინ მისცა დიდებაო“, თქვენი პოეზიის მარად ნედლმა სტრიქონებმა, „ფოლად-ნადებმა“, „ვარდში ხვეულმა“ ლექსებმა შეინახა „აპრილის ნაქუხიც“, ცეცხლიც, ნიავიც, თქვენი ახალგაზრდობაც და უკვდავებას გაზიარათ.

სხვა რომ არაფერი დაგეწერათ, მარტო „რ დაიდარდო, დედაო“ და „შინმოუსვლელი, სადა ხარ“ კმაროდა თქვენი სახელის უკვდავსაყოფად.

იღლეგრძელეთ და ილონიერეთ ბავშვობაში ვაჟას მიერ, ახლა კი მთელი ქართველი ხალხისაგან დალოცვილო. „სამშობლოს ჩუქურთმების მჭრელი“ პოეტო! აგსრულებოდეთ ნატვრა: დიდხანს, დიდხანს გქონოდეთ „ივრის ჯანი“ და „ალაზნის სიკაბუკე“.

ფიქრები ავაზუქალისაულ კინოფილზე

ქართული კინოხელოვნების უხუცესი მოღვაწე ვასილ იაკობის ძე ამაშუკელი დაესწრო გიორგი ლეონიძის იუბილეს ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში 1963 წლის 30 მაისს. პოეტი და კინოოპერატორი ერთიმეორეს პირადად ადრეც იცნობდნენ.

რესტორან „იმერეთში“ გამართულ ოფიციალურ ბანკეტზე გოგლამ სამახსოვრო გულისთქმა გაამჟღავნა:

ქართული კინოს ყამირის გამტეხი — აკაკის სახის ეკრანზე გამცოცხლებელი აქ არის.

მე დღეს ავედი უქიმერიონზე და რამდენიმე საათს და-
ვრჩი. იქაც გავიხსენეთ, როცა მარჯანიშვილისეული ძველ-
ბური იმერული ოდა დამანახეს.

შენი ფილმი ათი წლის წინათ აღმოჩნდა ლიტერატურულ.
მუზეუმში, რომელიც მე დავაარსე. ახლა საყოველთაოდ
ცნობილია ეს ისტორიული დოკუმენტი და მისი ავტორი.
„საქმემან შენმან გამოგაჩინა“.

კინოფილმი პირველად ვიხილე 1955 წელს მწერალთა
სასახლეში აკაკის საიუბილეოდ. ალტაცებაში მომიყვანა.
ბედნიერი ხარ, რომ ახლდი აკაკის და ემსახურე ერს პა-
ტრიოტულად.

შენი მუნჯი სურათი ბევრ რამეზე მეტყველებს: „სხვა
საქართველო სად არის“ — სად გაულმერთებიან მგოსანი
ასე: სავარძელს მიაართმევდნენ და ხელში აყვანილი დაჰყა-
ვდათ, ძილისპირს ანგელოზები ნანას უგალობდნენ. უფრო
ადრე, ქუთაისში, იუბილარის ეტლს ხალხმა ცხენები გამოხ-
სნა და თვითონ შეება.

ბარაკონის ფერხული ზღაპრული სანახაობაა. პოეტი წრე-
ში დგას, ბავშვებიც და მოხუცებიც გარშემო ევლებიან (თავს
ევლებიან). ფერხული ცეკვაა, რომელსაც სიმღერით ასრუ-
ლებენ. მომხიბლავია ამგვარი ცეკვა და სიმღერა ერთად.

შორეულ წარსულზეც გავყევი ფიქრს. კახაბერ ერისთა-
ვის სასახლეში თვალწინ წარმომიდგა შოთაც, თამარს რომ
უპასუხა ექსპრომტით „ფილოსოფოსნი შემოკრბეს...“

მხატვარ კოტე ქავთარაძის ნახელავი გაზეთ „თემის“ სურ-
ათებიანი დამატებით მახსოვს. ალბომად შემონახული
უცნობი ფოტოდენები მაინტერესებს — უთუოდ ძვირფა-
სია. ამაშუკელ-ქავთარაძის დოკუმენტური მასალა შემოქმე-
დებითი შთაგონების წყაროა ჩვენი მხატვრებისათვის.

ვოცნებობ ფეხით გავიარო რაჭა-ლეჩხუმის ხეობებში და მთაგრეხილებზე. იქ უშენოდ არ წავალ, აკაკის ნაკვალევს მიწაზე ვერ ვიპოვი: მგოსანს ხომ ხელის გულზე (მალლა-მალლა) ატარებდნენ ხატივით. შენ წინ მიუძლოდი აკაკის და შეხვედრებს იღებდი. დღეს მხოლოდ შენთვის არის ნაცნობი ის გზა, აკაკის მხლებელთაგან ცოცხალი მარტო შენ დარჩი. ერთადერთი მესაიდუმლე ხარ, მეც მეგზურად მეყოლები.

ჩემს სალამოებში ეს ფილმიც უნდა ვაჩვენოთ. ცოცხალი, აკაკი დაგვესწრება, თავის ნათელს მოგვფენს. ფილმის გადა-მუშავება აუცილებელია და ამაზე შემდეგ ვიმსჯელოთ.

ჩემი თვალსაზრისით, ღირსეულად უნდა დავაფასოთ შე-ნი მეთაურნი და ხელისშემწყობნი, რომლებმაც დროზე მო-იფიქრეს აესახათ მოგზაურობა, თორემ ეს ზღაპრული ზეიმი ხომ წაიშლებოდა! (ფოტოალბომი „აკაკის მოგზაურობა რა-ჭა-ლეჩხუმში“. 1979. გვ. 16, 17).

რაჭა-ლეჩხუმში სიყვარულით მიელოდნენ გიორგი ლე-ონიძეს, მაგრამ მას აქ აკაკის ნაკვალევზე გავლა ოცნებად დარჩა.

გოგლას ნაამბობი

გავიხსენებ უცნობ მომენტებს და ფაქტებს 1963 წლის მოგზაურობიდან. შევეცდები აღვადგინო მგოსნის ნაამბო-ბიც (კერძო საუბრებში მოსმენილი).

გიორგი ლეონიძის თავმჯდომარეობისას 1952 წელს მე მიმიღეს საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად. ამის

გამოც მინდოდა მადლობის ნიშნად ღირსეული სამსახური გამეწია მისთვის. რაკი გაგვახარა და ქუთაისს ეწვია, შეხვედრებში არ მოვშორებივარ, საჭირო ცნობებს ვინიშნავდი და მთავარი მომენტების ფოტოგადაღებასაც ვხელმძღვანელობდი.

ვაჟა-ფშაველას ლექსი „გიორგი ლეონიძეს“ დაიბეჭდა ვაჟას გარდაცვალების შემდეგ — 1915 წელს ჟურნალ „განათლებაში“ (№ 8-9).

ვაჟამ ყრმა გოგლა იცნო სამშობლოს მომავალ გმირად და ამ იმედით წერს: „დღეს ვხედავ, გაჰმრავლებიან მშობელ ქვეყანას შვილები“, რომლებიც „მტერს არ მისცემენ სათელად“ და ამიტომ „მირჩება წყლული გულისა, ვყუჩდები ანატირები“.

გოგლამ თქვა: საკვირველია ვაჟას წინათგრძნობა. მან ხომ ჩემი მგოსნობა იწინასწარმეტყველა მაშინ, როცა თხუთმეტი წლის ვიყავი. გოგლა ასე მიმართავს ქუთაისს: „ვაჟას სულმა გამომგზავნა, მისი ლექსი მსურს დავისწრო“.

გიორგი ლეონიძე, საუბარშიც გამოთქვამდა ამავე აზრს, რაც ლექსშიც უწერია უკვდავ მესიტყვეებზე: „აკაკის ჩანგს დავუჩოქებ, ვეტყვი: მამავ, უმამესო“; გალაკტიონს — შენს დიდ სუნთქვას — ერთად ვუთხრათ: უმამესო!“

გოგლა აღიდებდა „მთაწმინდის გედს“. მისი სიტყვით „ქართული მწერლობის დიდ ქედზე ამიერიდან გალაკტიონის სახელი აღიმართება, როგორც სპეტაკი მწვერვალში“.

გოგლა დიდ პატივს სცემდა ნიკო ნიკოლაძესა და დავით კლდიაშვილს.

გოგლამ კერძო საუბარში აღნიშნა, რომ მას შეხვედრია ძველ ქართულ ძეგლში (სახელწოდება ვერ გაიხსენა: გიორგი მთაწმიდელს უნდა ჰქონდესო) შესანიშნავი ფრაზა და ის მისცა სათაურად თავის წერილს, რომელიც აკადემიკოს კო-

რელი კეკელიძის ხსოვნას მიუძღვნა — „გვირგვინი მსკოვანთა და მაგალითი ყრმათა“.

გიორგი ლეონიძის აზრით ქუთაისის თეატრს სასურველია ერქვას „მედეას თეატრი“, ცენტრალურ ბაღს — „აკაკის ბაღი“, ბესარიონ გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკს წინათ ეწოდებოდა „გაბაშვილის გორა“. უმჯობესია დარჩეს „ბესიკის გორა“.

უქიმერიონის ქვათა ლაღადი ყველამ უნდა ისმინოს. მის კედელს შეეხება აკაკის სტრიქონები: „შენი ციხე-გალავანი ბევრჯერ სისხლით განაბანი“. პანთეონის შექმნა ბაგრატიონ ტაძრის ეზოშივე აჯობებს. ეს სკოლაც ისტორიული შენობაა, სადაც სხვადასხვა დროს სწავლობდნენ კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე და გალაკტიონი. უქიმერიონზე დასაცავია მარჯანიშვილისეული ეზო და ასწლოვანი ოდა. თეატრ-მიწეული თანატოლები ვასილ ამაშუკელი და პეტრე ჭაბუკიანი ამშვენებენ ქუთაისს.

გელათში გოგლამ ახალგაზრდობას მიმართა სიტყვით. მას მოაგონდა ილია ჭავჭავაძე, რომელიც 1896 წლის მკაცრ ზამთარში მოვიდა აქ და ღირსეულად შეათფასა გაბრიელ ეპისკოპოსის ღვაწლი. — მე დღეს შევიტყვე, რომ ამ ცნობილი სიტყვის უცნობი დასაწყისი ზეპირგადმოცემით აღუდგენია პეტრე ჭაბუკიანს: მოვედით ყოველნი — ამერნი და იმერნი, რათა გამოგეთხოვოთ შენ, მწყემსო კეთილო...

გელათის აკადემიის შენობასთან, თაღებქვეშ, დგას „თხილის კოდი“ (მისი დიამეტრი მეტრნახევარს უდრის), რასაც ბერები მონასტერში იყენებდნენ მარცვლეულის შესანახად. რაჭა-ლეჩხუმსა და ოკრიბაში მოიპოვება არა მარტო ცაცხვის, არამედ თხილის საწნახლებიც (სოფლები —

ორხვი, თხმორი, ჩორჯო, გურნა...). გელათური კოდი და აღნიშნული საწნახლები „მთაშაეის“ ტყის მრავალსაუკუნოვანი მცენარისაგან დაუმზადებიან. „თხილის კოდი“ ასახულია კადრად კინოქრონიკაში „გელათი“.

სოფელ გოგოლეთის მკვიდრმა, მეტყვევ ილია სოხაძემ 1960 წელს მაცნობა, რომ მთაშაევაში ახლაც დგას ორი ძირი უზარმაზარი ცოცხალი თხილის ხე. თითოეულისაგან დამზადებულ საწნახელში ორასი ფუთი ღვინო მოთავსდება. ტყეში ადგილზე ბილიკით მისვლას (სოფელ გოგოლეთიდან) ერთი დღე დასჭირდება.

გოგლა გააკვირვა „თხილის კოდმა“. მან თქვა: სპეციალური ლიტერატურიდან მახსოვს, რომ თხილი ბუჩქად იზრდება და 30 წლამდის ძლებსო. მრავალსაუკუნოვანი ველური თხილის არსებობა არ გამიგია, მაგრამ ნამდვილი ყოფილა. ასეთი ვეებერთელა თხილის ხე ახლაც ცოცხალიაო, — ეს ცნობა სწორი იქნება და უნდა შემოწმდეს. აუცილებელია მთაშაევაში წასვლა. სპეციალისტები (ბოტანიკოსი, ეთნოგრაფი) ახალ სიტყვას იტყვიანო.

წყალტუბოში დავათვალიერეთ იოსებ სტალინის სახელობის აბაზანა და მოვისმინეთ მისი მკურნალი ექიმის დიმიტრი ჩახნაშვილის საუბარი.

სათაფლია პოეტს მაინცდამაინც არ იზიდავდა: ბუნების ძეგლებს მე მირჩევნია კულტურის ძეგლები — ადამიანის ტვინისა და მარჯვენის ქმნილებები. სოროში ძვრომას მიჩვეული არ ვარო.

ჩვენ ვსთხოვეთ: ბატონო გოგლა, ნუ ინებებთ ასეთ რამეს, ტურისტები და წყალტუბოს დამსვენებლები სათაფლიაზე

მიდიან. ამაშიც ენდეთ და მოუსმინეთ პეტრე ჰაბუკიანს, რომელიც გიყვართ, უსათაფლიოდ პეტრეს ვერ გაიცნობთ-
თქო.

მგოსანმა თავის დაქნევით და თვალითაც გვანიშნა და „ვო-
ლგათა“ კოლონაც შემობრუნდა ბანოჯისაკენ. შევუდექით
„პეტრეს აღმართს“. ბოლოს პეტრეც შემოგვეგება.

სათაფლიამ გოგლაზე წარუშლელი შთაბეჭდილება მო-
ახდინა. პოეტის მომხიბვლელი და შთამაგონებელი შეიქმნა
დინოზავრთა ნაკვალევი, გამოქვაბულის ჩუქურთმოვანი და-
რბაზები და კოლხური ტყე-პარკი, რომელიც 600 ჰექტარს
შეადგენს. მგოსანი სახელწოდება „სათაფლის“ ეტიმოლო-
გიითაც კი დაინტერესდა. აქ კლდეში წინათ ფუტკარი ცხო-
ვრობდა და თაფლი მოიპოვებოდა. ამრიგად, „სათაფლია“
იგივეა, რაც „სათაფლე“ (ადგილი). მაშინვე გოგლამ თავისი
პირვანდელი მცდარი შეხედულება ხელაღებით უარყო.

„ოლასკურა“ სათაფლის გვირაბიდან გამომდინარე ლე-
ლეს და მის მახლობლად მდებარე უბანს ჰქვია და ქართულ-
ზანური კომპოზიცია. მეორე კომპონენტი ზანური სახელი
„სკური“ აღნიშნავს მდინარეს — წყალს, ლელეს (შდრ. სკუ-
რია, ხამისკური, დიოსკურია). პირველი კომპონენტი „ოლა“
იგივეა, რაც სოფელ ბანოჯის მიკროტოპონიმი „ოლო“ და
მომდინარეობს ქართული სახელისაგან „ოლო“ (შდრ. ოლო-
ჩოლო). ამრიგად, „ოლასკურა“ ღრმადელეს ეწოდება.

— გიორგი მესამესა და მის შვილს თამარს ზაფხულობით
უყვარდათო გეგუთში ყოფნა, — გაიხსენა პოეტმა და გუ-
ლდაგულ აკვირდებოდა ეკლესიის კედლებზე დღემდე და-
ცულ ფრესკებს. აქ ლოცულობდნენ შოთა, თამარი... წინათ
ამ მიდამოებში გაუვალი ტყე იყო და ნადირობდნენ. მოი-

გონა როსტომ ერისთავიც, რომელიც შვილებთან ერთად გეგუთელი იაშვილის ეზოში თვალთა დათხრით აწამა სოლომონ პირველმა.

გოგლა ენის სიწმინდეს ყველგან იცავდა. მოსაუბრეს შენიშნავდა ლაპარაკში სიტყვის შესარჩევად, თავის ადგილზე გამოსაყენებლად. როცა რამდენჯერმე მოისმინა „ძვირფასი სტუმარი“, „გვესტუმრა“, „სტუმართმოყვარეობა“, განაცხადა: ჩვენ ყველანი წუთისოფლის სტუმრები ვართ, მაგრამ ძალიან გთხოვთ, რომ ჩემს სამშობლოში — საქართველოში „სტუმარს“ ნუ დამარქმევთო.

ერთმა მოსწავლემ გელათში მისალმებისას ახსენა „მობხუცო“. მაშინ გოგლამ მწყრალად წაიჩურჩულა: ჭირივით მძულს ეს სიტყვაო.

გოგლას თვალსაზრისით, უმჯობესია ვიხმაროთ „სუფრა“ და არა „მაგიდა“, „ნახმევი“ და არა „ექო“.

გ. ლეონიძემ 1945 წელს იუბილარ დომენტი თომაშვილს ასეთი დეპეშა გამოუგზავნა: „სულითა და გულით მოგილოცავთ დიდების დღეს, ძვირფასო, პოეტების უხუცესო, მუდამ ჭაბუკო მომღერალო. გაუმარჯოს თქვენს ხეავსა და რთველს! გკოცნით“.

გოგლა, როგორც უებრო მომლხენი თამადა, ყოველთვის იტყოდა: დღეს დედამიწაზე რამდენი ქართველიც დაიბადოს, ყველას გაუმარჯოსო. „ამ სადღეგრძელოს მისმა ახლობლებმა „გოგლაურა“ დავარქვით“, — წერს კრიტიკოსი გურამ ასათიანი.

გ. ლეონიძემ ლიხსიქეთურ და „ლიხსაქეთურ დედებზე“ — საქართველოს ამერ-იმერზე თქვა: ორი ფრთა ფრინველს სჭირდებაო უეჭველად.

გოგლამ დავით კვიციანიძეს უთხრა: ალბათ, არ გეცოდინება შენი გვარის მნიშვნელობაო. წინათ უთუოდ არსებობდა სიტყვა „მკვეცარი“ და ამის შემდეგ გაჩნდა „მკვეცარიძე“ ანუ დალაქიშვილიო.

ამ მიგნებულ მოსაზრებას ლინგვისტურად ასე დავასაბუთებთ: მხოლოდ საბას ლექსიკონში მოიპოვება „დაბადებაში“ დადასტურებული ფორმა „მკუეცრისა.“ „მკვეცარი“ კი არის ის, ვინც კვეცს (მაგალითად, თმას); სხვანაირად (შე)მკვეცელი.

საწყისი (მასდარი) „მკვეცარი“ მიღებულია ერთთემიანი „კვეც“ ზმნისაგან მ — არ აფიქსებით. ანალოგიური ფორმაა „ლებ“ ზმნისაგან ნაწარმოები „მლებარი“, რომლისგან გვაქვს გვარიც „მლებრიშვილი“.

გიორგი ლეონიძემ ხვამლის მთის ძირში მისვლაც კი ინატრა, სადაც ლეჩხუმელებმა გულითადად მიიწვიეს. პოეტო დაღლილობის მიუხედავად, თანახმა იყო გაჰყოლოდა გზას რიონის ხეობაში, მაგრამ თბილისელ მხლებელთა უღრობას ანგარიში გაუწია და მოგზაურობაც გადაიდო.

იმუამად ქუთაისში მიმდინარეობდა აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სესია, რომელშიც მონაწილეობდნენ მეცნიერები: ნიკო და ნინო ბერძენიშვილები, იასე ცინცაძე, მიხეილ ჩიქოვანი, ვარლამ დონდუა, გიორგი ლომთათიძე, კონსტანტინე ჩოლოყაშვილი, კონსტანტინე გრიგოლია... ამ სესიის მუშაობის დამთავრება 2 ივნისს (კვირას) ბანკეტით აღინიშნა სოფელ ორხვში, შოთა კენჭაძის ოჯახში. გოგლა იქ აპირებდა წასვლას.

1963 წლის 2 ივნისს გიორგი ლეონიძემ დილით დაათვალიერა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერილია შემდეგი: „ძალზე მომეწონა დიდის გემოვნებით მოწყობილი მუზეუმის გამოფენა. ვაშა მის გამმართველებს! უღრმესი მადლობა“. პოეტმა ოჯახის წევრებითურთ გასწია ურეკისაკენ (შავი ზღვის სანაპიროზე). იმავე საღამოს კი დაბრუნდა თბილისში.

აპარელ და იმერელ სახლიაკაცებთან

გიორგი ლეონიძე კერძო საუბარში ხშირად ამბობდა: ჩემთა გვარისკაცთა ნაფუძრად სამხრეთ საქართველო (მესხეთი) ითვლება. მესხი წინაპრები, რომელნიც ბეგები (ფეოდალები) იყვნენ, ავბედობისას ნაწილ-ნაწილ გადასულან კახეთში (სოფლები — პატარძეული, კონდოლი), აჭარასა (სოფელი ერგე) და იმერეთში (სოფლები — ოფშკვითი, კაცხი). ჩემი გვარი წინათ „ლიონიძედაც“ გამოითქმოდა. მეფე ერეკლე მეორის მსაჯული სოლომონი „ლიონიძე“ იყო, სამხრეთიდან დასავლეთში ჩამოსახლებულ ქართველებზე მეტყველებენ სოფლის სახელწოდებები „მესხეთი“ და „საჯავახო“ და გვარები — მესხი, მესხია, მესხაძე, მესხიშვილი, ჯავახია, ჯავახაძე... ქვემო იმერეთში (ხონთან) არის მესხებით შემდგარი ცალკე სოფელი „ახალშენი“.

მგოსანმა სხვადასხვა დროს იმოგზაურა დასავლეთ საქართველოს კუთხეებში. არ სწვევია მხოლოდ რაჭა-ლეჩხუმსა

და სვანეთს, სადაც სიყვარულით მიელოდნენ თამარისა და შოთას, აკაკისა და გალაკტიონის ნაკვალევზე.

მკითხველს მოვუთხრობთ, თუ როგორ შეხვდნენ პირველად სამაყო მამულიშვილს თანამემამულენი — აჭარელი და იმერელი სახლიკაცები.

გიორგი ლეონიძე და აჭარელ-იმერელი ლეონიძეები ერთმანეთთან დაახლოებას დიდხანს ნატრობდნენ. გოგლამ ამ საქმეშიც გამოიჩინა თაოსნობა, თვითონვე მონახა და პირადად გაიცნო უძვირფასესი ნათესაეები.

აჭარის სოფელ ერგეში. ბათუმის მახლობლად მდებარეობს სოფელი ერგე. ამ სოფლის ერთ ნაწილს — ლეონიძეთა კუთხეს — ეწოდება ჯოჯო, სადაც 33 კომლი ცხოვრობს.

ერგეს კოლმეურნობის მაშინდელმა თავმჯდომარემ ლევან მჭედლიშვილმა მითხრა, რომ გოგლა აჭარაში იყო 1959 წელს.

გიორგი ლეონიძემ, ბათუმელ მწერლებთან ერთად იმოგზაურა აჭარის სოფლებში, გაეცნო ქართული კულტურის უძველეს ძეგლებს, შეხვდა და ესაუბრა მშრომელებს.

ამ მოგზაურობის შესახებ პოეტი ფრიდონ ხალვაში შემდეგს მოგვითხრობს:

პოეტმა დაათვალიერა გონიოს დიდებული ციხე-სიმაგრის მიდამოები, რომელთა ფართობი თხუთმეტ ჰექტარამდე აღწევს. შუა მინდორში -სასახლის ნაშთი მოიპოვება.

— სულხან-საბა ორბელიანი აქ გაძარცვეს ოსმალო ავაზაკებმა. გახსოვთ, თავის მოგზაურობაში რომ ამბობს: „დაგვიჭირეს ყველაყანი, ჩვენე ბარგი და კარაემოფენილობა სრულ აიკლესო“, — თქვა. პოეტმა.

კახაბერის ველიდან კირთანამდე ჩვენ ჭოროხის მარჯვე-

ნა ნაპირს მივყვებოდით. ერგეს ხილთან ვილაცამ გაგვაჩერა. მზით გარუჯულმა და ქერაულღვაშიანმა გლებმა კრაველის ბოხობიანი თავი ძლივს შემოყო მანქანაში და გვითხრა:

— აქ ბრძანდება მწერალი ლეონიძე?

— არა, წინა მანქანით ჩაიარა.

— უჰ, ეს რა მითხარით!

— რატომ შეწუხდი, ძმობილო? — დავინტერესდით ჩვენ.

— მეც ლეონიძე ვარ, ჯოჯოში ვცხოვრობ. ჩემი სახლი-
კაცი ჩამოსულა და მინდოდა შინ მიმეწვია.

— ნუ ჯავრობ, მალე ჩამოივლის, — დავამშვიდეთ.

მდინარე მაჭახელა გადავკვეთეთ და კირნათში შევედით. სკოლა-ინტერნატის ახლად დამთავრებულ შენობაში შეკრებილებმა მრავალი შეკითხვა მისცეს სტუმარს.

ჩვენ დიდხანს ვუცქირეთ კოროხს გაღმა მინარეთიან მარადიდს. ალბათ, იქიდანაც დიდხანს გვიცქირეს. უკან დავბრუნდით.

ის ბოხობიანი მწყემსი ლეონიძე ისევ ერგეს ხილთან დაგვხვდა, გაგვაჩერა და მტკიცედ „უბრძანა“ შოფერს მანქანა მარჯვნივ — ჯოჯოს გზით წაეყვანა.

ცოტა ხანიც და ჩვენ ჯოჯოში ვართ. მანქანები წაბლის ახალი ოდა-სახლის წინ გაჩერდნენ.

— ეს ჰარუნ ლეონიძის სახლია, ჩამობრძანდით! — გვეძახის ვილაცა.

სამზარეულოდან ქალები და ბავშვები გამოეფინენ და სტუმარს შემოეხვივნენ. პოეტი სიყვარულით ესალმება ყველას, ხელს ართმევს და თანაც ხუმრობს: ამდენი ლეონიძე ერთად არასოდეს არ მინახავსო.

ჯოჯოელებმა სანატრელი სტუმრის მოსვლა რომ გაიგეს, ყველამ ამ ეზოში მოიყარა თავი.

პარუნის სახლში საჩქაროდ სუფრა გაიშალა. ოჯახის სამი ვაჟისა და ოთხი ქალიშვილის სახელით მასპინძელმა თამადად ოჯახის „ახალი წევრი“ გიორგი ლეონიძე აირჩია.

თამადამ ასეთი ამალელვებელი სადღეგრძელოთი დაიწყო: ლეონიძეებო, სამასი წლის შემდეგინდელ ამ ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს!

ყველაზე ხნიერებმა — მურად, სკენდერ, რიზალი და ხშირად ჩამოვალო თქვენთან.

ვრი რამ მოიგონეს წარსულიდან.

— პაპა იტყოდა, რომ ჩვენი წინაპარი, თურმე, მესხეთიდან გადმოსულია, — თქვა რიზალი ლეონიძემ.

გიორგი ლეონიძემ გულთბილ მასპინძლებს თავისი ახალი წიგნები დაუტოვა სახსოვრად და შეჰპირდა — კიდევ ხშირად ჩამოვალო თქვენთან.

ეს შეხვედრა ლიტერატურულ საღამოდ გადაიქცა და კოლმეურნეები უსაზღვროდ გაახარა (ფრიდონ ხალვაში. ჟოჰოელ ლეონიძეთა უბანში: „ლიტერატურული გაზეთი“. 1959. № 44).

იმერეთის სოფელ ოფშკვითში. 1963 წლის 30 მაისს ლადო მისხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გამართული საიუბილეო საღამო დაუფიწყარია იმითაც, რომ სცენაზე გამოვიდა და სავარძელში მჯდომ გოგლას მიუახლოვდა ხუთი წლის ბიჭი და უთხრა: მეც შენს მოდგმას ვეკუთვნი, ქუთაისელი პატარა სოლომონ ლეონიძე ვარო. გოგლამ ბავშვი ჩაიხუტა და ჩაკოცნა.

ქუთაისსა და გელათში სახალხო ზემის დამთავრებისთანავე, პირველ ივნისს (შაბათს), პოეტი და მისი ამაღა ავტოქარხნიდან გაემართნენ წყალტუბოსაკენ. გათვალისწინე-

ბული იყო წყალტუბოსთან ერთად სათაფლიის მღვიმისა და გეგუთის ციხე-დარბაზის დათვალიერება.

მგოსანმა ამ დღეს მოისურვა ოფშკვითის ნახვაც. ქუთაისსა და გელათში არაერთხელ გაიხსენა ეს სოფელი, მაგრამ არ გვეგონა, თუ იქ წასვლა აუცილებელი იყო, ამიტომ ზომების მიღება წინასწარ არ მომხდარა. არც წყალტუბოს რაიონისა და არც მისი სოფლის ხელმძღვანელები დროზე არ იყვნენ გაფრთხილებული.

ოფშკვითი დიდი და მდიდარი სოფელია. ოფშკვითელები გიორგი ლეონიძეზე უკეთეს მგოსანს ვის მიიწვევდნენ. მასზე უკეთეს მომლხენს ვის ინატრებდნენ? მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ ოფშკვითი ასე ახლო იყო პოეტის გულთან! თურმე გოგლა ამ ადგილითაც ისევე ხარობდა, როგორც მისი აქაური ნათესავეები ხარობენ. აქ თერთმეტი კომლი ლიონიძე სახლობს.

სოფელმა ცნობა მიიღო წყალტუბოდან. ორი საათიც არ გასულიყო მას შემდეგ, როცა უკვე ოფშკვითის ცენტრში გავჩნდით, ნაშუადღევს — სადილობის უამს.

სოფლის თავკაცები აღფრთოვანებით შემოგვეგებნენ და თან ფერიც ეცვალათ — შეშინდნენ, არ შერცხვენილყვნენ. ჩვენც შევწუხდით, რადგან შეცდომა მოგვივიდა. ქუთაისში პოეტს სხვადასხვა ადგილზე მოელოდნენ სადილად და ახლა კი ოფშკვითელები როგორ უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენეთ!

ეს იყო რამდენიმე წუთს. ღუმილი დაარღვია სკამზე მხარილლივ ჩამომჯდარმა გოგლამ და თანამგზავრთა წრეში ღიმილით შთამაგონებლად იხუმრა: ლუარსაბ თათქარიძე სტუმრად სოლომონ მორბელაძესთან.

მასპინძლები არ დაიბნენ. წარგვიძღვნენ იქვე ახლოს მცხოვრებ იაშა ლიონიძის კარ-მიდამოსაკენ. დედამისი, კუხიანიძის ქალი, მეზობელ სოფელ მესხეთიდან გამოთხოვილა აქ.

იაშა ლიონიძის ფართო ეზოში, სადაც ორსართულიანი ოდა დგას, შევისვენეთ და გაიმართა საუბარი.

გოგლა სოფლის სახელწოდებათა „გეგუთისა“ და „ოფშეკითის“ ეტიმოლოგიითაც დაინტერესდა.

ტოპონიმი „გეგუთი“ ისეთივე წარმოშობისაა, როგორც ტოპონიმები — ქაქუთი, გუდაუთი, შუქრუთი, შუხუთი... ეს ტოპონიმები წარმოიქმნა ადამიანის საკუთარი სახელისაგან (ქაქუჩა, გუდა, შუქრი, შუხუ)-უთ სუფიქსით (-ეთ სუფიქსის ვარიანტია). ტოპონიმი „გეგუთი“ იმავე მნიშვნელობისაა, რაც „გოგუთი“ ანუ „გიორგუთი“. ტოპონიმში „გეგუთი“ „გეგუს“ (გიორგის) შთამომავალთა საცხოვრისი (სამფლობელო) იგულისხმება.

მეთექვსმეტე საუკუნის ხელნაწერში, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა გამოსცა, ერთგან წერია „ოფისკვიჯი“ (იხ. ძველი საქართველო. IV. 1915. გვ. 15). „ოფშეკითი“ ისეთივე კოლხური ფორმაა, როგორც „ოფურჩხეთი“ ანუ „ოფიჩხეთი“ (საფიჩხია), ოღონდ გამოსარკვევია შინაარსი ძირისა „ფშეკ“.

ერთი საათის შემდეგ უკვე ჰერმალალ დარბაზში მივუსხედით სავსე იმერულ სუფრას.

პედაგოგმა ლავრენტი ბეშქენაძემ მემუარიც დასტამბა (გაზ. „ქუთაისი“ 1974. № 255).

დიდი ოქროპირი და მესიტყვე იმერელი ლიონიძის ოჯახში სტუმარიც იყო და მასპინძელიც, თამაღობაც თვითონ გასწია და არაჩვეულებრივი ლხინი გაჩაღდა.

პოეზიაში სიმტკიცისა და გამძლეობის გამოსახატავად გიორგი ლეონიძე მრავალჯერ შეადარეს ბერძენებს. იმერეთში პოეტის თანამგზავრმა მწერლებმა და მეცნიერებმა „ბერძენის“ სინონიმად „ძელქვა“ შეარჩიეს. კოლმეურნე იაშა ლიონიძის ეზოშიც ხომ „ღმართულია“ მრავალსაუკუნოვანი ძელქვა.

— ჭეშმარიტად ეროვნული პოეტია, ძელქვასავით მაგარია და „მშობელ მიწაში უდგას ფესვებიო“, — აღიღებდნენ.

გოგლას მოსწონდა და მადლობის ნიშნად ფეხზე წამომდგარი ხანდახან იმეორებდა სტრიქონებს „არსენას ლექსიდან“: „ერთი საწყალი ბიჭი ვარ, ტყეში ვეფარები ხესა“.

„ძელქვა“, მართლაც, მეტად საინტერესო სიტყვაა. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ძელი“ არის „ხე მოკვეთილი“. „ძელის“ კოლხური (მეგრულ-ჭანური) შესატყვისია „ჯალი“. საბასეული მნიშვნელობა იგულისხმება სიტყვებში „ძელური“ ანუ „ჯარგვალი“ (მრგვალი ხის შენობა), „ძელბარი“ (ხის ბარი) და „ძელყორე“ (ხისა და ქვის გალავანი). ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ „ძელქვა“ და შავი ყურძნის სახელწოდება „ძველშავი“ იმ უძველეს ხანას უნდა ეკუთვნოდეს, როცა მერქნიანი მცენარის სახელად ჯერ კიდევ „ხეს“ არ ხმარობდნენ, არამედ „ძელსა“ (იხ. საქართველოს ეკონომიური ისტორია. II. 1934. გვ. 530). ასეთივე ცოცხალ (მოუჭრელ) მცენარეს აღნიშნავს აგრეთვე შავი ყურძნის მეგრული ტერმინიც „ოჯალეში“. ეს ტერმინები გაცილებით უფრო ხნიერია, ვიდრე ყურძნის სახელწოდებები „ხევა-რდული“ (ხე ვარდისფერი) და „ხიხვი“ (ხე ნაცრისფერი).

ამრიგად, „ძელი“ უხსოვარ დროს არა მარტო მოჭრილ, არამედ ცოცხალ მცენარესაც აღნიშნავდა („ხეზე“ უფრო

ადრე არსებობდა) და „ძელქვა“ ახლა „ხექვად“ ამოიხსნება. გოგლა ნანობდა, რომ უფრო ადრე, ასევე პირველად და ერთ დღეს, რატომ ვერ ნახა გეგუთი და ოფშეკითი.

ნაშუალამევეს დავბრუნდით.

ოფშეკითში გამართული შეხვედრა უეცარ გამოცდას ჰგავდა და ბრწყინვალედ ჩატარდა. ამ ფაქტმა(ც) ცხადად დაამტკიცა, რომ გიორგი ლეონიძე სიცოცხლეშივე ძალზე პოპულარული და ბედნიერი პოეტი იყო.

1963 წლის პირველ ივნისს გიორგი ლეონიძეც „ჩამოესახლა“ ოფშეკითში და მეზობლად შეემატა იქაურ ნათესავთა კრებულს.

ოფშეკითელები ყოველთვის გაიხსენებენ მას — უკვდავ წინაპარს, თავიანთ მკვიდრსა და დამამშვენებელს.

ისინი ახლა სიყვარულით შეჰყურებენ დიდებულ ძელქვას, როგორც იშვიათ სიმბოლოს — უტყვე მემატიანეს და გიორგი ლეონიძის ცოცხალ ძეგლს.

ახალი სიტყვა „უნიფორმული“

„გიორგი ლეონიძის ჯავარიანი სიტყვა ბარაქიანი ქართული ხალხური მეტყველები ამოურწყავი საგანძურიდან უხვად მოედინება“, — წერს აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა. ამ თვალსაზრისით, გიორგი ლეონიძის პოეტური ენის თავისებურებას ხალხურობა განსაზღვრავს. მგოსანმა ქართულ სიტყვას ახალი ჟღერადობა მისცა, მის ფრაზაში იგრძნობა

ქართული ენის ექსპრესიული ძალა, ძარღვიანობა და მომხიბვლელობა.

ზემოთ აღნიშნული დებულების დასამტკიცებლად განვიხილავ ერთ მაგალითს.

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში დიდი სამამულო ომის შემდეგ ფართოდ გავრცელდა ნეოლოგიზმი (ახალთახალი სიტყვა) „შინმოუსვლელი“, რაც გიორგი ლეონიძის უკვდავი ლექსის პოპულარობას მიეწერება.

ლექსი აქტუალურ თემას შთამბეჭდავად აშუქებს და სასკოლო სახელმძღვანელოში შევიდა. მას სწავლობენ. ლექსი ახალგაზრდობამ ზეპირად იცის, ლექსს ხალხი მღერის.

1963 წლის 30 მაისს, როცა ბაგრატის ტაძრის ეზოდან ქუჩაში გამოვედით, მეექვსე საშუალო სკოლის მოსწავლეები შემოეხვივნენ გოგლას. — ვინ იტყვის გიორგი ლეონიძის რომელიმე ლექსსო, — იკითხა გიორგი სამხარაძემ. გოგლას წინ დადგა ყმაწვილი და ზეპირად წარმოთქვა „შინმოუსვლელი, სადა ხარ!“ პოეტმა ბავშვი გულში ჩაიკრა და დაკოცნა.

უფრო ადრე, ბახტრიონობის დღესასწაულზე, საუკეთესო სიმღერათა შორის გამოირჩეოდა „შინმოუსვლელი, სადა ხარ!“ ყველას ახარებდა მისი ავტორი, ვინც ამავე ზეიმზე სამაგალითო თამადის მოვალეობას ასრულებდა.

აღნიშნული სიმღერა არნოლდ ჩიქობავას მოუსმენია სხვაგვარ გარემოში. იგი წერს: მე არ ვიცოდი, რომ ეს ლექსი სიმღერად აქცია დიდმა კომპოზიტორმა, „ხალხი“ რომ ჰქვია, ღალბურობა, როცა ის ნამღვილია, პოეზიის ძალააო.

„შინმოუსვლელს“ კომპოზიტური აღნაგობა აქვს. ერთმანეთს ერწყმის უფორმო სიტყვა „შინ“ და უარყოფითი მიმღეობა „მოუსვლელი“. „მოუსვლელის“ საპირისპირო ცნებაა

„მოსული“ (შდრ. გვარსახელი „მოსულიშვილი“). „შინმო-
უსვლელი“ უპირისპირდება „შინმოსულს“, რაც იშვიათად
ითქმის.

მოვუსმინოთ გიორგი ლეონიძეს: საბა განმარტავს: „ლე-
ქსი — სიტყვა სრული და რჩეული“. „ლექსიკონი“ „სიტყვის
კონა“ არისო (ასეთი სათაური შეუერთია მის წიგნს ვახტანგ
მეექვსემ). მართლაც, ლექსი ბოლოს და ბოლოს სიტყვაა. მე
ვეძებ სიტყვებს და ხშირად ვიხედედი ძველ ქართულში, დი-
ალექტურ ლექსიკონებში. დიდ საქმეს აკეთებენ ის მეცნიე-
რები, რომლებიც ცოცხალ მეტყველებას სწავლობენ, ძვი-
რფას მარგალიტებს აგროვებენ სამკურნალო ბალახებივით.
მე მათ ვუწოდებ „მარგალიტების მთესველებს“. ეს გამოთქმა
ვაყას ეკუთვნის. საბამ და ვაყამ ხალხური საუნჯე გამო-
ავლინეს.

გოგლა ცოცხალ ენას დაესესხა. რევოლუციამდელ ქა-
რთულ ანდაზათა კრებულებში ყველგან იკითხება ხალხური
ნათქვამი — „გინდ მკვდარი, გინდ შინ მოუსვლელი“.

ეროვნულ საუნჯეში — ქართული ენის რეატომიან გა-
ნმარტებითს ლექსიკონში — გიორგი ლეონიძის სტრიქონები
მოთავსებულია, როგორც ძვირფასი საილუსტრაციო მასალა
— როგორც საყოველთაოდ გავრცელებულ სიტყვათა და სა-
რეზერვო ორიგინალურ პოეტურ მონაცემთა სანდო დადა-
სტურება, მაგრამ „შინმოუსვლელი“ კი გამორჩენიათ (შე-
ამოწმეთ ტ. VIII. 1962 წ.).

„შინმოუსვლელი“ ასევე არ ჩანს ვ. თოფურიასა და ივ-
გიგინეიშვილის კაპიტალურ წიგნში „ქართული ენის ორთო-
გრაფიული ლექსიკონი“ (1968 წ.). აქ ცალ-ცალკეა სიტყვები
(„მოუსვლელი“ მ ასოზე). უ ასოზე კი იკითხება: „შინ წა-
უსვლელი“. ასეთი მართლწერაც სადავოა.

„შინმოუსვლელი“ ერთ ცნებას გამოხატავს და ამიტომ ჩვენს პრესაში მას ერთად წერენ.

ხალხური წარმომავლობის მიხედვით, „შინმოუსვლელის“ ანალოგიური ნიმუშია „გადამთიელი“ (შორეული მხრიდან მოსული — უცხო). „გადამთიელი“ შედგება ორი კომპონენტისაგან — გადაღმა მთიელი, რაც „გადაღმელს“ უდრის. „გადამთიელი“ ხალხური ნეოლოგიზმია და წარმოიქმნა ხალხურივე კომპოზიციისაგან „გადა მთა“ (გადაღმა მთა). ეს თხზული სახელი მოიპოვება ცნობილ ანდაზაში: „ფაფა კარამდის, ღომი ყანამდის, მჭადი მთამდის, პური გა დ ა მ თ ა მ დ ი ს“.

გამოირკვა, რომ „გადამთიელი“ ხალხურ ენას ეკუთვნოდა. ეს სიტყვა პირველად აკაკი წერეთელმა შემოიტანა: „შენ რას დაეძებ ჩვენს ყოფა-ქცევას, გადაღმელო და გადამთიელო!“ შემდეგ სხვებმაც მოიწონეს. განმარტებითს ლექსიკონში არ გვაქვს დავით კლდიაშვილზე მითითება. მოთხრობა „სოლომან მორბელაძეში“ წერია: „გადამთიელი ხომ არ არის, ჩვენებური ჩვეულება არ იცოდეს“. გიორგი ლეონიძეც წერს: „და ვერ გვძლევს მტერი საერთო — მტარვალი, გადამთიელი“. „გადამთიელი“, როგორც დიალექტური (გურულ-იმერული) სიტყვა პირველად გვხვდება სუკოლ ბერიძის ლექსიკონში (სიტყვის კონა. 1912). ამით აიხსნება, რომ „გადამთიელი“ მეოცე საუკუნის დამდეგიდან სალიტერატურო ენაში ფართოდ გავრცელდა.

ნეოლოგიზმს ქმნის მწერალი, ნეოლოგიზმს ქმნის ხალხი. „შინაარსი“ ილიასეული ნეოლოგიზმია. ცალკე სიტყვები „შინა“ და „არსი“ ადრეც არსებობდა, მაგრამ „შინაარსი“ ერთ ცნებად პირველად ილია ჭავჭავაძემ შეთხზა. ილიასე-

ული კომპოზიტი „შინაარსი“ ქართული ენის ოქროს ფონდში შევიდა. „შინმოუსვლელი“ კი ხალხური ნეოლოგიზმი იყო და გიორგი ლეონიძემ აღმოაჩინა.

ამრიგად, „შინმოუსვლელი“ წარმოშობით ხალხური კომპოზიტია, მხოლოდ ცოცხალ მეტყველებაში იხმარებოდა. მას მიაგნო გიორგი ლეონიძემ, გამოიყენა და დაამკვიდრა სალიტერატურო ენაში.

ფოტოალბომი

„გიორგი ლეონიძე იმერეთში“

ორ ეგზემპლარად შევადგინე ფოტოალბომი, რომელიც პოეტთან შეხვედრების მთავარ მომენტებს ასახავს. მასში შედის ფოტოკორესპონდენტ ბონდო მალლაფერიძის მიერ გადაღებული 50 სურათი წარწერებითურთ.

სპეციალურად გამზადებული ერთი ეგზემპლარი „გიორგი ლეონიძე გელათში“ 1964 წელს ჩავაბარე შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სწავლულ მდივანს რამაზ კობიძეს ამავე ინსტიტუტის დირექტორ გ. ლეონიძეზე გადასაცემად. ეს ეგზემპლარი უთუოდ პოეტის არქივში ინახება.

მეორე სრული ეგზემპლარი კი ჩემს არქივში არის დაცული. ამ ალბომს აგრეთვე უნდა შეემატოს პოეტ რუთა ბერძის მიერ გელათში გადაღებული რამდენიმე უცნობი მომენტიც.

გ. ლეონიძე სხვადასხვა დროს ესტუმრა აჭარას (1959 წ.), აფხაზეთსა (1960 წ.) და გურიას (1964 წ.) და მასთან შეხვედრათა ფოტოსურათებიც არსებობს ადგილებზე.

ეს ძვირფასი ისტორიული ფოტოდოკუმენტები უნდა მოძებნონ და გამოიყენონ კინოსტუდიამ, ტელევიზიამ და ლიტერატურულმა მუზეუმმა.

საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური კინოსტუდიის მიერ შექმნილი ქრონიკა „გიორგი ლეონიძე“ 20 წუთს გრძელდება. მისი ავტორები არიან რეჟისორი შალვა ჩაგუნავა, სცენარისტი ელენე ჭავჭავაძე და ოპერატორი გიორგი ბარამიძე. ეს ნაწარმოები უმთავრესად თბილისსა და კახეთში გადაღებულ კადრებს შეიცავს.

საჭიროდ მიგვაჩნია ეს ქრონიკა შეივსოს და გამდიდრდეს დასავლეთ საქართველოში გიორგი ლეონიძის მოგზაურობათა ამსახველი ფოტოდოკუმენტებითაც (იხ. რეპლიკა — გაზ. „ქუთაისი“. 1969. № 47).

ქუთათური ალბომი განკუთვნილია მასალად სრული დოკუმენტური კინოფილმისათვის „გიორგი ლეონიძე“.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ბალაქტიონი — „ჩემი ჟუთაისი“	3
აკაკი და გალაკტიონი	4
ცხრა წელიწადს უჭიმერიონზე	9
რეკლამის პოეტთა მეგობრობა	14
ქუთათური იუბილეები	18
გალაკტიონის პირველი წიგნი	26
საალბომო დოკუმენტები	28
ლეჩხი „წყალტუბოდან ქუთაისში“...	31
არ შეუცვალა სოფელს სახელი	37
გალაკტიონის ენის ხალხურობა	44
რას ნიშნავს „ნიკორწმინდა“	53
ტაბონიმი ქვეში	65
იოსებ ბრიშავილის წერილები	
იუბილარის სამადლობელი	83
„სონეტი ქუთაისს“	87
„არდაღიწყება მოცვირსა“	92
დომენტი თომაშვილეს დანფასებელი	98
ქართელოლოგის სინანული	100
გიორგი ლეონიძე იმერეთში	101
ბიბლიოგრაფიული ცნობარი	102
სიმონეთში, სხვიტორსა და დიდ ჯიხაიშში	104
ქუთათური ზეიმი	107
გოგლას და პეტრეს ძმადნაფიცობა	111
ქვათა ლაღადი უჭიმერიონზე	114
მხოლოდ ერთხელ გელათში	117
ყანწი მიაართვის ძველ ცისფერყანწელს	120
ფიქრები ამაშუკლისიეულ კინოფილმზე	127
<u>გოგლას ნაამბობი</u>	129
აქარელ და იმერელ სახლიკაცებთან	136
ახალი სიტყვა „შინმოუსვლელო“	143
ფორთალობი „გიორგი ლეონიძე იმერეთში“	147
	149

რედაქტორი თეიმურაზ ლანჩავა
გრაფიკული გაფორმება და ტექნოლოგია
გონერი კეიშვილისა
მხატვრული რედაქტორი ოთარ ჯანდარია
კორექტორი ქსენია მარგველაშვილი
გამომშვები ბეჟან ნამიკეიშვილი

გადაეცა წარმოებას 11/VI-80
ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/III-81
საბეჭდი ქაღალდი № 2 70×90¹/₃₂
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 6,65
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,45
უე 12060 ტირაჟი 2.000 შეკვეთის № 7179
ფასი 36 კაპ

ს. ბ № 1735

გამომცემლობა „საბკოთა საქართველო“,
ქუთაისის ფილიალი, ქუთაისი, რუსთაველის 7.

АЛАВИДЗЕ МИХАИЛ НЕСТОРОВИЧ
ЛИТЕРАТУРНЫЕ ПИСЬМА
(На грузинском языке)

Издательство „Сабчота Сакартвело“
Кутаисский филиал
Кутаиси, Руставели, 7
1981

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა
და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის
ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.

Кутаисское полиграфическое производственное объединение
Государственного комитета по делам издательств, полиграф
и книжной торговли Грузинской ССР
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33.